# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 14 აპრილი 2001 №67 (1340) | ფასი 50 თეთრი



მომდევნო სარბიელი გამოვა ოთხშაბათს, 18 აპრილს


შესანიშნავი შავი მუშა

ბორჯღალის ქარები

მევლუდ მთიულიშვილი



# იგებენ მწვრთნელები, აგებენ ჟურნალისტები

## ძოძუაშვილმა ახალი საფეხბურთო კანონი აღმოაჩინა


საავტორო უფლება დაცულია: © Revaz Dzodzuashvili 2001




ისტორიული მომენტი, 2001 წლის 13 აპრილის პრესკონფერენცია. დამსწრენი ინტერესით ისმენენ რევაზ ძოძუაშვილის რევოლუციურ აპრილის თეზისებს

# სააღდგომო მესა სიკვდილთან მოთამაშეებისთვის



იმოლაში აღდგომისა და რბოლისთვის ემზადებიან

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

ხვალ ერთი შეხედვით რიგითი საფორმულო რბოლაა — სან მარინოს დიდი პრიზი უნდა გათამაშდეს, მაგრამ რადგან ეს ამბავი იტალიაში, ენცო და დინო ფერარების სახელობის იმოლას ავტოდრომზე მოხდება, მომატებული ინტრიგაც და საყოველთაო აჟიოტაჟიც გარანტირებულია. მეშვიდე წელია, რაც ასე ხდება, ამ ტრაგიკულ ტრასაზე ლეგენდარული ბრაზილიელის აირტონ სენას დაღუპვის შემდეგ.

რბოლისა და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის დამთხვევამ სამღვდელოება გაანაწყენა. რაკი მრბოლები მორწმუნე ხალხია, წირვაზე დასწრებას კი ვერ შეძლებენ, გადაწყდა, იმოლას ეკლესიაში მათთვის დილით სავანგებო მესა მოეწყოს, ტელერეპორტაჟი კი ავტოდრომის ვეება ეკრანებზე აჩვენონ.

წლევანდელი ჩემპიონატის ლიდერი მიხაელ შუმახერი წინა, ბრაზილიურ ეტაპზე დევიდ კულჰარდთან დამარცხებისთვის რევანშის აღებას შეეცდება. პირადი დაინტერესება შოტლანდიელსაც აქვს — ზედიზედ მეორედ გამარჯვების შემთხვევაში სატურნირო ცხრილს იქნებ სათავეშიც მოექცეს, შუმი ხომ მხოლოდ ექვსი ქულით უსწრებს.


იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი



ჰარი კიუელისა და ლი ბოიერის ლიდსური სიხარული

# ლიდსმა იძალა

## ინგლისი

XXXIII ტური

**ლივერპული 1:2 ლიდსი**

0:1 ფერდინანდი (4), 0:2 ბოიერი (33), 1:2 ჯერარდი (55)

ლივერპული: ვესტერველდი, ბაბელი, ჰენჩოსი, ჰიუპია, კარაგერი, ჯერარდი, ჰამანი (ჰესკი 66), მერფი (შმიცერი 46), ბერგერი (მაკალისტერი 46), ფაულერი, ოუენი

მწვრთნელი: ჟერარ ულიე

ლიდსი: მარტინი, ჰარტი, რ. ფერდინანდი, მატეო, მილსი, ბოიერი, დაკური, ბეტი, კიუელი (უილკოქსი 84), ვიდუკა, სმიტი (რობი კინი 87)

მწვრთნელი: დევიდ ოლირი

გაფრთხილება: ჯერარდი, ჰამანი, შმიცერი, მილსი

გაძევება: ჯერარდი (70)

44 116 მაყურებელი

**პარასკევს** დილით ლივერპულის „ენფილდზე“ გამართული სააღდგომო კვირის კიდევ ერთი თამაში მასპინძელთათვის სამწუხარო შედეგით დასრულდა. „ლივერპულმა“ 1:2 წააგო „ლიდსთან“, რამაც ეს უკანასკნელი მესამე ადგილზე დაამკვიდრა და საგაისო ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლა კიდევ უფრო გაამძაფრა. ეს კია, რომ ბოლო ორი თვის მანძილზე ფორესტ გამპივით დაძრული „ლიდსი“ ახლა უფრო ძნელი გასაჩერებელია. სეზონში სამი თასის და თანაც ლიგის საგზურის მოპოვებისთვის შემართული „ლივერპულისთვის“ კი ეს იყო ბოლო ექვს დღეში მესამე თამაში და ულიეს გუნდს უჭირს ამგვარ ტემპში რბოლა. ცნობისთვის, „ლივერპული“ ორშაბათს მერსისაიდულ დერბიში ხვდება „ევერტონს“, ხუთშაბათს კი უეფას თასზე „ბარსელონას“.

მორბენალი ლიდსელები უკვე მეოთხე წუთზე დაწინაურდნენ. ვან ჰარტის კუთხურს რიო ფერდინანდი შეეგება და ეს გოლი ახლო ძელთან ჩაძინებულ დენი მერფის დაბრალდა. ორიოდ წუთში მერფიმ კინალამ საჯარიმო დარტყმა ჩასვა მარტინის კარში, თუმცა მალევე ცხადი შეიქნა, რომ ლიდსელთა ნახევარდაცვა მასპინძელთა ნახევარდაცვას სჯაბნის, ყველაფრის ბატონ-პატრონი კი ოლივიე დაკური გახლავთ. სწორედ დაკურმა წამოიწყო მეორე საგოლე კომბინაცია, რომელშიც ჰარი კიუელი ჩაერთო და ლი ბოიერის ზუსტი დარტყმით დასრულდა.

მეორე ტაიმში, ჟერარ ულიემ გარი მაკალისტერი და ვლადიმირ შმიცერი შეუშვა მოედანზე, მოგვიანებით კი ემილ ჰესკიც გამოჩნდა. ამ დროს ლივერპულს უკვე შეემცირებინა სხვაობა. სტივენ ჯერარდმა მაიკლ ოუენის პასი გამოიყენა. მაგრამ მასპინძელთა შტურმი არ გამოვიდა. გოლის ავტორმა მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და გატანაც უფრო მარკ ვიდუკას შეეძლო, ვიდრე მასპინძელთა თავდამსხმელებს.

„კარგად ვითამაშეთ და მოვიგეთ. ამისთვის ვიყავით განწყობილნი და შევძელით“ — თქვა სტუმართა მენეჯერმა დევიდ ოლირიმ.

ახლა „ლიდსი“ 33 თამაშიდან 56 ქულით მესამეა, „იფსვიჩს“ თამაშით და სამი ქულით ნაკლები აქვს, „ლივერპული“ კი 31 თამაშიდან 50 ქულით მეხუთეა.

**ბრედფორდი 2:0 ჩარლტონი**

1:0 ბლეიქი (73პ), 2:0 კარბონე (79)

ბრედფორდი: გ. უოლში, ჰალე, მიერსი, მოლენაარი, ჯეკობსი, მაკოლი, უოლი (ნოლანი 90), ჯესი, რ. ბლეიქი (მაკინლი 80), კარბონე, უორდი

მწვრთნელი: ჯიმ ჯეფერისი

ჩარლტონი: ილიჩი, ფიში, რუფუსი, ტოდი, კონჩესკუ, კიშიშევი (იენსენი 68), კინსელა, ჯ. რობინსონი, პარკერი (სალაკო 73), იოჰანსონი, სვენსონი (ბარტლეტი 68)

მწვრთნელი: ალან კერბიშლი

გაფრთხილება: უორდი, რუფუსი, კიშიშევი, პარკერი

17 511 მაყურებელი

I დივიზიონი

XXXXII ტური

**ბოლტონი 2:2 ბირმინგემი**

II დივიზიონი

XXXXII ტური

**ნორთჰემპტონი 0:2 კემბრიჯი**

## საფრანგეთი

II დივიზიონი

XXXIV ტური

**ნანსი 0:1 ლორიანი**

## პორტუგალია

XXVIII ტური

**ფარენსე 2:2 ბენფიკა**

## ჰოლანდია

XXVIII ტური

**სიტარდი 2:0 ნაიმეგენი**

## ბელგია

XXIX ტური

**ანდერლეხტი 0:0 სტანდარდი**

## ჩეხეთი

XXIV ტური

**სლავია 0:0 პრიბრამი**

## თურქეთი

XXIX ტური

**ბურსა 0:1 ბეშიქთაში**

## ავსტრია

XXIX ტური

**ადმირა ვაკერი 0:2 ტიროლი**

## რუსეთი

V ტური

**ტორპედო ზილ 2:0 ჩერნომორეცი**

## შვედეთი

II ტური

**ტრელებორგი 0:1 ნორჩიოპინგი**

# ევრიკა: ჟურნალისტები! რევაზ ძოძუაშვილის აპრილის თეზისები

*გუშინ მეთერთმეტედ შეიკრიბა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომი, თანაც უჩვეულოდ დიდხანს. მიუხედავად იმისა, რომ აღმასკომის წევრებს სულ ორ კონკრეტულ საკითხზე უნდა ელაპარაკათ, სპორტის დეპარტამენტის დარბაზში დაახლოებით სამი საათი დაჰყვეს და ერთი-ორჯერ ხმასაც ისე აუწიეს, გარეთ მომლოდინეთაც გაგვაგონეს.*



დავით ყიფიანი

**კამათი,** აბა, რა ძნელი მისახვედრია, საქრთველო — რუმინეთის მატჩის თაობაზე იყო. ერთი ერთს ამტკიცებდა, მეორე — თავისას. ამიტომაც მოგვიწია დერეფანში დიდხანს ლოდინმა, თუმც სწორედ დერეფანში გავიგეთ აღმასკომის გადაწყვეტილება — თანამდებობიდან განთავისუფლდა ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი მურთაზ ხურცილავა, რომლის შემცვლელიც მაშინვე დაამტკიცეს — ხურცილავას ყოფილი თანაშემწე, ადრე 18-წლამდელთა თავკაცი ვახტანგ კოპალეიშვილი.

ითქვა ერთი დასაფიქრებელიც — საქართველოს ნაკრები, როგორც რუმინელებთან მატჩამდე, იტალიელებთან სათამაშოდ ან ისევ გერმანიში, ანაც თურქეთში მოემზადება. ეს ფედერაციისთვის ნაკრების მწვრთნელებს თავად უთხოვიათ, რაც ზოგიერთმა არ მოიწონა და საქმე იქამდეც კი მივიდა, ზაზა ბოკერიამ აღმასკომის წევრობა იუარა.

ერთ საკითხზე აღმასკომის წევრები ერთსულოვანნი იყვნენ: გადაწყდა, რომ ვეტერან ფეხბურთელებს საქართველოში ჩატარებული ნაკრების მატჩებისას ბილეთების გაყიდვით მიღებული შემოსავლიდან გარკვეული წილი მიეცემათ.

აღმასკომის სხდომის შემდეგ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ და ნაკრების მწვრთნელებმა — რევაზ ძოძუაშვილმა და დავით ყიფიანმა პრესკონფერენცია გამართეს:

**მერაბ ჟორდანია:**

— რუმინელებთან ჩვენი ნაკრების წაგების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, ვფიქრობ, ის იყო, რომ ფეხბურთელებმა მორაგბეთა მსგავსი ხასიათის სიმტკიცე ვერ გამოავლინეს. გერმანიაში მომზადებისას გვეჩვენებოდა, თითქოს ამ მხრივ ყველაფერი კარგად იყო, ბიჭები იომებდნენ, მაგრამ... მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი, ჩემი აზრით, არ დაგვიკარგავს. პირადად ჩემი და ნაკრების მწვრთნელების განწყობა ადრინდელია — კვლავაც ჩემპიონატზე მოსახვედრად ვიბრძოლებთ.

**რევაზ ძოძუაშვილი:**

— რუმინეთთან წაგების მიზეზებზე ადრე რაც ვთქვი, გავიმეორებ. ჟურნალისტებმა ფეხბურთელები მატჩამდე ცაში აიყვანეთ, რამაც მათზე ფსიქოლოგიურად იმოქმედა; ჯანაშია რომ მოედანზე შევუშვით, ამან ტაქტიკა აგვირია; მესამე: ვერა და ვერ მოვაგვარეთ მეკარის პრობლემა. 30 მეტრიდან დარტყმული ბურთი მეკარეს უნდა მოეგერიებინა, უნდა გადავერჩინეთ.

ძოძუაშვილის ამ სიტყვებს, რა თქმა უნდა, ჟურნალისტთა შესაბამისი პასუხი და კამათიც მოჰყვა, თუმც ყოველივე დიდხანს არ გაგრძელებულა. ცხადია, სჯობდა, ძოძუაშვილს დაეკონკრეტებინა, ვის ან რას გულისხმობდა. არც თავს ჩაიგდებდა უხერხულ მდგომარეობაში და არც ასეთი აბსურდული გამოუვიდოდა ნათქვამი.

ეს ყველაფერი მას ადრეც უთქვამს. გუშინ კი რუმინელებთან მარცხის ერთი უცნაური მიზეზიც გაამხილა: რუმინელებთან მატჩის წინ თბილისში ჩამოსული ფეხბურთელები ორიოდ საათით შინ გავუშვით და ცოტა გადაიღალნენ, რუმინელები კი სასტუმროში ზუსტად 9 საათზე იძინებდნენ, ყველანაირად დასვენებულნი იყვნენო.

ესეც ჩვენი ბრალია..?

**დავით ყიფიანი:**

— მატჩამდე ხალხს დავპირდი, შესაძლებელია ვერ მოვიგოთ, მაგრამ მოედანზე გაჩერებული ქართველი ფეხბურთელი არ იქნება, ყველა იბრძოლებს-მეთქი. ახლა კი ვაღიარებ, რომ რამდენიმე ფეხბურთელში შევცდით. სამწუხაროდ, ბევრი მაღალი დონის მოთამაშე არ გვყავს, ამ მხრივ ნამდვილად არ ვართ განებივრებულნი. მე და რევაზ ძოძუაშვილი ვერცერთს ვეტყვით, ლიდერი შენ უნდა იყოო. ასეთად უნდა დაიბადო, ეს პიროვნებაზეა დამოკიდებული.

დავით ყიფიანმა სხვაც ბევრი თქვა, თუმცა ამჯერად ჟურნალიტების დადანაშაულება კოლეგას მიანდო, მაგრამ ერთი-ორჯერ მაინც გაგვკრა კბილი.

პრესკონფერენციის ბოლოს კი ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამაც თქვა თავისი:

— რუმინელებთან წაგებისთვის დღემდე გვაკრიტიკებთ. მოდით, ახლა ყველაფერი დავივიწყოთ და იტალიელებთან მატჩზე ვიფიქროთ.

აი, ასე ჩამთავრდა გუშინდელი აღმასკომის სხდომა და პრესკონფერენცია. რუმინელებთან წაგებაში ჟურნალისტთა ბრალზე კი, ვფიქრობთ, სათქმელი ბევრი არაფერია. ქომაგმა იცის, ვისი რა ბრალია. ყველამ თავის გულში ჩაიხედოს.

**კობა ინასარიძე**

# ხურცილავას ბიჭებს კოპალას ბიჭები შეცვლიან

***სულ ცოტა ხნის წინ ერთ ბედ ქვეშ მყოფი ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი მურთაზ ხურცილავა და მისი თანაშემწე ვახტანგ კოპალეიშვილი გუშინდელი აღმასკომის სხდომის შემდეგ სხვადასხვა გუნებაზე იყვნენ. ბედნიერმა კოპალეიშვილმა ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელის რანგში დატოვა დარბაზი, ხურცილავა კი დროებით უმუშევრად დარჩა. ამიტომაც სათქმელიც სხვადასხვა ჰქონდათ.***



ხურცილავა წავიდა, კოპალეიშვილი მოვიდა

**მურთაზ ხურცილავა**: მე ინტრიგანი არ ვარ, ქართული ფეხბურთის სიკეთე და გამარჯვება მინდა. აქედან გამომდინარე, გადავწყვიტე, რომ უმჯობესი იყო თანამდებობა დამეტოვებინა. მოტივაციაც, მგონი, საკმარისია. ზედიზედ სამ ოფიციალურ მატჩში დამარცხებას ჩემთვის არჩევანი არც დაუტოვებია.

**— კი მაგრამ, რაღა აღმასკომს უცდიდით, თქვენ ხომ რუმინეთთან მატჩის შემდეგ გადაწყვეტილება შეცვალეთ და თქვით, არსად წამსვლელი არ ვარო...**

— არა, წასვლა გადაწყვეტილი მქონდა. ის კი არა, რუმინეთთან მატჩის წინ გავიფიქრე, თუ წავაგებდით, ახალგაზრდული ნაკრებიდან წავსულიყავი. როგორც ნახეთ, ასეც მოვიქეცი იმიტომ, რომ თავმოყვარე ვარ და სალაპარაკოს არავის მივცემ.

**— თქვენს მოღვაწეობას ახალგაზრდულ ნაკრებში როგორ შეაფასებთ.**

— ვთვლი, რომ მთლიანობაში ურიგოდ არ მიმუშავია. ბოლოს და ბოლოს ის წაუგებელი მატჩების სერია გაიხსენეთ, ჩემი ხელმძღვანელობით ნაკრებმა რომ ითამაშა, მაგრამ ოფიციალურ მატჩებში დამარცხება მაინც სხვაა, ფაქტობრივად ფინალურ ეტაპზე მოხვედრის შანსი დავკარგეთ და სწორედ ეს ფაქტორი გახდა ჩემი წასვლის განმსაზღვრელი.

**— უსაქმოდ ყოფნას, ალბათ, დიდხანს არ აპირებთ.**

— მგონი, წარმოუდგენელია მურთაზ ხურცილავა ფეხბურთის გარეშე. ვნახოთ, რა იქნება. არ არის გამორიცხული, სფფ-მ შემომთავაზოს სამსახური, მეორეს მხრივ ჩვენი კლუბების პრეზიდენტებზეცაა ბევრი რამ დამოკიდებული. საქმეს არასდროს გავქცევივარ და ვისაც დავჭირდები, გვერდში დავუდგები.

**ვახტანგ კოპალეიშვილი:**

— აღელვებული და ბედნიერი ვარ. აღმასკომმა დიდი ნდობა გამომიცხადა და შევეცდები, გავამართლო. დარბაზიდან გამოსვლისას უდიდესი პასუხისმგებლობა ვიგრძენი.

თქმა არ უნდა, დღესდღეობით ახალგაზრდულ ნაკრებში კარგად ვერ გვაქვს საქმე და შესარჩევი ეტაპიც ფაქტობრივად, დამთავრებულია ჩვენთვის. ამიტომაც, ვფიქრობ, აქცენტი სელექციაზე, უკეთ მომზადებასა და სამერმისო წარმატებაზე უნდა გავაკეთოთ. სიმართლე გითხრათ, გარკვეულწილად უხერხულიცაა ჩემთვის, რომ ამ ბუმბერაზი ფეხბურთელის, მურთაზ ხურცილავას შემდეგ მიწევს ნაკრებში მოღვაწეობა, მაგრამ შევეცდები, თავი არ შევირცხვინო. ცხადია, ცვლილებები იქნება. ჩემი კონცეფცია და შეხედულებები მაქვს, მაგრამ ერთ რამეს გპირდებით, უბრძოლველად ერთ მატჩსაც არ დავთმობთ. გახსოვთ „კოპალას ბიჭები“, ზოგიერთ მათგანს შევიმატებთ, ზოგს სხვასაც. მინდა ყველამ იცოდეს, ახალგაზრდული ნაკრების კარი ღირსეულთათვის ყოველთვის ღია იქნება. ჩემი უმთავრესი საზრუნავი ამ ეტაპზე ისევ და ისევ სელექციაა და მჯერა ამ მხრივაც გავართმევ საქმეს თავს. მიზანი ერთია, პატიოსანი, ჯიგრიანი, ბრძოლისუნარიანი, მართლაც ეროვნული ახალგაზრდული ნაკრები გვყავდეს.

**ბაატა ძგანტალიანი**

საქართველოს უმაღლესი ლიგა 12 ჩემპიონატი მეორე ეტაპი

# 3 ტური

მიმოხილვა

# ბნელა საქართველოში?

## I–VI ადგილები

| ლოკომოტივი 2:0 ვიტ ჯორჯია | | |
|---|---|---|
| 13 | დაჯარიმდა | 17 |
| 1 | კუთხური | 4 |
| 5 | კარისკენ დარტყმა | 4 |
| 7 | კარში დარტყმა | 3 |
| 4 | თამაშგარე | 0 |

| დინამო 2:1 კოლხეთი | | |
|---|---|---|
| 13 | დაჯარიმდა | 11 |
| 3 | კუთხური | 2 |
| 3 | კარისკენ დარტყმა | 6 |
| 5 | კარში დარტყმა | 5 |
| 3 | თამაშგარე | 2 |

| ტორპედო 3:0 მერანი | | |
|---|---|---|
| 18 | დაჯარიმდა | 13 |
| 6 | კუთხური | 3 |
| 11 | კარისკენ დარტყმა | 4 |
| 8 | კარში დარტყმა | 2 |
| 3 | თამაშგარე | 1 |

**ცუდი** ამბები მოხდა საფეხბურთო ბოლნისში. ღრუბლები შეყრილა „სიონის“ თავზე. დღეს გაურკვეველია გუნდის ბედი. ფეხბურთელები უარს აცხადებენ თამაშზე, მთავარი მწვრთნელი სერიოზულად ავადაა, ხოლო მწვრთნელი თენგიზ კუბლაშვილი ნამდვილად არ გახლავთ ბოლნისში ჩამსვლელი.

არავის ეგონოს, თითქოს „სიონის“ გასაჭირი ფინანსურ პრობლემებს უკავშირდებოდეს. ფული თუ უფულობა ამჯერად არაფერ შუაშია. აუტანელი თავად გუნდში და მის ირგვლივ შექმნილი გარემოა.

თამაშიდან გამომდინარე, „სიონს“ „ბათუმთან“ საშინაო მატჩი დიდი ანგარიშით უნდა წაეგო. მოხდა სასწაული და მასპინძლებმა ფრეს მიაღწიეს.

განრისხდა ბოლნისური გუნდის ხელმძღვანელი, რაიონის გამგებელი ზურაბ ჯაფარიძე. სიტყვიერად შეურაცხყო ფეხბურთელები და მწვრთნელები.

ვერ აიტანა გინება თენგიზ კუბლაშვილმა, ანაც როგორ ჩაეყლაპა ამოდენა ხალხის თვალწინ მიყენებული შეურაცხყოფა მხცოვან და პატივსაცემ ადამიანს. სიტყვა შეუბრუნა ჯაფარიძეს.

...და გაიწია გამგებელმა მწვრთნელისკენ. წამის შემდეგ კუბლაშვილი მოსაბრუნებელი შეიქნა. შეურაცხყოფილი დროული კაცი მერე ცრემლს ვერ იმაგრებდა. ამბის შემსწრე სტუმარიც და მასპინძელიც განაცვიფრა, დაალონა და ჩააფიქრა მომხდარმა.

რითაც და როგორც შეგვიძლია, ვანუგეშებთ თენგიზ კუბლაშვილს. ქართველ ფეხბურთელთა რამდენ თაობას გაუვლია მის ხელში. რამდენი დაუყენებია მართალ გზაზე.

როგორ დავიჯეროთ, რომ ზურაბ ჯაფარიძე არ ნანობს ჩადენილ საქციელს. ალბათ, ნანობს კიდეც და ბოდიშიც ვერ გაუმრთელებს გულს, შეურაცხყოფას ვერ დაავიწყებს კუბლაშვილს.

არადა, რომ არა ჯაფარიძე, დღეს „სიონიც“ არ იქნებოდა. არც ბოლნისში გაკეთდებოდა ბევრი სასიკეთო რამ, მაგრამ მაინც ვერ გავამართლებთ. თუნდაც ათასი ვერსია წამოაყენოს თავის სასარგებლოდ.

არ მოგწონთ მწვრთნელი, გაუშვი, თვალში არ მოგდით ფეხბურთელი, გუნდში არ მიიღო. შეურაცხყოფა სიტყვიერი, ფიზიკური, მორალური და რა ვიცი, კიდევ ათასგვარი, მიუღებელია. საბედნიეროდ, საქართველოში ისე არ ბნელა, როგორც ბევრს ჰგონია.

ჩვენ ხომ ვიცით, რომ „სიონის“ მწვრთნელ-ფეხბურთელები არც რუსთავულ ამბებში ტყუოდნენ. უფრო სწორად, ტყუოდნენ იმაში, რომ საერთოდ ითამაშეს მეორე ნახევარი, მაგრამ...

„სიონი“ კი „იბერიას“ შემდეგ გავარდნის ერთ-ერთი რეალური კანდიდატია — წაქცეული, დაბნეული, ფსიქოლოგიურად დათრგუნული.

გორის „დილამ“ შინ საცოდავი „იბერია“ გამოიჭირა და იმდენი გოლი შეუგდო, ხუთ მაჩტში რომ არ გაუტანია.

თსუ წამყვანი მოთამაშეების გარეშე ეწვია „გორდას“. რაღა თქმა უნდა, წააგო, მაგრამ მსაჯმა გაგვტეხაო, დაიჩივლეს სტუდენტებმა.

ქვედა ექვსეულში ჯერ გარკვეული ერთი რამაა, ალბათ, „იბერია“ გავარდება. ვინ იქნება მეორე ან მესამე, ამას დრო და ვითარება გვიჩვენებს. ისე, დიდხანს ლოდინიც არ დაგვჭირდება.

ახლა პირველი ექვსეულის ამბები ვიკითხოთ. როგორც იქნა, მოიგო „ტორპედომ“. ქუთაისელებმა ერთბაშად სამი გაუტანეს „მერანს“, სამჯერ ძელხარიხაც შეუწუხეს სტუმრებს. ისიც სათქმელია, რომ სანამ ავჭალელები კაცნაკლულნი არ დარჩნენ, მანამ ვერ ხეირობდა „ტორპედო“.

გაიტანა გუჩუამ, გვირჯიშვილმა შემოსვლისთანავე შეარხია სტუმართა კარის ბადე, ბოლოს იონანიძემაც გაიხსენა გოლის გემო.

მოიგო „ლოკომოტივმაც“. წინა ტურში „ტორპედოს“ მძლეველმა „ვიტ ჯორჯიამ“ ძალების აღდგენა ვერ მოასწრო. დუნე თამაში იყო, მოსაწყენი.

მომდევნო ტურში სულ სხვა იქნება „ლოკომოტივიც“ და „ვიტ ჯორჯიაც“. გივი ნოდიას შეიძლება დაუბრუნდეს ტრავმირებული რუსია, თუმც არ არის გამორიცხული, დააკლდეს ცხადაძე. ფეხნატკენმა ჯაჯამ ვიტელებთან მატჩში კოჭლობით დატოვა [illegible] ედანი.

კარნევალის დაუბრუნდებიან ყიფიანი და საჯაია. გაძლიერდება „ვიტ ჯორჯია“.

„დინამომ“ „კოლხეთი“ წააქცია. ისევ უჭირს სტუმრად თამაში ფილიას გუნდს. კოჭნატკენია ბომბარდირი ზირაქიშვილი. ბოლომდე ბრძოლისთვის ძალები არ ჰყოფნის „დინამოს“. ისე, არცაა გასაკვირი, ათგზის ჩემპიონს რა ხანია, ნორმალური შეკრება არ გაუვლია.

ჩემპიონობისთვის კი დიდი ბრძოლაა გაჩაღებული. დაიძაბა ჩემპიონატი, თუმც დონე ისეთია, ადრე, ძველ დროში სოფლის პირველობაზე რომ გვინახავს.

გოლხვავრიელი იყო მესამე ტური. ექვს მატჩში გატანილი 22 გოლიც არ გახლავთ ცოტა. მოკლედ, დიდმარხვის ბოლო კვირა მასპინძლების იყო.

ხვალ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულია. მერე კიდევ — მომდევნო ტური, რომელიც რაღაც კონტურებს მოხაზავს და მიგვანიშნებს, როგორი იქნება ბოლო.

**გამუკა ძგანტალიანი**



„დინამო“ — „კოლხეთი“ 2:1. ჩემპიონატის ბომბარდირი, დინამოელი ზაზა ზირაქიშვილი (№10) უგოლოდ არც ამ მატჩში დარჩა

## VII–XII ადგილები

| დილა 7:1 იბერია | | |
|---|---|---|
| 18 | დაჯარიმდა | 8 |
| 0 | კუთხური | 4 |
| 4 | კარისკენ დარტყმა | 3 |
| 8 | კარში დარტყმა | 3 |
| 3 | თამაშგარე | 5 |

| სიონი 1:1 ბათუმი | | |
|---|---|---|
| 15 | დაჯარიმდა | 20 |
| 6 | კუთხური | 6 |
| 8 | კარისკენ დარტყმა | 5 |
| 5 | კარში დარტყმა | 9 |
| 2 | თამაშგარე | 2 |

| გორდა 4:0 თსუ | | |
|---|---|---|
| 14 | დაჯარიმდა | 18 |
| 10 | კუთხური | 1 |
| 7 | კარისკენ დარტყმა | 5 |
| 7 | კარში დარტყმა | 2 |
| 8 | თამაშგარე | 4 |

| ბომბარდირები | |
|---|---|
| 17 - ზირაქიშვილი | დინამო |
| 11 - დ. გოდერძიშვილი | მერანი |
| 10 - რუსია | ლოკომოტივი |
| იონანიძე | ტორპედო |
| 9 - გადელია | დინამო |
| ლ. მელქაძე | ვიტ ჯორჯია |
| 8 - ა. მუჯირი | ბათუმი |
| გ. შენგელია | ლოკომოტივი |
| 7 - გ. ვ. მიქაძე | დინამო |
| 6 - აფხაზავა | ბათუმი |
| ფუფუნაშვ | ვიტ ჯორჯია |
| გ. ქორიძე | ვიტ ჯორჯია |
| ყულეჯიშვილი | ბათუმი |
| ეჯოშვილი | დილა |

### სიმბოლური ნაკრები

კოკა მიკუჩაძე — დინამო
ზაზა ზირაქიშვილი — დინამო
კახა მოგიჩაიშვილი — ლოკომოტივი
ვალტერ გუჩუა — ტორპედო
არჩილ რომანაძე — ბათუმი
კახა ალადაშვილი — გორდა
გიორგი ჩიჩუა — ბათუმი
გიორგი შაშიაშვილი — დინამო
მურთაზ შელია — ლოკომოტივი
გიორგი ბალაშვილი — ლოკომოტივი
გია ტანტურია — ბათუმი

გუნდი: დინამო

მწვრთნელი: გოჩა ტყებუჩავა

| უმაღლესი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ლოკომოტივი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 0 | 32 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 2 | 4 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |
| 2 დინამო | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 1 | 29 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 3 ტორპედო | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 0 | 28 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | -3 | 1 |
| 4 კოლხეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 2 | 22 | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 6 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 5 ვიტ ჯორჯია | 3 | 1 | 0 | 2 | 4:4 | 0 | 22 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | -3 | 0 |
| 6 მერანი | 3 | 0 | 2 | 1 | 0:3 | -3 | 18 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 0:3 | -3 | 1 |

| უმაღლესი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 თსუ | 3 | 2 | 0 | 1 | 4:4 | 0 | 16 | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 6 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | -4 | 0 |
| 2 ბათუმი | 3 | 0 | 2 | 1 | 1:2 | -1 | 16 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 0 | 2 |
| 3 გორდა | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 2 | 15 | 2 | 2 | 0 | 0 | 7:2 | 5 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 |
| 4 დილა | 3 | 1 | 1 | 1 | 7:3 | 4 | 13 | 2 | 1 | 1 | 0 | 7:1 | 6 | 4 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |
| 5 სიონი | 3 | 0 | 2 | 1 | 3:6 | -3 | 12 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 4:5 | -1 | 1 |
| 6 იბერია | 3 | 0 | 1 | 2 | 3:11 | -8 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:9 | -8 | 0 |

საქართველოს უმაღლესი ლიგა 12 ჩემპიონატი მეორე ეტაპი

# 4 ტური

ანონსი

## I–VI ადგილები

მცხეთა. არმაზი. 17 აპრილი. 16 საათი

**ვიტ ჯორჯია — მერანი**

თბილისი. 26 მაისი. 17 აპრილი. 16 საათი

**ლოკომოტივი — დინამო**

ფოთი. ფაზისი. 17 აპრილი. 16 საათი

**კოლხეთი — ტორპედო**

## VII–XII ადგილები

თბილისი. შევარდენი. 17 აპრილი. 16 საათი

**იბერია — ბათუმი**

გორი. ცენტრალური. 17 აპრილი. 16 საათი

**დილა — გორდა**

მცხეთა. არმაზი. 18 აპრილი. 16 საათი

**თსუ — სიონი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საჯაიას კაცურად აპატიეს, წესდებით ვერა



ბაჩანა კოპალიანის ფოტო

ედიკ საჯაია

**გუშინ** გამართულ სფფ-ის სადისციპლინო კომიტეტის სხდომის მთავარი საკითხი ფოთში, „კოლხეთი“ — „ვიტ ჯორჯიას“ მატჩისას მომხდარი ინციდენტი იყო.

მავანმა კოლხმა ვაი-გულშემატკივარმა ვიტელი ედიკ საჯაიას „აყვანა“ სცადა. მისი ერთადერთი ფუნქცია საჯაიას გინება იყო. მთელი შეხვედრის განმავლობაში უთმინა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრმა შეურაცხმყოფელს, ბოლოს კი ანკესზე წამოეგო და გაშმაგებულმა და წყობიდან გამოსულმა თავადაც დაუბრუნა ხურდა უხამს მასპინძელს. ფეხბურთელის ასეთ საქციელზე სადისციპლინო კომიტეტი ყოველთვის რეაგირებს და გამონაკლისი არც გუშინ მომხდარა. დისციპლინარებმა ფეხბურთელს კაცურ ამბავში კი ვაპატიებთ, მაგრამ კანონს ვერ დავარღვევთო და საჯაიას ორმატჩიან დისკვალიფიკაციასთან ერთად 100-ლარიანი ჯარიმაც გამოუწერეს. 50 ლარით დაჯარიმდა იმ ინციდენტში საჯაიას მხარის დამჭერი „ვიტ ჯორჯიას“ ექიმი ხვადაგიანი. დისციპლინარებმა 50-50 ლარით კიდევ ორ ვიტელს — ინწკირველს და მერლანს შეუთხელეს ჯიბე.

საჯაიას მსგავსად დაისაჯა „მერანის“ უკრაინელი ლეგიონერი მუხინიც, მისი თანაგუნდელი გოგიტაძე კი ერთ მატჩს გამოტოვებს და 50 ლარსაც გაიღებს.

დარღვევები იყო პირველ ლიგაშიც. მსაჯების „ტკბილად“ მომკითხავი „მილანელი“ ბარაბიძე და „თორელი“ ტარიელაშვილი 100-100 ლარს გადაიხდიან და ორ-ორი მატჩით მოსცდებიან ჩემპიონატს, გურული განევი კი ერთი მატჩით და 50 ლარით დაჯარიმდა.

გუშინწინ ხაშურში „ივერიასთან“ სათამაშოდ „ზუგდიდი“ დაგვიანებით ჩავიდა. დებულების თანახმად, ეს გუნდი მოსახსნელია გათამაშებიდან, რადგან აქამდე პირობითი დისკვალიფიკაცია ჰქონდა. სადისციპლინო კომიტეტმა „ზუგდიდს“ „ივერიასთან“ ტექნიკური დამარცხება — 0:3 ჩაუთვალა, თანაც გადაწყვიტა, რომ საბოლოო განაჩენს ამ კლუბის მოხსნა-დატოვებასთან დაკავშირებით 18 აპრილის სხდომაზე მიიღებს. აქედან გამომდინარე, 17 აპრილს დანიშნული „ზუგდიდი“ — „თორის“ მატჩი მოგვიანებით ჩატარდება, თუ საერთოდ ჩატარება უწერია.

**ბაათა კვანტალიანი**

# სახვაძე პირველ ბუნდესლიგას მიადგა

**თბილისის** „დინამოს“ მარცხენაფლანგელი არჩილ სახვაძე ამ ზამთარს გუნდიდან აიბარგა. იარა... ისევ დაბრუნდა. მერე ისევ წავიდა.

ბოლო ცნობით, ყოფილი დინამოელი გერმანიაში იყო და მეორე ბუნდესლიგის რომელიმე კლუბში აპირებდა მოწყობას. ეს ამბავი „დინამოში“ გვითხრეს და მისი პირველი ნაწილი მართალი გამოდგა. აჩიკო მართლაც გერმანიაშია.

რაც შეეხება კლუბს, იგი ბუნდესლიგის „ვოლფსბურგი“ აღმოჩნდა, რომელიც უძლიერესთა ლიგაში 40 ქულით მეცხრე ადგილზეა და მეტი გატანილი გოლის წყალობით უსწრებს ქართველთა „ფრაიბურგს“.

— „ვოლფსბურგში“ 22 წლის ქართველი ნახევარმცველი არჩილ სახვაძეა მიპატიჟებული. კლუბის თავკაცებს იგი პატრიკ ვაიზერის შესაძლო შემცვლელად შეუგულებიათ. ცაცია სახვაძემ გუნდთან ერთად უკვე რამდენიმე ვარჯიში ჩაატარა და მწვრთნელებზე დადებითი შთაბეჭდილებაც მოახდინა.

როგორც ამბობენ, მომავალი კვირის დასაწყისში „ვოლფსბურგი“ კონტრაქტს გააფორმებს ქართველ მცველთან. თუ ასე მოხდა, მაშინ მომავალი სეზონისთვის სამზადისში სახვაძე მესამე ახალშენაძენი იქნება მეკარე სიდ სამოვიჩისა და ფორვარდ მარტინ პეტროვის შემდეგ — ამ ინფორმაციას ბუნდესლიგის ერთ-ერთი საინტერნეტო გვერდი გვამცნობს. შეაღებს თუ არა არჩილ სახვაძე ბუნდესლიგის კარს, ამას მომავალ კვირას გავიგებთ.



ბაჩანა კოპალიანის ფოტო

არჩილ სახვაძე (მარჯვნივ) გერმანულ „ვოლფსბურგში“ ვარჯიშობს

**დათო დანელია**

რესტორანი მზიანი ღამე






განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით
დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე დანაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

კუტუზოვის ქუჩა №3
(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)

მობრძანდით, გვენდეთ: კმაყოფილი დარჩებით

# იოჰანესბურგის ტრაგედიამ ფიფას 2010 წელი გაახსენა


REUTERS იოჰანესბურგიდან

იოჰანესბურგის საავადმყოფოები დაშავებულებით გაივსო

**იოჰანესბურგში** დატრიალებულმა ტრაგედიამ მთელი მსოფლიო შეაშფოთა, მათ შორის, რაღა თქმა უნდა, ფიფას დიდმოხელენიც. შეგახსენებთ: „ელის პარკზე", „კაიზერ ჩიფზისა" და „ორლანდო პაირატსის" შეხვედრის დროს ჭარბი მაყურებლის ჭყლეტამ ოფიციალური ვერსიით 43 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

ამასთან დაკავშირებით, ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა და ამავე ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა მიშელ ზენ-რუფინენმა, სამხრეთ აფრიკის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტს, მოლეფი ოლიფანტს ერთობლივი წერილი მიწერეს. ტექსტი, ბუნებრივია, სტანდარტული გახლდათ.

ამასთან, ბლატერმა დასძინა, რომ სამხრეთაფრიკელთა გეგმებზე 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობასთან დაკავშირებით, ამ წუთას ვერაფერს იტყვის. მოგეხსენებათ, ამ ქვეყანაში, უფრო ზოგადად კი აფრიკის კონტინენტზე მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარება ფიფას პრეზიდენტისთვის ლამის თვითმიზნად იქცა და ამიტომაც განაცხადა, ჯერ მაგაზე ლაპარაკს სჯობს დალუპულები დავკრძალოთ და იმაზე ვიფიქროთ, ასეთი ტრაგედია სხვაგან არსად განმეორდესო.

ამასობაში კი „კაიზერ ჩიფს" აფრიკის თასების მფლობელთა თასზე უწევს თამაში, მაგრამ კონტინენტის ფეხბურთის კონფედერაციასთან შეთანხმებით იგი კვირიდან 72 საათით გადაიდო. ესე იგი ოთხშაბათს გაიმართება.

**ბაჩუნა ძიძია**

# ვასეჟის გულის მასაჟი


რობერ ვასეჟი გუნდს გულმა გამოაცლო

**ბელგიის** ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა, რომ ჩეხების წინააღმდეგ 25 აპრილს დაგეგმილ ამხანაგურ მატჩში ქვეყნის ეროვნულ გუნდს რობერ ვასეჟი არ უთავკაცებს. მწვრთნელს ცოტა ხნის წინ გულის შეტევა ჰქონდა და ფედერაციამაც ახლა მისი პრაღაში ჩასვლა გამართებულად არ მიიჩნია. აჯობებს, ვასეჟმა მკურნალობის კურსი ბოლომდე ჩაიტაროსო.

„კატეგორიული უარი განვაცხადეთ, ვასეჟმა ჩეხების წინააღმდეგ ამხანაგურ მატჩში გუნდს არ უნდა უხელმძღვანელოს. ახლა მას მკურნალობა სჭირდება, ბოლომდე უნდა მომჯობინდეს და სამუშაოს შემდეგ დაუბრუნდეს. ჩვენ დიდი იმედი გვაქვს, რომ სრულად გამოჯანმრთელებული მწვრთნელი თავისი მოვალეობის შესრულებას მალევე შეუდგება" — განაცხადა ბელგიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მიშელ დოჟმა.

61 წლის ვასეჟმა მიკროინფაქტის შემდეგ რამდენიმე დღე ჰოსპიტალში გაატარა. იგი ორშაბათს გამოწერეს. ჩეხებთან ბელგიის ნაკრებს მისი ასისტენტები — ვინს ბრიგანტი და ჟერ მუნარონი დამოძღვრავენ.

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში კი, 2 ივნისს ლატვიასთან და 6 ივნისს სან მარინოსთან, გუნდს ალბათ, ისევ ვასეჟი დაუბრუნდება.

## ფეხბურთის რუკასთან



**ჩრდილოელირლანდიელ** ნახევარმცველ სტივ ლომასს ტრავმირებულ მუხლზე ოპერაცია უნდა გაუკეთონ, რის გამოც იგი სეზონის დარჩენილ ნაწილს გამოტოვებს. „ფეხბურთელს მყესები აქვს დაზიანებული. მკურნალობას და სარეაბილიტაციო პერიოდს ორ თვეზე მეტი დასჭირდება" — განაცხადა კლუბის ექიმმა. აღსანიშნავია, რომ ქრონიკული ტრავმის გამო ლომასს კარგა ხანია, არ უთამაშია. თავიდან ფიქრობდნენ, რომ იგი ოპერაციის გარეშე გამოჯანმრთელდებოდა, თუმცა ასე არ მოხდა და ქირურგიულ ჩარევაზე დათანხმდნენ.

**გერმანულმა „ჰანზამ"** „ტილბურგის მცველი დელანო ჰილი შეიძინა. ამ ფეხბურთელის გადაბირებას „კიოლნიც" ცდილობდა, მაგრამ საბოლოოდ როსტოკულმა კლუბმა იმარჯვა. 25 წლის ფეხბურთელი ჰოლანდიურ კლუბში მესამე სეზონს ატარებს, მანამდე კი იგი „ვალვაიკის" ღირსებას იცავდა. გერმანული სააგენტოების ცნობით, „ჰანზამ" ჰილის სანაცვლოდ 1,5 გირვანქა გადაიხადა, ჰოლანდიელმა კი სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და ახალ კლუბში მომავალი სეზონიდან ითამაშებს.

**ბრაზილიელ** ნახევარმცველ ზე რობერტოს შეძენით „მილანი" და ესპანეთი ჩემპიონი „დეპორტივო" დაინტერესდნენ. როგორც იუწყებიან, ეს ორი კლუბი თანახმაა, „ლევერკუზენს" 10 მილიონი დოლარი გადაუხადოს. ზე რობერტოს ბუნდესლიგურ კლუბთან კონტრაქტი 2002 წელს უსრულდება, „ლევერკუზენს" აქამდე არაერთხელ განუცხადებია, რომ ბრაზილიელის გაყიდვას არ აპირებს. მეტიც, მასთან შეთანხმების გახანგრძლივება სურს. ზე რობერტო გერმანულ კლუბში 1999 წელს „სან პაულუდან" ჩაირიცხა.

**ესპანურმა „ბარსელონამ"** ბრაზილიაში წარმომადგენლები გაგზავნა, რათა მან პორტუ ალეგრის „ინტერნასიონალთან" წამოიწყონ მოლაპარაკება ბრაზილიელ ნახევარმცველ ფაბიო რაკემბახის კატალონიაში გადაყვანის თაობაზე. თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ ფეხბურთელის შეძენას იტალიის ჩემპიონატის ლიდერი „რომაც" ცდილობს. როგორც ერთ-ერთი ბრაზილიური გაზეთი იუწყება, რომაელთა წინადადება გაცილებით ხელსაყრელია. ამიტომ ჯერჯერობით უფრო მოსალოდნელია, რომ ფაბიო იტალიაში გადაბარგდეს.

**იტალიური „იუვენტუსი"** უახლოეს მომავალში „ფლამენგოს" პერსპექტიულ ფეხბურთელ ადრიანოსთან აპირებს კონტრაქტის გაფორმებას. 19 წლის ფორვარდის აგენტი ირწმუნება, რომ თითქმის ყველა პირობა უკვე შეთანხმებულია. ტურინული კლუბი ადრიანოს სანაცვლოდ 16 მილიონ დოლარზე მეტს იხდის. აქვე აღვნიშნოთ, რომ ადრიანო ბრაზილიის ახალგაზრდული ნაკრების წევრია.

**რუმინული** „უნივერსიტატიას" მწვრთნელი ილიე ბალაკი თანამდებობიდან გადადგა. მან გუნდს მხოლოდ ოთხ შეხვედრაში უხელმძღვანელა. „დაგეგმილი მქონდა კრაიოვაში ძლიერი გუნდი შემექმნა, მაგრამ მივხვდი, რომ ეს შეუძლებელია, ამიტომ მირჩევნია გადავდგე" — განაცხადა მწვრთნელმა პრესკონფერენციაზე. თუმცა იგი კლუბს მომავალ ტურში „ასტრას" წინააღმდეგ უკანასკნელად მაინც დამოძღვრავს. აღსანიშნავია, რომ ბალაკიმ დაახლოებით ერთი კვირის წინ გუნდიდან საუკეთესო ბომბარდირი და კიდევ სამი ფეხბურთელი დაითხოვა.

**ბრაზილიური „კორინთიანსის"** ფორვარდი ლუიზაო მუხლის რთული ტრავმის გამო წლეულს ველარ ითამაშებს. ფეხბურთელი, რომელიც ბოლო ხანს ბრაზილიის ნაკრებშიც გამოიძახეს, შაბათს ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრაში მძიმედ დაშავდა. აღსანიშნავია, რომ მისი შეძენით დორტმუნდის „ბორუსია" იყო დაინტერესებული, თუმცა, როგორც ვარაუდობენ, ახლა ტრანსფერი გაისამდე გადაიდება. ლუიზაოს ევროპაში უკვე უთამაშია. იგი „დეპორტივოს" ღირსებას იცავდა, თუმცა მერე „ვასკუ და გამაში" დაბრუნდა და 1998 წელს ლიბერტადორესის თასის მფლობელიც გახდა.

## გერმანია

**შტუტგარტი 1:0 კოტბუსი**

1:0 ბალაკოვი (72პ)

შტუტგარტი: ტ. ერნსტი, მარკუში, სოლდო (მინჯელი 22), ვენცელი, ტოდტი, ტიამი, ბალაკოვი, ლისტეში, ზაიცი (ტაიფერტი 46), განია (კარნელი 84), დანდი

მწვრთნელი: ფელიქს მაგათი

კოტბუსი: პიპლიცა, ვატა, პიულოროვიჩი, მატიუში, რეეკამპფი, სკერბე (ს. ილიე 82), ბკრაბოვიჩი, კობილანსკი (ვაგრეიჩეკი 75), ლატუნდი, ლაბაკი (რიოდლუნდი 77), ჰელბიგი

მწვრთნელი: ედუარდ გაიერი

გაფრთხილება: მარკუში, კარნელი, ჰინკელი, კობილანსკი, ჰელბიგი, პიპლიცა, ვატა

40 000 მაყურებელი

**უცნაურები** არიან გერმანელები, ხუთშაბათს ყველა ორგანიზაცია-დაწესებულება ოთხი დღით დაიკეტა აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით. უზარმაზარ ბერლინში სურსათის მაღაზიასაც კი ძნელად იპოვის კაცი ღიას. ქვეყნის საფეხბურთო კავშირმაც თქვა, წითელ პარასკევს ფეხბურთის თამაში სად გაგონილაო და „შტუტგარტი" — „კოტბუსის" მატჩი ერთი დღით ადრე ჩაატარა, მაგრამ კვირას, აღდგომა დღეს, დაგეგმილი ორი შეხვედრის გადადება რატომღაც აზრადაც არ მოსვლია. ასე რომ, ამ უქმეებზე ძველებურად რვა მატჩია გუშინწინ კი ფელიქს მაგათის „შტუტგარტმა" 3 მარტის მერე პირველად მოიგო, უინტერესო თამაშში ბულგარელი კრასიმირ ბალაკოვის ზუსტად შესრულებული პენალტით „კოტბუსი" 1:0 დაამარცხა და გასავარდნ ზონას დროებით თავი დააღწია.

### II ბუნდესლიგა

XXIX ტური

**ქემნიცი 0:0 ვალდჰოფი**

**არმინია 1:1 დუისბურგი**

0:1 ებერსი (67), 1:1 ვიშნიარეკი (89პ)


REUTERS შტუტგარტიდან

„შტუტგარტს" კრასიმირ ბალაკოვმა (მარჯვნივ) მოაგებინა

## ჰოლანდია

თასის ფინალი

**ტვენტე — პსვ ეინდჰოვენი**

გაიმართება 24 მაისს როტერდამში, „დე კუიპზე"

## ჩეხეთი

თასის 1/2 ფინალის წილისყრა

სპარტა — ბლშანი; სლავია — ტეპლიცე

მატჩები გაიმართება 1 და 2 მაისს

## მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

## აზია

VI ჯგუფი. I ტური

**ერაყი 8:0 მაკაო**

1:0, 2:0, 3:0, 4:0 მუჰამედი (21, 31, 33, 35), 5:0 ჯაბერი (60), 6:0 მუჰამედი (76), 7:0 ჯაბერი (83), 8:0 კადხიმი (87)

**ყაზახეთი 6:0 ნეპალი**

1:0 კადუკულოვი (11), 2:0 ურაზბახტინი (21), 3:0 ლიტვინენკო (28), 4:0 ლუნევი (73), 5:0 ბალტიევი (75), 6:0 კადუკულოვი (82პ)

## Copa Toyota Libertadores '2001

### ლიბერტადორესის თასი 2001

IV ჯგუფი. IV ტური

**ოლიმპია (პარაგვაი) 2:2 ემელეკი (ეკვადორი)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კრუზეირო | 4 | 4 | 0 | 0 | 12:3 | 12 |
| ოლიმპია | 4 | 1 | 2 | 1 | 7:7 | 5 |
| ემელეკი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:5 | 5 |
| სპორტინგ კრისტალი | 4 | 0 | 0 | 4 | 0:8 | 0 |

VI ჯგუფი. V ტური

**ვასკუ და გამა (ბრაზილია) 4:1 ამერიკა (კოლუმბია)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვასკუ და გამა | 4 | 4 | 0 | 0 | 10:2 | 12 |
| ამერიკა | 5 | 3 | 0 | 2 | 8:9 | 9 |
| პენიაროლი | 4 | 0 | 1 | 3 | 3:6 | 1 |
| დეპორტივო ტაჩირა | 3 | 0 | 1 | 2 | 0:4 | 1 |

VII ჯგუფი. V ტური

**დეფენსორ სპორტინგი (ურუგვაი) 3:2 კრუზ ასული (მექსიკა)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კრუზ ასული | 5 | 3 | 1 | 1 | 9:6 | 10 |
| დეფენსორ სპორტინგი | 5 | 2 | 1 | 2 | 8:10 | 7 |
| ოლმედო | 4 | 2 | 0 | 2 | 10:9 | 6 |
| სან კაეტანო | 4 | 0 | 2 | 2 | 2:4 | 2 |

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახალისო ისტორიები

## ფეხბურთი სიცოცხლის საწყისია, ბურთი კი წიგნზე მდიდარია




**სტენ კოლიმორი** ესპანური „ოვიედოდან“ გაიქცა. არავისთვის არაფერი უთქვამს, ჩუმად ჩაალაგა ჩემოდნები (სულ შვიდი) და ინგლისში დაბრუნდა. ამაზე უკვე ვწერდით და ვაღიაროთ, რომ სახალისო არაფერია.

ლონდონში ჩასული კოლიმორი დეპრესიას ებრძვის (უკვე მერამდენე წელია) და ჟურნალ „მერი კლერისთვის“ ინტერვიუ მიუცია. იგი იმ გახმაურებულ შემთხვევაზეც ლაპარაკობს, როცა ამ რამდენიმე წლის წინ ბარში მაშინდელ საცოლე ულრიკას სცემა.

ეს ასე მომხდარა — საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატის დროს სტენი ბარისკენ მიიჩქაროდა, სადაც ულრიკა ელოდა. გზად სქოთი ქომაგები შეჰყრია, რომელთაც ლადაობა დაუწყიათ, ვაჰ, სტენ, სტადიონზე რატომ არ ხარ, ბუცები სასმელში ხომ არ გაგიცვლიაო. სტენ კოლიმორს როგორღაც თავი შეუკავებია და გასცლია, თუმცა ბარში მისულს ხასიათი გვარიანად წამხდარი ჰქონია. მივიდა და რას ხედავს — ულრიკას სქოთთა მაისურა აცვია, შოტლანდიელთა კომპანიაში ზის და ლუდს წრუპავს. ველარ მოვითმინე და თავში ჩავცხეო, აღიარებს კოლიმორი. მას მერე სტენისა და ულრიკას გზები გაიყარა.

\# \# \#

**წინა ამბავი** მაინცდამაინც სახალისო ვერ გამოგვივიდა და ახლა ვცადოთ. ვინმე ჯონ ილინვორტი დიდი კაცია, ინგლისელ მასწავლებელთა ეროვნული პროფკავშირის პრეზიდენტია. ამ პატივცემული პიროვნების ამბავი კი იმიტომ გვაინტერესებს, რომ თავის დროზე ის იმ სკოლის დირექტორის მოადგილე იყო, რომელშიც პატარა ზანგი ბიჭუნა ენდი კოული სწავლობდა.

პატარა ენდი წიგნების მაგიერ ბურთს ურტყამდა თავს და დღემდე ასე გრძელდება. პატივცემულ ჯონ ილინვორტს ეს ამბავი არ მოსწონებია და ბიჭუნასთვის ჭკუა დაურიგებია, შვილო, ენდი, წიგნი გადაშალე, კაცი დადგები, ბურთის დევნით ცხოვრებაში ვერაფერს მიაღწევო.

ენდი კოულს ეს ამბავი დაუმახსოვრებია და ახლა სიცილით ამბობს, რასაც ილინვორტი წელიწადში გამოიმუშავებს, ჩემი ერთი კვირის ხელფასიაო.

ინგლისშიც უჭირთ მასწავლებლებს.



. ენდი კოული: კაცი ვარ და ქუდი მხურავს!

**ევროპული** ჩემპიონატების უმრავლესობა საცაა დამთავრდება, ნორვეგიელები კი სეზონს ახლა იწყებენ. იქაური კლუბები იმაზე იმტვრევენ თავს, მაყურებლები როგორ მიიზიდონ, თორემ უმაყურებლო ფეხბურთს, აბა, რა ფასი აქვს. არა, განა სულ არ დადიან, მაგრამ დამატებით მოზიდვაც ხომ კარგია.

ლინესტრიომელებმა ბაზარი შეისწავლეს და აღმოაჩინეს, რომ იქაური გუნდის თამაშს საშუალოდ ხუთი ათასი კაცი ესწრება. აქ სიტყვა „კაცი“ ადამიანს კი არ ნიშნავს, არამედ სწორედ რომ მამრობითი სქესის წარმომადგენელს, ესე იგი, ქალები „ლილესტრიომს“ ნაკლებად სწყალობენ. ესეც გულშემატკივართა ბაზრის აუთვისებელი სეგმენტი.

მაგრამ ქალები აქამდე თუ არ დადიოდნენ სტადიონზე (თითო-ოროლა არ ითვლება), ახალ სეზონში რატომ ივლიან? კლუბის მესვეურებმა ასეთი რამ მოიფიქრეს — ქალებს სტადიონზე ცალკე სექტორს გამოუყოფენ (აბა, უსმინე ვიღაც მთვრალების გინებას), ბილეთებს ნახევარ ფასში მიჰყიდიან და თამაშის წინ მათ ადგილობრივი პოპ-ვარსკვლავი და ქალთა გულთამპყრობელი, მავანი რუნე რუდბერგი გაართობს.

ვინძლო, ამ ხერხმა გაჭრას.

\# \# \#

**ცრუმორწმუნეობის** აჩრდილი დადის ევროპის კლუბებში. ზოგი მატჩამდე შავ მამლებს კლავს, ზოგი საბრალო ცხვარს სწირავს, მაგრამ არაფერი გამოსდით. ჭკვიანი ხალხი ამბობს, მეტოქის კარში ბურთი ფეხბურთელმა უნდა გაიტანოს და არა ცხვარმაო (დაკლული ცხვარი, მით უმეტეს, ვერ გაიტანს). აგერ, ამერიკის სამოას ფეხბურთელებს ავსტრალიასთან მატჩის წინ საგალობლები უმღერიათ, მაგრამ რატომღაც 0:31 წააგეს.

თურქულ „გაზიანთეფში“ კი 11-ნომრიანი მაისურა აითვალწუნეს, უბედურების მომტანიაო. ფეხბურთელმა, რომელიც 11 ნომრით თამაშობდა, მარცხენა ფეხი მოიტეხა და ვისაც მაისურა გადააბარა, ორ კვირაში იგივე ბედი ეწია. ახლა მოჯადოებულ მაისურას აღარავინ ეკარება.

\# \# \#

**იტალიელი** მეცნიერები ფრიად საჭირბოროტო პრობლემას იკვლევენ: ფეხბურთი და ოჯახი. ამ მიზნით მათ გამოკითხვა ჩაატარეს და საინტერესო შედეგებიც მიიღეს.

თურმე მეუღლეთა 40 პროცენტი ფეხბურთის დროს ერთად მისჯდომია ტელევიზორს, მათ 70 პროცენტს კი მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ სექსუალური აქტიურობა ემატება.

ფეხბურთის ერთად მაყურებელ ცოლ-ქმართა 26 პროცენტმა ისიც თქვა, პირდაპირ თამაშის დროსაც დავკავებულვართ ფრიად საინტერესო საქმითო. ქალების ნახევარმა კი გაამხილა, გაოფლილი ფეხბურთელების დანახვაზე ველგზნებით და გონებაში რაღაცეებს წარმოვიდგენთო. ყველაზე მეტად მათ ფრანჩესკო ტოტი, პაოლო მალდინი და ფილიპო ინძაგი მოსწონთ. ამათმა ქმრებმა კი თქვეს, სულაც არ ვეჭვიანობთო.



ემერსონ ლეაომ და მისმა ნაკრებმა ბრაზილია ვერაფრით გაახარა

# TETRACAMPEONES

## შეუდარებელი ბრაზილიელების დიდი სადარდებელი

**ბრაზილიელთა** საფეხბურთო ნაკრები დიდი ხანია, ველარაფრით ახარებს ერთგულ გულშემატკივარს. არადა, ტორსიდა მათგან ყველგან და ყველაფერში უეჭველი პირველობის, რაღაცით გამორჩეულ, არავის მსგავს სანახაობას ელის.

დღეს პირველობისა რა გითხრათ, წარმატებებსა და ტრიუმფალურ სვლებს დაჩვეულ მაყურებელს ნორმალური, ჩვეული, ლაღი ბრაზილიური ბურთის გორებაც სანატრელი გაუხდა. მეტიც, ტეტრაკამპეონებმა თუ ისევე გააგრძელეს, როგორც ბოლო ხანებში, მსოფლიოს ჩემპიონატი, პირველად ფეხბურთის ისტორიაში, შეიძლება ბრაზილიელთა გარეშე ჩატარდეს. ფეხბურთის გულშემატკივარს მრავალი დიდი საფეხბურთო ტრადიციების მქონე ქვეყნის ეროვნული გუნდების არც თუ ხანმოკლე ჩავარდნები ახსოვს. გამონაკლისი არც ბრაზილია გახლავთ. მათაც ჰქონიათ შავი ლაქები საფეხბურთო ისტორიაში, მაგრამ დღევანდელ უსახურობამდე, ალბათ, არასდროს დაცემულან. მათი დაღმასვლა საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური მატჩის შემდეგ დაიწყო, როცა მარიო ზაგალო ნაკრების მწვრთნელის თანამდებობაზე ვანდერლეი ლუქსემბურგომ შეცვალა. ამას წინათ კი ბრაზილიელთა თავკაცობა ემერსონ ლეაომ იტვირთა. მაგრამ შედეგი მაინც არ ჩანს. ბრაზილიელები თითქოს რაღაც სენით დაავადდნენ. დაიკარგა ის, რაც მათ ფეხბურთს გამორჩეულ ხიბლს აძლევდა.

მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონები იაპონია-კორეის საგზურის საკვალიფიკაციო მატჩებში უცნაურად ირჯებიან. ბრაზილიელებმა 11 თამაშში სამჯერ შერცხვენილებმა დატოვეს მოედანი. თან არ იკითხავთ, ვინ დააჩოქა ფეხბურთის ჯადოქრები? ჩილემ, პარაგვაიმ და პატარა ეკვადორმა. რაღა თქმა უნდა, ნაკრების მოთამაშეებმა საყოველთაო რისხვა დაიტეხეს თავს. აღშფოთდა სრულიად ბრაზილია. გაკვირვებულია ნაკრების ყოფილი კაპიტანიც, არტურ ანტუნეშ კოიბრა, იგივე ზიკო: „ეროვნული ნაკრების ფეხბურთელები მოედანზე ბიუროკრატიული დაწესებულების ოფისის თანამშრომლებს მოგვაგონებენ, რომლებსაც თავიანთ მოვალეობად მხოლოდ სამსახურში მისვლა მიაჩნიათ“. ვერაფერს იტყვი, მოსწრებული და საქმის არსის ზუსტად გამომხატველი ფრაზაა.

წარმატებული დღეები არც ემერსონ ლეაოს უდგას. მასზეც გვარიანად გადაიმტვრა ჯოხი, მაგრამ ლეაო იხტიბარს არ იტეხს. მთავარი მწვრთნელი და ეროვნული ნაკრების კოორდინატორი ანტონიო ლოპესი ოთხშაბათს ევროპის კონტინენტზე მობურთალ ბრაზილიელთა დაზვერვის შემდეგ სამშობლოს დაუბრუნდნენ.

ლოპესმა ფიფას იმ ფეხბურთელთა სია წარუდგინა, რომლებსაც ნაკრები ევროპული გუნდებიდან გამოიძახებენ. ამდენად, ცნობილია, რომელი ლეგიონერები დაუპირისპირდებიან პერუს ნაკრებს. მაგრამ თვით ბრაზილიაში მობურთალთა შორის თუ ვინ მოირგებს ყვითელ მაისურას, ეს ჯერ კიდევ გაურკვეველი რჩება. ემერსონ ლეაოს განცხადებით, ამ ღირსეულ ბრაზილიელთა ვინაობას გულშემატკივარი და ჟურნალისტები მხოლოდ თამაშამდე ცოტა ხნის წინ შეიტყობენ: „ვერავინ, თვით ჩემი მეუღლეც კი ვერ გაიგებს იმ ფეხბურთელთა სახელებს, რომლებიც ნაკრებში ითამაშებენ. არც ინფორმაცია გაჟონავს და ის ხალხიც უსაქმოდ დარჩება, ვისაც მავან ფეხბურთელთა ნაკრებში თამაში თუ უთამაშებლობა აწუხებს“.

მკითხველს ალბათ ეცნო სიტუაცია, მაგრამ სად ჩვენ და სად ბრაზილიელები. ისე, სამხრეთელები ერთ რამეში, უდარდელობაში კი ვგავართ ერთმანეთს. მწვრთნელებიც ამ მხრივ დიდად არ განსხვავდებიან. სწორედ ასეთი, მარცხის დროსაც წარბშეუხრელი ყოფილა კიდევ ერთი ცნობილი ბრაზილიელი მწვრთნელი. სებასტიან ბარუშ ლაზარონი.

მისმა დამოძღვრილმა ნაკრებმა 1989 წელს კოპა ამერიკა კი მოიგო, მაგრამ იტალიის მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერაფრით მოიწონა თავი. ჟურნალისტებმაც და გულშემატკივრებმაც, რაღა თქმა უნდა, ირონიანარევად, მაგრამ მაინც იხალისეს, როცა მწვრთნელის მაღალფარდოვანი კომენტარი მოისმინეს ჩემპიონატზე ეროვნული გუნდის გამოსვლის შესახებ.

ლაზარონი, რომელიც „ბოტაფაგოს“ ხელმძღვანელობამ ამას წინათ უმუშევარი დატოვა, არც ახლა ღალატობს ჩვეულებას. მშვიდად, დიდმნიშვნელოვნად, ვითომცდა არაფერ შუაში იყოს აღნიშნავს: „ეს ფეხბურთია, „ბოტაფაგო“ ჩემთვის უდიდესი სკოლაა“. მავანთ ეს სიტყვები ლაზარონიზე ღირსეული კაცის შთაბეჭდილებას შეუქმნის, მაგრამ საქმეში ჩახედულმა ხალხმა შესანიშნავად იცის, რომ მწვრთნელი გუნდიდან გააგდეს. „ბოტაფაგოს“ ხელმძღვანელობა მას გუნდის უსუსურობის გამო შემოსწყრა. ბოლო წვეთი, რომელმაც მოთმინების ფიალა აავსო, ბრაზილიის თასის გათამაშების მატჩის შედეგი გახლდათ. „ბოტაფაგო“ პატარა „რემომ“ შეარცხვინა. გუნდის თავკაცობამ ლაზარონის განთავისუფლების გადაწყვეტილება თამაშის საფინალო სასტვენამდე, ცხელ გულზე მიიღო.

**გიორგი გაგარდაშვილი**

# სენტ ეტიენს თაღლითობა არ შეარჩინეს

**საფრანგეთის** მრავალგზის ჩემპიონი „სენტ ეტიენი“ ფიფას მიერ ამ ბოლო ხანებში ყალბი პასპორტების წინააღმდეგ გაჩაღებული რეიდის მსხვერპლი გახდა. მას შემდეგ, რაც კლუბში მოთამაშე ფეხბურთელებს ცრუ ევროკავშირული პასპორტები აღმოუჩინეს, გუნდს შვიდი ქულა დააკლეს. „სენტ ეტიენის“ თავკაცობამ თავი არ დაზოგა, საფრანგეთის ოლიმპიურ კომიტეტსაც კი სთხოვა შუამდგომლობა, მაგრამ ფეხბურთის ფედერაციას გადაწყვეტილება ვერასგზით შეაცვლევინეს.

„სენტ ეტიენს“ შვიდ ქულას არავინ დაუბრუნებს და ცრუ ევროკავშირელთა მიერ დაზარალებული მხოლოდ საკუთარი თავის იმედზეღა უნდა იყოს — ის საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის სანქციამ რეალური საფრთხის, პირველი დივიზიონიდან გავარდნის წინაშე დააყენა.

**გიორგი გაგარდაშვილი**

გიო ახვლედიანის

სვეტი

# ვთქვათ, მანჩესტერმა...

**იმის** თქმა სულაც არ მინდა, რომ „მანჩესტერი“ ისევე დაამარცხებს „ბაიერნს“, როგორც „გალათასარაი“ ფრეს მოახერხებს მეთქი მადრიდში. მაგრამ აშკარაა, რომ რაღაცის თქმას ვაპირებ.

კიდევ რომ ვცადო ამის თქმა, რაღაც ამის მსგავსი უნდა გამოვიდეს.

„მანჩესტერი“ ისევე დაამარცხებს „ბაიერნს“ მიუნხენში, როგორც „ვალენსია“ მოიგებს ჩემპიონთა თასს.

მგონი არა უშავს.

თუმცა, როგორ არა უშავს. ასე სათუოდ საქმეს ვერ გავიხდით. ეს იგივეა, რომ „ალავესმა“ „ბარსელონას“ ან „ლივერპულს“ თასი აართვას. „ბარსელონას“ თუ „ლივერპულს“? ესეც კიდევ ერთი ჭირი.

საერთოდ, თუ ატყობთ, რა დღეში ვართ?

მაინც, მთავარ საკითხს მივუბრუნდეთ.

ესე იგი, შევთანხმდით, რომ „მანჩესტერი“ ამარცხებს „ბაიერნს“, როგორც– აქ კარგი იქნებოდა გვეთქვა, როგორც მაშინ დაამარცხაო, მაგრამ მაშინდელი კი არა, თანადროული ამბავი გვჭირდება, დღევანდელი წყალგაუვალი ამბავი. ვთქვათ, „ლიდსი“ ხომ გასულია? თუ, რა თქმა, უნდა მიწისძვრა არ მოხდა. მაგრამ, სადაც „თუ“ გაერევა, იქ საჭირო ამბავიც არ გამოდის.

მოკლედ, „ბაიერნი“ ისევე ამარცხებს „მანჩესტერს“, როგორც– უკაცრავად, ამის თქმა სულაც არ მინდოდა. სხვას ვამბობდი. ანუ იმას, რომ „მანჩესტერი“ ისევე დაამარცხებს „ბაიერნს“, როგორც „დორტმუნდი“ სჯობდა იმ თქვენს „ბაიერნს“ წინა შაბათს. თუმცა, „დორტმუნდმა“ მაინც ვერ მოუგო „ბაიერნს“ და „მანჩესტერს“ ეგეთი ჯობნა არ აწყობს.

მგონი გავიჭედეთ.

თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ „მანჩესტერი“ ისევე დაამარცხებს „ბაიერნს“, როგორც ავსტრალიამ დაამარცხა ზღვისრეთის კუნძულთა ორი ნავსები, მაგრამ ამის თქმა სინამდვილეს ვერ დაუკავშირდება. ამიტომ, რაიმე ისეთი უნდა მოვიფიქროთ, რაც იმის ყოველგვარ ეჭვს მოგვისპობდა, რომ „ბაიერნი“ ნახევარფინალში გავა.

ამგვარი რაღაცის მოძებნა სახელდახელოდ კი ჭირს, მაგრამ დაინტერესებული კაცი კი მოიგონებდა.

საერთოდ, რატომ უნდა დაამარცხოს „მანჩესტერმა“ „ბაიერნი“?

ზოგადად.

ეს „ზოგადად“ ზოგადი პასუხია, მაგრამ უფრო კონკრეტული პასუხის მოძებნა ჭირს.

ესე იგი, „მანჩესტერმა“ ისევე უნდა დაამარცხოს „ბაიერნი“, როგორც–

დანარჩენი თქვენ იცით.

თუმცა, რატომ?

ესეც თქვენ გეცოდინებათ.

ტოტალიზატორში არ წავსულვარ, ძალიან ზოგადია „ორიანის“ ამბავი.

მაგრამ მაინც ვთქვათ, „მანჩესტერმა“ დაამარცხა „ბაიერნი“. „ვთქვათ“ უკეთესი სიტყვაა, ვიდრე „უნდა“.

ზოგადად, ზოგადად „მანჩესტერს“ დამარცხებული ჰყავს „ბაიერნი“.

აი, ასე.

# ყველა დასაჭერია...

**„ჩესტერფილდი“** ინგლისის მესამე დივიზიონის ლიდერი გახლავთ. თითქოს ყველაფერი კარგად იყო და ერთით მაღალ ჯგუფში აღზევებასაც წინ აღარაფერი ედგა, მაგრამ... ფინანსური დარღვევებისთვის კლუბი 20 ათასი გირვანქით დააჯარიმეს. თუმცა ეს 20 ათასი რა მოსატანია, როცა უფრო მკაცრი სასჯელი ელით — საფეხბურთო ლიგის წარმომადგენლებმა თქვეს, 9 ქულა უნდა ჩამოვაკლოთო... კლუბს სატრანსფერო კანონების დარღვევასა და გადასახადების დამალვაში ადანაშაულებენ.

პრობლემა პრობლემად, თუმცა კომისიამ, რომელშიც ლიგის ყოფილი პრეზიდენტი გორდონ მაკიგი, ასოციაციის ფინანსთა ძველი მმართველი მარკ დეუ და „ნოტინგემის“ ყოფილი მწვრთნელი ფრენკ კლარკი შევიდნენ, მიიჩნია, რომ ბრალდებათა უმეტესობის დამტკიცება ვერ ხერხდება. „ჩესტერფილდის“ წარმომადგენლებმა კი განაცხადეს, კომისიამ გაგვამართლაო: „ასეც ვფიქრობდი, უდანაშაულოდ გვცნეს. მგონი, არავისზე ღირდა ეჭვიანობა, სამარცხვინო ამბავია. დარწმუნებული ვარ, 9 ქულას არ ჩამოგვაკლებენ. ასევე ეჭვი არ მეპარება, რომ მესამე დივიზიონის ჩემპიონები გავხდებით — ეს ჩვენი მთავარი მიზანია“ — ამბობს „ჩესტერფილდის“ ყოფილი პრეზიდენტი დარენ ბრაუნი.

1997 წელს „ჩესტერფილდი“ ინგლისის თასის ნახევარფინალში გავიდა და იქ „მიდლსბროსთან“ წააგო, შარშან კი მეორე დივიზიონიდან გავარდა.

ახლა გუნდი პირველ ადგილზეა და უახლოეს მდევარს 4 ქულით უსწრებს. ერთ მატჩშიც რომ გაიმარჯვოს, მეორე დივიზიონშია... მაგრამ თუ 9 ქულას დააკლებენ, მესამე საფეხურზე ჩამოქვეითდება და 73 ქულა დარჩება, წინ კი „ბრაიტონს“ (78) და „კარდიფს“ (77) გაუშვებს.

ლიგის ოფიციალურ განცხადებაში კი ნათქვამია: „სულაც არ გვეხალისება ჩვენი ერთ-ერთი კლუბის საქმიანობის გამოძიება. ძალიან გაგვიკვირდა, როცა რაღაც-რაღაც ბრალდებები არ დადასტურდა, თუმცა კომისიის დადგენილებას პატივს ვცემთ. ვიმედოვნებთ, რომ აქედან ლიგის სხვა წარმომადგენლებიც გამოიტანენ მაგალითს“.

„ჩესტერფილდის“ მწვრთნელმა კი შვებით ამოისუნთქა და თქვა, რომ ახლა მისი მოთამაშეები მხოლოდ მომავალ მატჩებზე იფიქრებენ.

მკითხველს კი ვეტყვით, რომ „ჩესტერფილდი“ 1866 წელს დაარსდა და „სიძველით“ მეოთხე ინგლისური კლუბია.

**სოლომონ ბულისაშვილი**



ედგარ დავიდსმა შესაძლოა „იუვენტუსი“ „მანჩესტერ იუნაიტედში“ გაცვალოს

# მანჩესტერი სათვალეს ირგებს

**„პიტბულად“** წოდებულ ედგარ დავიდსს ტურინის „იუვენტუსთან“ კონტრაქტი 2004 წლამდე აქვს, თუმცა ბოლო ხანს სათვალიანი ჰოლანდიელი ხშირად ამბობს, დიდი სიამოვნებით ვითამაშებდი ინგლისშიო.

სასწაული ჯანისა და ენერგიის პატრონ დავიდსზე აგერ უკვე ორი წელია ნადირობს „არსენალი“, სადაც მისი მეგობარი და ყოფილი თანაგუნდელი, ფრანგი ტიერი ანრი თამაშობს, მაგრამ ვენგერის მცდელობამ ფუჭად ჩაიარა. არც მეორე ლონდონური კლუბის „ჩელსის“ აქტიურობამ გამოიღო შედეგი. ჰოლანდიელის კიდევ ერთი მოსურნე, გერმანული ბობოლა „ბაიერნი“ კი თავად ფეხბურთელმა უარჰყო — გერმანიაში არასდროს ვითამაშებო (ჰოლანდიელია და გუნება).

და აი, სარბიელზე სერ ალექს ფერგიუსონი გამოჩნდა — როგორც გუშინდელი ინგლისური გაზეთები იუწყებიან, წინა კვირას „მანჩესტერ იუნაიტედის“ წარმომადგენელი და დავიდსის აგენტი ერთმანეთს ლონდონში შეხვდნენ. „იუნაიტედი“ მიზანთან ახლოსააო — ამ შეხვედრიდან გამოსული ხმები ასეთია.

18 მილიონ გირვანქად შეფასებულ ნახევარმცველს, გეხსომებათ, 1995 წელს „აიაქსთან“ ერთად ჩემპიონთა ლიგა მოუგია, მაგრამ მერე იმავე „აიაქსისა“ და „იუვენტუსის“ შემადგენლობაში ლიგის ფინალში მარცხი სამჯერ განუცდია. თანაც, ბოლო სამი წლის განმავლობაში მის ტურინულ კლუბს ვერაფერი მოუგია, ამიტომ დავიდსს სიტუაციისა და გუნდის გამოცვლა განუზრახავს. მით უმეტეს რომ, თუ ბრიტანულ პრესას ვენდობით, „იუნაიტედი“ მას კვირაში სუფთა 50 ათას გირვანქას სთავაზობს, ანუ ეს ის თანხაა, გადასახადის მერე რომ დარჩება.

ამასობაში „იუვენტუსს“ თავისი გეგმები აქვს და იქით ცდილობს, მომავალი სეზონიდან დავიდსს ფრანგი პატრიკ ვიეირა შეუწყვილოს, თუმცა ჯერჯერობით „არსენალის“ ხელმძღვანელობას ამაზე მოლაპარაკება კი არა, საუბარიც კი არ სურს. მოკლედ, თუ „ფიატმა“ სასურველი ტანდემი ვერ შექმნა, დიდი შანსია, დავიდსი მართლაც გაუშვას „იუნაიტედში“, რომელიც მომავალი სატრანსფერო სეზონისთვის დაახლოებით 40 მილიონის დახარჯვას აპირებს. აქედან 18,5 მილიონი რუუდ ვან ნისტელროის საყიდლადაა გადანახული.

თუ „პსვ ეინდჰოვენთან“ ეს გარიგება, ბოლო-ბოლო შედგა, ფერგიუსონს გუნდიდან რომელიმე თავდამსხმელის გაშვება ნაღდად მოუწევს. ვარაუდობენ, რომ ეს ტრინიდადელი დუაიტ იორკი იქნება, ვინც სათავისოდ „ჩელსის“ შეუგულებია: ჰასელბენკი-იორკის დუეტი ბევრს გაამწარებსო — ირწმუნებიან სამხრეთ ლონდონში. შეგახსენებთ, რომ იორკი „იუნაიტედმა“ სამი წლის წინ 12 მილიონად „ასტონ ვილასგან“ იყიდა.

**გიგა ძოგახიძე**





ზინედინ ზიდანმა დევიდ ბექემი სერია A-ში დაპატიჟა

# ფრანგმა ინგლისელს იტალია ურჩია

**მსოფლიოს** 2000 წლის საუკეთესო ფეხბურთელმა ზინედინ ზიდანმა ინგლისელ დევიდ ბექემს ურჩია, კარიერა სერია A-ში გააგრძელოს. „დევიდ ბექემი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშეა. ყველამ კარგად იცის, თუ რას მიაღწია მან „მანჩესტერ იუნაიტედში“. ამას გარდა ახლა ინგლისის ნაკრების კაპიტანი და ლიდერი გახდა“ — განუცხადა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა გაზეთ „სანს“.

ცნობილი ამბავია, რომ დევიდ ბექემის შეძენით ყველაზე მეტად იტალიური „მილანია“ დაინტერესებული. ინგლისელის სანაცვლოდ იტალიური გრანდი არნახულ თანხას გამოდის. თავად ფეხბურთელსაც ათასგვარი მაცდური პირობებით ხიბლავს — დევიდს დიდ ხელფასს, მის ცოლს ვიქტორია ადამსს კი კლუბის პრეზიდენტი სილვიო ბერლუსკონი ტელეარხზე საკუთარ შოუს ჰპირდება.

მაგრამ „მანჩესტერ იუნაიტედი“ დევიდის გაყიდვას არ აპირებს. „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ ორიოდ დღის წინ განაცხადა — „იუნაიტედი“ ბექემს არ უშვებს. გასაგებია, ასეთ ძლიერ მოთამაშეს ვინ შეელევაო.

ისევ ზიდანის სიტყვებს დავუბრუნდეთ: „იტალიაში ბევრი კლუბია, რომელსაც დევიდის ყიდვა სურს. არ ვარ დარწმუნებული, რომ „მანჩესტერი“ მის გაშვებას დათანხმდება. უბრალოდ, მსურს, დევიდმა სერია A-ში ითამაშოს. ის აქ კიდევ უფრო გამოიჩენს თავს“.

**ნიკა შუბლაძე**

# რედაქტორი წავიდა, დაბერი რჩება

**„არავითარი** პრობლემა ჩვენს შორის არ არსებობს“ — ამბობს „ლიდსის“ მწვრთნელი დევიდ ოლირი, რომელსაც ჟურნალისტები გუშინწინ კლუბში მაიკლ დაბერის მომავალზე დაეკითხნენ. შეგახსენებთ, რომ ჩვენი მკითხველისთვის კარგად ცნობილ სასამართლო პროცესზე წინა თვეში დაბერიმ ალალი ჩვენება მისცა, რითაც თავისი მეგობარი ჯონათან ვუდგეიტი და კიდევ ერთი ლიდსელი, ნახევარმცველი ლი ბოიერი საფრთხის წინაშე დააყენა.

სასამართლო, მოგეხსენებათ, დროებით ჩაიშალა გაზეთ „სანდი მირორში“ გამოქვეყნებული სტატიის გამო და მხოლოდ 8 ოქტომბერს განახლდება. საინტერესოა, რომ ამ ყოველკვირეულის რედაქტორმა კოლინ მილერმა უკვე დატოვა თავისი პოსტი, ხოლო გამომცემლებმა აღიარეს, რომ დაზარალებულის მამასთან ინტერვიუს დაბეჭდვით მათ შეცდომა დაუშვეს. მიუხედავად ამისა, „სანდი მირორს“ შესაძლოა, მაინც მოუწიოს სასამართლოს ხარჯების (8 მილიონ გირვანქამდე) დაფარვა.

რაც შეეხება მაიკლ დაბერის, მან ტრავმა მოირჩინა და უკვე გუნდთან ერთად ვარჯიშობს. თავის დროზე „ჩელსიდან“ 4 მილიონად შეძენილ მცველზე ოლირი ამბობს: „ის ჩვენი გუნდის შემადგენელი ნაწილია და, შესაძლოა, „დეპორტივოსთან“ საპასუხო შეხვედრაში მოედანზე დაბრუნდეს. არ მესმის, რატომ ალაპარაკდნენ მის შესაძლო გაყიდვაზე. მაიკლს თანაგუნდელებთან არავითარი პრობლემა არ შექმნია. გულშემატკივრების წერილებს თუ გადახედავთ, ნახავთ, რომ მისი ქმედებით აღშფოთებულები დაახლოებით ოცჯერ უმცირესობაში არიან“.

გაირკვა, რომ როცა დაბერიმ ნაღდი ჩვენების მიცემა გადაწყვიტა, მწვრთნელს დაურეკა და აზრს დაეკითხა. „მითხარა, სიმართლის თქმას ვაპირებ, თუმცა თავად ვიცი, რომ ლამაზი საქციელი ნაღდად არ გამომივაო — იხსენებს ოლირი — მეც ვუთხარი, რასაც საჭიროდ ჩათვლი, ის გააკეთე. ყველა შემთხვევაში, კლუბი შენს გვერდით იქნება-მეთქი“.

**გიგა ძოგახიძე**



მაიკლ დაბერი



დევიდ ოლირი

## იტალია

პაპუნა კადია




ფილიპო ინძაგიმ კრისტიან ვიერის სთხოვა: თავიც დაზოგე და ჩვენც დაგვზოგეო

# ჩვენთან ეჭვები არ იყოს

| XXVI ტური | | |
|---|---|---|
| ხვალ | | |
| ვიჩენცა | — | ბოლონია |
| იუვენტუსი | — | ინტერი |
| რეჯინა | — | ლაციო |
| ფიორენტინა | — | ლეჩე |
| ბარი | — | ნაპოლი |
| ატალანტა | — | პარმა |
| რომა | — | პერუჯა |
| მილანი | — | უდინეზე |
| ბრეშა | — | ვერონა |

| საღლეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რომა | 25 | 18 | 4 | 3 | 48:21 | 58 |
| იუვენტუსი | 25 | 15 | 7 | 3 | 42:20 | 52 |
| ლაციო | 24 | 14 | 4 | 6 | 44:27 | 46 |
| პარმა | 24 | 11 | 7 | 6 | 38:21 | 40 |
| ატალანტა | 25 | 10 | 10 | 5 | 31:20 | 40 |
| ინტერი | 25 | 10 | 8 | 7 | 33:29 | 38 |
| მილანი | 25 | 9 | 10 | 6 | 38:35 | 37 |
| ბოლონია | 25 | 10 | 6 | 9 | 32:31 | 36 |
| ფიორენტინა | 25 | 7 | 12 | 6 | 41:35 | 33 |
| უდინეზე | 25 | 10 | 2 | 13 | 39:41 | 32 |
| პერუჯა | 25 | 8 | 7 | 10 | 32:36 | 31 |
| ლეჩე | 25 | 7 | 8 | 10 | 31:40 | 29 |
| ბრეშა | 25 | 5 | 10 | 10 | 29:36 | 25 |
| ვიჩენცა | 25 | 6 | 7 | 12 | 24:36 | 25 |
| ნაპოლი | 25 | 5 | 9 | 11 | 24:36 | 24 |
| ვერონა | 25 | 6 | 6 | 13 | 29:45 | 24 |
| რეჯინა | 25 | 5 | 5 | 15 | 18:40 | 20 |
| ბარი | 25 | 5 | 4 | 16 | 21:45 | 19 |

— **„უდინეზეს“** შინ ვხვდებით, ამიტომაც თავიდანვე უნდა მოვიპოვოთ უპირატესობა და ავინაზღაუროთ ის ორი ქულა, რომელიც წინა ტურში, ნეაპოლში დავკარგეთ — ამბობს სერია A-ს 26-ე ტურის წინ კახა კალაძის და „მილანის“ კაპიტანი პაოლო მალდინი. იმასვე ითხოვს, თან კატეგორიულად, „შავ-წითელთა“ ვიცე პრეზიდენტი ადრიანო გალიანიც.

შემდეგ ის აღიარებს: „იქ, ნეაპოლში რომ ვერ მოვიგეთ, სამარცხვინო ამბავია. ამის ყველა პირობა გვქონდა, მაგრამ ვერ შევძელით. სამაგიეროდ, რაღაც-რაღაც დადებითი მომენტები შევნიშნეთ და ესეც კარგია“.

მოგეხსენებათ, ბოლო ტურის შემდეგ ევროსარბიელზე გასვლისთვის მებრძოლებს „უდინეზეც“ შეემატა. რაც, თავისთავად, მდგომარეობას ამძიმებს. ამაზე კაპიტანი ასე ბრძანებს:

„ისინი, ვინც ჩვენს უკან იყვნენ, ბოლო დროს თანმიმდევრულად მიიწევენ წინ. ხომ ხედავთ, თვით „ფიორენტინამ“ მოუგო „რომას“ და გაცილებით გაიუმჯობესა მდგომარეობა. ერთი სიტყვით, დღეს ნათელი არაფერია“.

კონკრეტულად, „უდინეზეს“ შესახებ კი მალდინი ამბობს: „მათ მუცი გამოუჯანმრთელდათ. ეს ფეხბურთელი კი მეტოქეებს ყოველთვის პრობლემებს უქმნის. ხშირად გააქვს გოლები ფიორესაც, მაგრამ უდინელებს ბევრი პრობლემაც აქვთ. ჩვენი არ იყოს, ისინიც მთელი სეზონის განმავლობაში ტრავმებმა დატანჯეს და ბევრი ქულა დაკარგეს. ამ ქულების ასანაზღაურებლად „უდინეზე“ დარჩენილ შეხვედრებში ყველა ღონეს იხმარს. თუმცა, ამას მნიშვნელობა არ აქვს და საერთოდაც, მოწინააღმდეგე ვინც გინდა იყოს, ჩვენ გამარჯვებას შევეცდებით. ეს ხომ „ლაციოსთან“ შეხვედრაში უკვე დავამტკიცეთ. ამიერიდან, ჩვენ მხოლოდ საკუთარ თავზე ვფიქრობთ“.

„გაძეტა დელო სპორტის“ ვერსიით, „მილანი“ „უდინეზეს“ ასეთი შემადგენლობით დაუხვდება: *როსი; ჰელვეგი, როკე ჟუნიორი, მალდინი, კოკო; ხოსე მარი, ჯუნტი, კალაძე, სერჟინიო; შევჩენკო, ბირჰოფი.*

ამ შემადგენლობაში ხოსე მარის, შევჩენკოსა და ბირჰოფის ერთად ხსენება ეჭვს ნუ გაგვიჩენს. ჩეზარე მალდინი სამი ფორვარდით თამაშს არ აპირებს. ხოსე მარის მარჯვენა ნახევარმცველის ფუნქცია დაეკისრება, ხოლო შევჩენკო და ბირჰოფი უშუალოდ „უდინეზეს“ კართან იტრიალებენ.

იმავე ტურში „იუვენტუსი“ „ინტერს“ უმასპინძლებს. ეს შეხვედრა, მართალია, კერძოდ აღებულიც ძალიან საინტერესოა, რადგან მასში ორი სახელოვანი გუნდი მონაწილეობს, მაგრამ ტურინელთა გადასახედიდან იგი „სკუდეტოსკენ“ სავალი გზის ერთი ეტაპია. ყოველ შემთხვევაში, „ბებერი ქალბატონის“ ფორვარდი, ფილიპო ინძაგი ერთი წუთით არ კარგავს იმედი, რომ „იუვე“ „რომას“ გადასწრებასა და ჩემპიონის ტიტულის მოპოვებას შეძლებს.

ინძაგიმ თქვა: „მას მერე, რაც ჩვენ ვერონაში გავიმარჯვეთ, ხოლო „რომამ“ ფლორენციაში წააგო, იმედი განგვიახლდა. ხაზს ვუსვამ, განგვიახლდა, თორემ არასდროს დაგვიკარგავს. მართალია, ამას წინათ იყო ორი მატჩი, სადაც ჩვენ ცუდად ვითამაშეთ, მაგრამ, ვიმეორებ, „ვერონასთან“ ისევ ძველი „იუვენტუსი“ ვიხილე“.

შემდეგ ინძაგიმ მომავალზე ილაპარაკა: „ახლა ორი ძნელი მატჩი გველის „ინტერისა“ და „პარმას“ წინააღმდეგ. მათგან პირველი „ინტერთან“ არის. საერთოდაც, დარჩენილი თამაშები ჩვენ უფრო ძნელი გვაქვს, ვიდრე „რომას“, მაგრამ რაც არის, არის. „ინტერი“ კი ამოუცნობი გუნდია. მას ბევრი ისეთი მოთამაშე ჰყავს, ერთი მოძრაობით რომ შეუძლია შეხვედრის ბედის გადაწყვეტა. ასე რომ, დიდი სიფრთხილე მოგვეთხოვება. „ინტერთან“ საუკეთესოდ უნდა ვითამაშოთ“.

მოგეხსენებათ, „ინტერს“ თავდასხმაში კრისტიან ვიერი ჰყავს, სხვათა შორის, ინძაგის ახლო მეგობარი. „ერთმანეთს წარამარა ვურეკავთ“ — ჰყვება იუვენტუსელი — „ამას წინათ ვთხოვე, ჩვენთან შენებურები არ დაიწყო-მეთქი, ვიერი ძალიან დიდი ფეხბურთელია, გუნდის სიმბოლო გახლავთ“.

ტურინელებს მილანელების წინააღმდეგ არ ეყოლებათ დავიდ ტრეზეგე, რომელმაც ვერონაში ნატკენი კოჭი გაიმიზეზა, ხოლო მათ კარში გოლის შეგდებას ვიერის გარდა ალვარო რეკობაც შეეცდება.

26-ე ტური კიდევ ერთ მნიშვნელოვან შეხვედრას გვპირდება, ბერგამოში, მეხუთე ადგილზე მყოფი „ატალანტა“ მეოთხე ადგილზე მყოფ „პარმას“ უმასპინძლებს. გუნდებს თანაბარი ქულები აქვთ — 40.

„ჩვენ კარგად მოგვეხსენება, რომ ძალიან ძნელი პერიოდი გვიდგას და ისიც ვიცით, ახლა თუ ვივაჟკაცეთ, ყველაფერი კარგად იქნება“ — განაცხადა „პარმას“ თავკაცმა რენცო ულივიერიმ — „ამ წუთას, იძულებული ვართ ასეთი ლოგიკით ვიხელმძღვანელოთ: ვინაიდან უამრავი ფეხბურთელი გვაკლია, ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა რაც შეიძლება ცოტა ვიზარალოთ. ის კი არა, უკვე გამოკლებულებს შესაძლოა ბოგოსიანიც შეემატოს. უკან დაბრუნების იმედი კი მხოლოდ ალმეიდასი გვაქვს. ყველაზე ცუდად ფრთებზე გვაქვს საქმე. „ატალანტა“ ლამაზად მოთამაშე გუნდია, თანაც სული აქვს უტეხი და დიდებული მწვრთნელი ხელმძღვანელობს. კიდევ კარგი, ის ფეხბურთელები, რომლებიც ბერგამოში „პარმას“ მაისურებს მოირგებენ, საკმაოდ ძლიერნი არიან საიმისოდ, რომ კრიზისული პერიოდი დასძლიონ“.

## ინგლისი

გიგა კობახიძე

# თუ მანჩესტერმა მოიგო არსენალმა წააგო

| XXXIII ტური | | |
|---|---|---|
| გუშინ | | |
| ლივერპული | 1:2 | ლიდსი |
| ბრედფორდი | 2:0 | ჩარლტონი |
| დღეს | | |
| არსენალი | — | მიდლსბრო |
| ასტონ ვილა | — | ევერტონი |
| ჩელსი | — | საუთჰემპტონი |
| იფსვიჩი | — | ნიუკასლი |
| ლესტერი | — | სიტი |
| მანჩესტერი | — | ქოვენთრი |
| სანდერლენდი | — | ტოტენჰემი |
| ვესტ ჰემი | — | დერბი ქაუნთი |
| XXXIV ტური | | |
| ზეგ | | |
| ქოვენთრი | — | სანდერლენდი |
| დერბი ქაუნთი | — | ლესტერი |
| ევერტონი | — | ლივერპული |
| მიდლსბრო | — | იფსვიჩი |
| ნიუკასლი | — | ვესტ ჰემი |
| მაზეგ | | |
| ჩარლტონი | — | ასტონ ვილა |
| ტოტენჰემი | — | ჩელსი |

| საღლეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 32 | 22 | 7 | 3 | 70:22 | 73 |
| არსენალი | 32 | 17 | 9 | 6 | 53:29 | 60 |
| ლიდსი | 33 | 16 | 8 | 9 | 50:39 | 56 |
| იფსვიჩი | 32 | 16 | 5 | 11 | 48:37 | 53 |
| ლივერპული | 31 | 14 | 8 | 9 | 52:34 | 50 |
| სანდერლენდი | 32 | 13 | 10 | 9 | 37:32 | 49 |
| ჩელსი | 31 | 13 | 9 | 9 | 58:38 | 48 |
| ასტონ ვილა | 32 | 11 | 12 | 9 | 38:34 | 45 |
| ჩარლტონი | 33 | 12 | 9 | 12 | 42:46 | 45 |
| ლესტერი | 32 | 13 | 6 | 13 | 33:38 | 45 |
| საუთჰემპტონი | 31 | 12 | 8 | 11 | 34:39 | 44 |
| ტოტენჰემი | 32 | 11 | 9 | 12 | 38:41 | 42 |
| ნიუკასლი | 30 | 11 | 6 | 13 | 36:43 | 39 |
| ევერტონი | 32 | 10 | 8 | 14 | 36:45 | 38 |
| ვესტ ჰემი | 32 | 8 | 12 | 12 | 37:42 | 36 |
| დერბი ქაუნთი | 32 | 8 | 11 | 13 | 31:51 | 35 |
| მიდლსბრო | 32 | 6 | 14 | 12 | 34:38 | 32 |
| ქოვენთრი | 32 | 7 | 9 | 16 | 31:52 | 30 |
| სიტი | 33 | 6 | 9 | 18 | 35:59 | 27 |
| ბრედფორდი | 32 | 4 | 9 | 19 | 25:59 | 21 |

ცხრილში შეტანილია გუშინდელი მატჩების შედეგები

**ისედაც** დაძაბული ინგლისის ჩემპიონატი კულმინაციას შობა-ახალწელსა და აღდგომაზე აღწევს ხოლმე და ვინაიდან წლეულს ორთოდოქსული და კათოლიკური აღდგომის თარიღები ერთურთს დაემთხვა, დღეიდან და სამშაბათის ჩათვლით, პრემიერლიგაში მორიგი სიგიჟის დღეებია.

საცოდავი „ლივერპული“! რაც მან ამ ბოლო ხანს შინაურ, თუ ევროთასებზე იომა, ჩემპიონატში „მანჩესტერს“ მოუგო, გუშინ „ლიდსთან“ ჯახი მოილია და მაინც — კატალონიელებთან საპასუხო შეხვედრამდე დასვენება მაინც არავინ აღირსა: ორშაბათს ლივერპულური დერბია.

თუმცა დღეს ზეგინდელს თავი ვანებოთ და დღეისა ვთქვათ. მით უმეტეს, რომ შესაძლოა, მოსახდენი სწორედ შაბათს მოხდეს, ანუ „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ჩემპიონობა ოფიციალურად გაიფორმოს. ამისთვის ფერგიუსონის გუნდმა შინ გასავარდნად გამზადებული „ქოვენთრი“ უნდა დაამარცხოს, ფორმალური მდევარი „არსენალი“ კი შინ „მიდლსბროსთან“ დამარცხდეს.

მიუხედავად იმისა, რომ „ვალენსიასთან“ საპასუხო მატჩის წინ არსენ ვენგერი ზოგი მოთამაშის დასვენებას აპირებს, ტერი ვენეიბლზის გუნდი კი ქულისთვის თავს მოიკლავს, ვფიქრობთ, როი კინის მიერ საპატიო პრიზის აღმართვა მაინც მომავალი შაბათისთვის გადაიდება, როცა მანჩესტერული დერბია დაგეგმილი. ისე, გადაღლილ ფეხბურთელებს დღეს ალბათ სერ ალექსიც დაასვენებს, რაც ქოვენთრელთა ასევე სქოთ თავკაც გორდონ სტრაჩანს მცირე, მაგრამ მაინც შანსს მისცემს.

საინტერესო შეხვედრაა მოსალოდნელი იფსვიჩში, სადაც ადგილობრივი „თაუნის“ ჩემპიონთა ლიგისკენ ლტოლვას ბებერი ბობი რობსონის „ნიუკასლი“ დაუპირისპირდება. ჯორდებს ბოლო 12 თამაშში ოდენ ორი ქულა აქვთ მოპოვებული, თუმცა მათგან ყველაფერია მოსალოდნელი.

ევროთასებზე გამსვლელი ადგილის მოპოვების ბოლო შანსი აქვს „ასტონ ვილას“, რომელიც ბირმინგემში „ევერტონს“ მასპინძლობს. სტუმრებს არ ეყოლებათ უძლიერესი თავდამსხმელი ფრენსის ჯეფერსი, ვინც მხარი დაიზიანა და თავის გუნდს სეზონის ბოლომდე გამოაკლდება.

ვერც მცველი სოლ კემბელი დაეხმარება თავის „ტოტენჰემს“, თუმცა გლენ ჰოდლს ეს დიდად ხელს ვერ შეუშლის — „მამლები“ ვერც ევროთასებზე გადიან და არც გავარდნა ემუქრებათ. სამაგიეროდ, ლონდონელთა დღევანდელ მეტოქეს სჭირდება დიდად გამარჯვება: მიუხედავად იმისა, რომ „სანდერლენდმა“ ბოლო 9 თამაშიდან მხოლოდ ერთი მოიგო, უეფას თასზე გაღწევის შანსი ჯერ კიდევ შემორჩა.

საოცარია, მაგრამ აღდგომას „ვესტ ჰემი“ და „დერბი ქაუნთი“ მეზობელ ადგილებზე ხვდებიან. ამ ორ გუნდს ამჟამად კინკილა ქულა აშორებს ერთმანეთს. არადა, დრო იყო, აღმოსავლეთლონდონელები ბევრს ევროსარბიელზე გასული ეგონა, ქინქლაძის „დერბი“ კი, ალბათ გახსოვთ, ლამის მთელი სეზონი სახიფათო ზონიდან თვის დაღწევას ცდილობს. თითქოს მიაღწია კიდევ საწადელს, მაგრამ ბოლო მატჩში შინ „ჩელსისთან“ 0:4 განადგურებამ გუნდი ნოკდაუნში ჩააგდო.

შუა კვირას ასეთივე ანგარიშით წააგო ქინქლაძის ოდინდელმა კლუბმა „მანჩესტერ სიტიმ“, რომელიც „არსენალთან“ შერცხვა და პირველი დივიზიონისკენ დაეშვა. ბოლო იმედის მატჩი ჯო როილის შეგირდებს დღეს ლესტერში აქვთ და ცხადია შეუტევენ, ვინაიდან მოგების გარდა სხვა აღარაფერი შველით. მეინ როუდელ ფანობას იმედი საბოლოოდ ჯერ არ გადაწურვია, მით უმეტეს, რომ თასზე მესამელიგელ „უიკომბთან“ წაგების შემდეგ „ლესტერი“ ჯერ ხეირიანად ვერც გამორკვეულა.

და ბოლო მატჩი: „სტემფორდ ბრიჯზე“ კლაუდიო რანიერის ინტერნაციონალური „ჩელსი“ ჰოდლის წასვლით დაღონებულ „საუთჰემპტონს“ უმასპინძლებს. ლონდონელებს მომავალი სეზონი უევროპოდ ვერ წარმოუდგენიათ და ყველა ღონეს ხმარობენ, რათა არასტაბილური წელი ხეირიანი ფინიშით დაამთავრონ. „საუთჰემპტონმა“ კი, ვგონებთ, საყვარელ მწვრთნელთან ერთად თამაშის ხალისიც დაკარგეს.



ტედი შერინგემს, დევიდ ბექემს და ფილ ნევილს სერ ალექსი ალბათ სამიუნხენოდ დაასვენებს

## გერმანია

ვანო ოქროპირიძე ბერლინიდან

# როსიცკიზე მონადირეები



ტომაშ როსიცკი

| XXIX ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ბოხუმი | — | ვერდერი |
| ლევერკუზენი | — | ფრაიბურგი |
| კაიზერსლაუტერნი | — | აინტრახტი |
| ბაიერნი | — | შალკე |
| ვოლფსბურგი | — | მიუნხენი |
| ჰერტა | — | დორტმუნდი |
| **ხვალ** | | |
| უნტერჰახინგი | — | ჰანზა |
| ჰამბურგი | — | კიოლნი |

**საღლეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 28 | 15 | 5 | 8 | 54:32 | 50 |
| შალკე | 28 | 14 | 7 | 7 | 51:27 | 49 |
| ლევერკუზენი | 28 | 15 | 4 | 9 | 49:34 | 49 |
| დორტმუნდი | 28 | 14 | 7 | 7 | 49:36 | 49 |
| ჰერტა | 28 | 15 | 1 | 12 | 51:47 | 46 |
| ლაუტერნი | 28 | 14 | 4 | 10 | 41:42 | 46 |
| ვერდერი | 28 | 12 | 7 | 9 | 42:41 | 43 |
| კიოლნი | 28 | 11 | 8 | 9 | 48:40 | 41 |
| ვოლფსბურგი | 28 | 10 | 10 | 8 | 51:35 | 40 |
| ფრაიბურგი | 28 | 10 | 10 | 8 | 38:31 | 40 |
| ჰანზა | 28 | 10 | 5 | 13 | 29:40 | 35 |
| ჰამბურგი | 28 | 9 | 7 | 12 | 50:49 | 34 |
| მიუნხენი | 28 | 9 | 7 | 12 | 35:49 | 34 |
| შტუტგარტი | 29 | 7 | 10 | 12 | 37:44 | 31 |
| კოტბუსი | 29 | 9 | 3 | 17 | 32:45 | 30 |
| უნტერჰახინგი | 28 | 7 | 9 | 12 | 27:46 | 30 |
| აინტრახტი | 28 | 8 | 5 | 15 | 34:55 | 29 |
| ბოხუმი | 28 | 7 | 5 | 16 | 27:52 | 26 |

**მთელი კვირაა,** გერმანიაში დღეს გასამართ „ბაიერნი“—„შალკესა“ და „ჰერტა“—„დორტმუნდის“ შეხვედრებზე ლაპარაკობენ. ოთხივე ეს გუნდი იმ „შესანიშნავი ექვსეულის“ წარმომადგენელია, ჩემპიონობისთვის რომ იბრძვიან. ბუნდესლიგაში მწვრთნელთა გამოკითხვა ჩატარდა. ვინ გახდება ჩემპიონიო, ჰკითხეს 18 გუნდის თავკაცს, თერთმეტმა უპირატესობა „ბაიერნს“ მიანიჭა, ასეთ დაძაბულობას მარტო ეგ გაუძლებსო.

დღეს „ბაიერნს“ ოთხი წამყვანი ფეხბურთელი არ ეყოლება. ეფენბერგი, ელბერი, იერემისი და ლინკე წინა ტურში დორტმუნდში მსაჯმა შტრამპემ წითელ-ყვითელი ბარათებით დაასაჩუქრა და დისკვალიფიცირებულები არიან. „არა უშავს, სხვა ფეხბურთელებს თავის გამოჩენის საშუალება მიეცემათ, მათაც ისევე ვენდობი, როგორც ამ ოთხეულს“ — განაცხადა მიუნხენელთა თავკაცმა ოტმარ ჰიცფელდმა.

„ზიუდდოიჩე ცაიტუნგი“ სხვაგვარად ფიქრობს, შტრამპემ, როგორც ჩანს, ჩემპიონის ბედის გადაწყვეტა მოინდომა, „შალკეს“ მიუნხენში გამარჯვების ჩინებული შანსი მისცაო. ვერ დავეთანხმებით ამ აზრს, რადგან სტუმრებმა დღეს რომც მოიგონ, არა გვგონია, ჩემპიონობა გაინაღდონ. ისე, გელზერკინხენელთა მენეჯერ რუდი ასაუერს ამის იმედი არც აქვს. ყოველ შემთხვევაში, ხმამაღლა ამას ამბობს: „ჩვენ ჩემპიონები ვერ გავხდებით. კი ბატონო, „შალკეს“ დღეს ნებისმიერი გრანდის დამარცხება შეუძლია, მაგრამ ამავე დროს შეუძლია ნებისმიერ მაჩანჩალასთანაც წააგოს, ასეთი გუნდი კი პირველი ვერასოდეს იქნება“.

მიუხედავად ამისა, „შალკე“ დღეს მიუნხენში სამი ქულისთვის ჩადის. ჰუუბ სტევენსის ბიჭებს იმის იმედიც აქვთ, რომ „ბაიერნი“ ოთხშაბათს „მანჩესტერთან“ გასამართი ჩემპიონთა ლიგის მატჩის გამო დღეს ძალის დაზოგვას შეეცდება.

„ჰერტა“—„დორტმუნდის“ მატჩს ყველა დაისლერ—როსიცკის დუელად აღიქვამს. ამ ბოლო დროს როსიცკი დორტმუნდელთა სული და გული გახდა, ლამისაა, გერმანელებმა ქება-დიდებით ცაში აიყვანონ, მაგრამ ჩეხს, ზოგიერთებისგან განსხვავებით, ვარსკვლავობის მანია არ შეყრია. „პრესას ყურადღებას არ ვაქცევ, მე რომ ჩემს ქებას ემოციით შევხვდე, მაშინ ფეხბურთს თავი უნდა დავანებო“ — ამბობს 21 წლის ბუნდესლიგის ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი, რომელსაც ბოლო დროს მცველები ვეღარ აკავებენ. დღესაც ბერლინელთა თავკაცი იურგენ რიობერი აპირებს, მას ვან ბურიკი და სვერისონი მიამაგროს. თუ მათ ჩეხი ვერ შეაჩერეს, მაშინ კონსტანტინიდისიც მიეშველებათ. რიობერს ერთი დიდი გასაჭირიც აქვს, გუნდის კაპიტან მიხაელ პრეეცს გრიპი შეყრია და დიდი შანსია, ვერ ითამაშოს. მაშინ „ჰერტას“ წინ მხოლოდ ალვეშის იმედი ექნება, რომელსაც ოდნავ უკნიდან გერმანული ფეხბურთის იმედი, სებასტიან დაისლერი გაუმაგრებს ზურგს.

ბოლო დროს შეშფოთებულია დორტმუნდელთა დამრიგებელი მათიას ზამერიც, თუმცა მას ცოტა განსხვავებული პრობლემა აწუხებს: „ასე გაგრძელება არ შეიძლება, როსიცკიზე ბუნდესლიგაში ნამდვილი ნადირობაა გამოცხადებული, ყველა მატჩში ცდილობენ, ტრავმა მიაყენონ, თავადაც ნახეთ, ბაიერნელები რას უშვებოდნენ, ასე გაგრძელება არ შეიძლება, ფეხბურთელები მსაჯებმა უნდა დაიცვან“. სხვათა შორის, ბავარიელ ლინკეს და იერემისს რომ დისკვალიფიკაცია აქვთ, სწორედ როსიცკის დამსახურებაა.

„დორტმუნდს“ ერთი პრობლემაც აქვს. ნიგერიელ იკპებას გუნდზე გული აცრუვებია, უფროსობასთან ჩხუბი მოსვლია და სხვაგან გაშვებას ითხოვს. „დორტმუნდის“ ხელმძღვანელობას სხვა მოთხოვნებსაც უყენებენ. ბოლო დროს გუნდის თამაშით აღფრთოვანებული ქომაგები ვარჯიშს აღარ აცდენენ, თან ტრანსპარანტები მიაქვთ, რომლებზეც წერია: „თქვენ დიდებულები ხართ, ამიტომ ჩემპიონობა გვსურს“.

ქართველთა „ფრაიბურგს“ სტუმრად უძნელესი მატჩი ელის საჩემპიონოდ შემართულ „ლევერკუზენთან“. დღეს ისევ ვერ ითამაშებს დაშავებული ცქიტიშვილი, სამაგიეროდ, ძირითადში ვიხილავთ იაშვილს, რომელსაც ორიოდე დღის წინ ბარძაყი აწუხებდა. აღსანიშნავია, რომ ეს გუნდები ლევერკუზენში ექვსჯერ შეყრიან ერთურთს, ბალანსი თანაბარია — ორჯერ მასპინძლებმა მოიგეს, ორჯერ სტუმრებმა, ამდენჯერვე ფრედ ითამაშეს, ბურთების შეფარდება 11:11-თან.

„ვიცი, ჩემი ძირითადში თამაში დროებითია. ლოტნერი და არველაძე რომ გამოჯანმრთელდებიან, ისევ სკამზე მომიწევს ჯდომა“ — შეწუხებულმა კიოლნელმა მიროსლავ ბარანეკმა ეს სიტყვები „კიკერს“ უთხრა, თან დასძინა, ბოლოს ორივემ ჩინებულად ითამაშა და არა მგონია, ლინენმა მათზე უარი თქვასო. იმავე „კიკერის“ სავარაუდო შემადგენლობებს თუ ვერწმუნებით, ხვალ ჰამბურგში არჩილ არველაძე თადარიგში უნდა იყოს, თუმცა პოპულარული გამოცემა შემადგენლობების დასახელებისას საკმაოდ ხშირად ცდება.

ფრანკფურტში შუქიც აქვთ და წყალით, მოსახლეობა არც ქალაქის თუ ქვეყნის ხელისუფლებითაა უკმაყოფილო, მაგრამ ერთმა ნაწილმა ქუჩების გადაკეტვას მიჰყო ხელი. ჯერ იყო და ფრანკფურტელებმა ფრაიბურგის სტადიონის გამოსასვლელი ჩახერგეს, წინა შაბათს კი თავიანთი არენის მისადგომებისთვისაც მოაცალეს. მიზეზს უკვე მიხვდებოდით, „აინტრახტის“ ცუდი თამაში. ფრაიბურგში მოწყობილმა პიკეტმა შედეგი გამოიღო, გუნდში ახალი მწვრთნელი მიიწვიეს — ფრიდელ რაუში. „ლევერკუზენთან“ შინ მარცხის მერე, ქომაგები რომ მიხვდნენ, საქმეს არაფერი ეშველაო, ფეხბურთელთა გასახდელში შეჭრას შეეცადნენ, მაგრამ პოლიციამ იმარჯვა. „გპირდებით, გუნდი ბუნდესლიგაში დარჩება, არ გავვარდებით“ — ამ დაპირებითღა დაშალა მოპიკეტენი რაუშმა და ვინ იცის, ეგებ თავში ხელებსაც იცემს.

დღეს „აინტრახტი“ ბოლო სამ მატჩში 14 ბურთის გამშვებ და მხოლოდ სამის გამტან „კაიზერსლაუტერნს“ სტუმრობს. „ამ კოშმარს „აინტრახტთან“ ბოლო უნდა მოვუღოთ“ — ამბობს „ლაუტერნის“ მწვრთნელი ანდრეას ბრემე. ჰოდა, როგორი თამაში იქნება დღეს, თავად განსაჯეთ.

ზედიზედ ოთხი თამაშის წამგები „მიუნხენ 1860“ ვოლფსბურგში ჩადის. მთელი ერთი კვირა ხმები დადიოდა, მიუნხენის დამრიგებელ ვერნერ ლორანტს გუნდის ბედი აღარ ანაღვლებს, ახალი სეზონიდან „აინტრახტს“ გაწვრთნისო. მაგრამ ლორანტმა ჭორებს ბოლო მოუღო, 2005 წლამდე მიუნხენიდან ფეხის გამდგმელი არ ვარო. პირობის დადება არც მას დავიწყებია, „ვოლფსბურგთან“ ეს უიღბლო სერია უნდა დავასრულოთო, აღნიშნა მწვრთნელმა.

## ესპანეთი

გიორგი დარჩანია

# რეალს პალერმო ახსოვს

| XXX ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| დეპორტივო | — | ოსასუნა |
| ვალენსია | — | ალავესი |
| ბარსელონა | — | სარაგოსა |
| რეალი | — | ვილიარეალი |
| **ხვალ** | | |
| ვალიადოლიდი | — | ოვიედო |
| მალაგა | — | რაიო ვალეკანო |
| ბილბაო | — | ესპანიოლი |
| რასინგი | — | სელტა |
| მალიორკა | — | ლას პალმასი |
| ნუმანსია | — | სოსიედადი |

**საღლეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 29 | 19 | 5 | 5 | 62:30 | 62 |
| დეპორტივო | 29 | 16 | 6 | 7 | 57:35 | 54 |
| ვალენსია | 29 | 15 | 7 | 7 | 47:23 | 52 |
| ბარსელონა | 29 | 14 | 8 | 7 | 63:43 | 50 |
| მალიორკა | 29 | 13 | 10 | 6 | 40:34 | 49 |
| სელტა | 29 | 12 | 8 | 9 | 41:40 | 44 |
| ალავესი | 29 | 12 | 7 | 10 | 46:39 | 43 |
| ვილიარეალი | 29 | 12 | 7 | 10 | 44:40 | 43 |
| მალაგა | 29 | 12 | 5 | 12 | 47:47 | 41 |
| ესპანიოლი | 29 | 11 | 6 | 12 | 36:32 | 39 |
| რაიო ვალეკანო | 29 | 9 | 10 | 10 | 49:51 | 37 |
| ბილბაო | 29 | 9 | 9 | 11 | 37:42 | 36 |
| სარაგოსა | 29 | 8 | 11 | 10 | 41:42 | 35 |
| ლას პალმასი | 29 | 10 | 5 | 14 | 29:48 | 35 |
| ვალიადოლიდი | 29 | 7 | 11 | 11 | 33:39 | 32 |
| ოვიედო | 29 | 9 | 5 | 15 | 38:54 | 32 |
| სოსიედადი | 29 | 7 | 8 | 14 | 33:56 | 29 |
| ოსასუნა | 29 | 6 | 10 | 13 | 32:44 | 28 |
| რასინგი | 29 | 7 | 6 | 16 | 35:49 | 27 |
| ნუმანსია | 29 | 7 | 6 | 16 | 27:49 | 27 |

**დღეს** ჩემპიონობის უპირველესი მაძიებელი და ფაქტობრივად, უკვე ჩემპიონი მადრიდის „რეალი“ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ძალიან კარგად მოთამაშე „ვილიარეალს“ ხვდება. ეს პატარა გუნდი ახლა მეშვიდე ადგილზეა და უეფას თასზე გაღწევას ლამობს, რაც პრიმერადივიზიონში ახლადაღზევებულისთვის სწორედაც რომ ძალიან კარგი შედეგია.

„რეალის“ აშკარა ფავორიტობის მიუხედავად, მადრიდელებს ბლომად ოფლის ღვრა მოუწევთ. ერთი მიზეზი უკვე ვთქვით, „ვილიარეალის“ კარგი თამაში, რომელიც ვისენტე დელ ბოსკემაც აღიარა, როცა გუშინ თქვა, ვილიარეალელებს ისეთი ფეხბურთელები ჰყავთ, რომელთაგანაც ყველაფერს უნდა ელოდოს კაციო. მეორე მიზეზი კი რაულისა და ფერნანდო მორიენტესის არყოფნა იქნება, რადგან მათ ტრავმები აწუხებთ და მწვრთნელს დამატებითი თავსატეხი გაუჩნდა.

ისიც უნდა ითქვას, რომ შუა კვირაში „რეალს“ „გალათასარაისთან“ ექნება დასამტკიცებელი თავისი ძლიერება, რის გამოც დელ ბოსკემ ამ ორ თამაშზე ფეხბურთელთა ენერგია სწორად უნდა გადაანაწილოს.

მაგრამ დღევანდელი თამაშის მთავარი ინტრიგა მაინც მარტინ პალერმოს მადრიდში ჩასვლაა. ვისაც გასული წლის 28 ნოემბრის ამბავი არ ახსოვს, შევახსენებთ, რომ საკონტინენტთაშორისო თასისთვის ბრძოლაში „ბოკა ხუნიორსმა“ 2:1 მოუგო „რეალს“ და ორივე გოლი მარტინ პალერმომ გაიტანა. თან ამ საქმისთვის სულ რაღაც ექვსი წუთი იყო.

იმ ამბიდან ორი თვეც არ გასულა, რომ პალერმომ „ვილიარეალში“ ამოყო თავი და აგერ ისევ „რეალი“.

„ბარსელონას“ თავკაცმა ლორენს სერა ფერერმა თქვა, იმედი მაქვს, ხოსეპ გვარდიოლას გადაწყვეტილება გუნდიდან წასვლის თაობაზე ბიჭების შემართებაზე არ იმოქმედებს და დღესაც და შემდეგშიც ბოლომდე დაიხარჯებიანო.

„ბარსელონას“ კი სამი ქულა ჰაერივით სჭირდება, რადგან ზურგს უკან „მალიორკას“ სუნთქვას გრძნობს, რაც შესაძლოა მომავალი სეზონისთვის ჩემპიონთა ლიგის ადგილის დაკარგვად დაუჯდეს. ეს კატასტროფა იქნება.

„სარაგოსასთან“ მატჩის წინ კატალონიელთათვის ერთი უსიამოვნო ცნობა ისაა, რომ ბატისტუტა დაშავებულია. აქ კორექტურა არ არის. საქმე ისაა, რომ ბატიგოლის ტრავმამ არგენტინის ნაკრებში ადგილი დაუბრუნა ხუან ედუარდო ესნაიდერს, რომელიც მწვრთნელს უკეთესად თამაშს დაჰპირებია, რაც „ბარსასთან“ გამოჩნდება.

„დეპორტივო“ მისმა ლიდერმა ჯალმინიამ დაალალატა. წინა ტურში გაძევებულ ბრაზილიელს ორი თამაშის გამოტოვება მოუხდება. ამას მანუელ პაბლოს, დონატოსა და ნურედინ ნაიბეტის დისკვალიფიკაციებიც დავუმატოთ და მწვრთნელი ხავიერ ირურეტა თავის ფიქრებს შევატოვოთ. მისი ფიქრები კი იქითაა მიმართული, რომ „ოსასუნას“ წინააღმდეგ ვიქტორის, სესარის, ჰელდერისა და ლეონელ სკალონის გამოჩენას უნდა ველოდოთ.

ხავი მორენოს არყოფნა „ალავესს“ მაინც და მაინც არ უგრძვნია — ბოლო ორ მატჩში ცხრა გოლი გაიტანა. „ვალენსიასთან“ ჩემპიონატის ბომბარდირის თამაში საეჭვოა, მაგრამ ხოსე მანუელ ესნალ პარდოს განკარგულებაში ივან ალონსო და ხორდი კრუიფი არიან, უეფას თასზე „კაიზერსლაუტერნის“ დამჩაგვრელნი.

ვალენსიელებს თავის მხრივ ტრავმირებული კილი გონსალესი არ ეყოლებათ, რომელსაც ყმაწვილი, მაგრამ საკმაოდ საიმედო ვისენტე შეცვლის.

მუდამ ამბიციურმა ბილბაოელებმა ამ სეზონში ვერაფერს მიაღწიეს და შინ კარგად რომ არ თამაშობდეს, ახლანდელ მეთორმეტე ადგილზეც ვერ იქნებოდა. ისმაილ ურსაისის ტრავმამ ჩიჩო როხოს გუნდის თამაში უფრო მოსაწყენიც გახადა, „ესპანიოლი“ კი ის გუნდია, რომელსაც უეფას თასზე გასვლის იმედი არ დაუკარგავს და ბილბაოში მხოლოდ მოგება სჭირდება.

„ოვიედოს“ დამარცხებამ „რეალ სოსიედადი“ გასავარდნთა ზონას ერთი ნაბიჯით ააშორა. „ოვიედოზე“ ძლიერი არც „ნუმანსიაა“, თუმცა სორიელებს სიურპრიზების შეთავაზებაც უყვართ, თუნდაც „ბარსელონასთან“ ფრე გავიხსენოთ. ცხრილში ისეთი ამბებია, რომ გამარჯვების შემთხვევაში „ნუმანსია“ „სოსიედადს“ გადაუსწრებს, ამიტომ ბრძოლა რომ იქნება, თქმაც არ უნდა. ჩვენ კი იმედი ვიქონიოთ, რომ გიორგი დემეტრაძე, რომელიც წინა ტურში ჯონ ტოშაკს სათადარიგოდ ჰყავდა, ითამაშებს.

„სოსიედადისთვის“ სტიმული ისიცაა, რომ მასზე სამი ქულით წინ მყოფი „ვალიადოლიდი“ და „ოვიედო“ ერთმანეთში არკვევენ საქმეს და სანსებასტიანელებს ერთ-ერთის დაწევის ჩინებული შანსი აქვს. ეს ალბათ „ოვიედო“ იქნება, რომელიც სტუმრად საოცრად ცუდად თამაშობს.




მარტინ პალერმო

## მევლუდ მთიულიშვილი

საქართველოს მორაგბეთა ნაკრების წევრთა უმეტესობა საფრანგეთის ჩემპიონატში თამაშობს და ბოლო ხუთწლეულში არნახულ წარმატებასაც მიაღწიეს. არავინ იცის, ეს ბიჭები საქართველოს რომ შემორჩენოდნენ, რანი იქნებოდნენ დღეს. ლევან ცაბაძის, განო ნადირაძის, ვიქტორ დიდებულიძისა და ზურაბ მჭედლიშვილის თაობამ დროულად უშველა თავს და საფრანგეთს მიაშურა. მევლუდ მთიულიშვილი ამ თაობის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელია. 31 წლის მევლუდი სხვა მორაგბეებთან შედარებით თითქოს არ ჩანს მოედანზე, თვრამეტმატჩიან სანაკრებო კარიერაში ერთი ლელოც კი არ გაუტანია, მაგრამ თავის მისიას პირნათლად ასრულებს: შავ სამუშაოს შესანიშნავად აკეთებს. საქართველოს ნაკრების წარმატებაში მევლუდ მთიულიშვილის წილი დიდია. მასზე მეტი სანაკრებო მატჩი ლევან ცაბაძეს (24), პაატა ჯიმშელაძეს (24), გია ლაბაძეს (23), განო ნადირაძესა (19) და ზურაბ მჭედლიშვილს (19) თუ ჩაუტარებიათ. შარშან მევლუდს მთელი სეზონი გაუცდა, თორემ სანაკრებო კარიერას მნიშვნელოვნად გაზრდიდა. მთიულიშვილი რუმინელებთან მატჩში დაშავდა



და ნაადრევად დატოვა მოედანი. მას საფრანგეთში დავუკავშირდით, უპირველესად ჯანმრთელობის თაობაზე ვკითხეთ.

# შესანიშნავი შავი მუშა

## მთიულიშვილის ხინკალი უცბად ქრება

— საგანგაშო არაფერია, კუნთი მაქვს დაჭიმული. გუშინ ექიმებს გავესინჯე და ერთთვიანი დასვენება მირჩიეს. ამ ხნის განმავლობაში ჩემს კლუბში, „ორიიაკში" საფუძვლიანად ვიმკურნალებ. შემდეგ ისევ მოედანს დავუბრუნდები.

**— შარშან გამართულ ევროპის ერთა თასზე არც ერთი მატჩი არ გითამაშია...**

— მაშინ გაუთავებელმა ტრავმებმა გამტანჯა. ჯერ თვალის ოპერაცია გავიკეთე, მერე — წელის. მეგონა, ყველაფერი მოგვარდა, მაგრამ მერე მუხლი დავიზიანე და ისევ იძულებითმა დასვენებამ მომიწია. რუმინელებთან მოვმჯობინდი, სათადარიგოც ვიყავი, მაგრამ სორელმა არ მათამაშა.

**— რატომ, არ გენდობოდა?**

— არა, ეგ არ იყო მიზეზი. უბრალოდ, ბოლომდე მაინც ვერ მოვიშუშე ტრავმა და სორელმაც არ ჩათვალა მიზანშეწონილად ჩემი მოედანზე შეყვანა.



2001 წლის 17 თებერვალი. საქართველო — პორტუგალია.
მევლუდ მთიულიშვილს ხუთმა პორტუგალიელმაც ვერაფერი დააკლო

ბაჩუკი ქართველიშვილის ფოტო

**— ბუქარესტულ მატჩზე რას იტყვი?**

— ძალიან მაგრად ვითამაშეთ, მეც და მთელმა გუნდმაც. ისე, ჩემზე ლაპარაკი ცოტა უხერხულია, რადგან ტრავმის გამო მოედანი დავტოვე, თუმცა რაც ვითამაშე, იმისიც კმაყოფილი ვარ. კარგად იცი, რა ძალაა რუმინეთის ნაკრები, მარტო ჩემს გუნდში შვიდი რუმინელი თამაშობს და საკმაოდ მაღალ დონეზეც. მაგრამ იმ დღეს ჩვენი შეჩერება შეუძლებელი იყო, თბილისში განცდილი მარცხისთვის ღირსეული რევანში უნდა აგველო. ისე, შარშან თბილისშიც შეგვეძლო რუმინელებისთვის მოგვეგო, მაგრამ დაცვაში ბევრი შეცდომა დავუშვით, ხშირად უაზროდ ვჯარიმდებოდით. რუმინელებიც აშკარა პროვოკაციას გვიწყობდნენ, ბინძურ თამაშს მიმართავდნენ. ხომ გახსოვს, ერთი პირობა კაცნაკლულნი დავრჩით, სწორედ იმ დროს გავუშვით ორი ლელო, რამაც მატჩის ბედი გადაწყვიტა. წლეულს კი რუმინელთა პროვოკაციებზე აღარ წამოვეგეთ. როგორც თბილისში, ბუქარესტშიც საკმაოდ გვეუხეშნენ, მაგრამ მოვითმინეთ და ჩხუბი არ აგვიტეხია. მხოლოდ მატჩის მოგებაზე ვფიქრობდით.

**— პეტრე მიტუ ორ ბოთლ შამპანურზე რომ დაგენიძლავა, მინიმუმ ოცი ქულით მოგიგებთო...**

— ამ დილით, ვარჯიშზე მივაკითხე ბიჭებს, მიტუ და დანარჩენი რუმინელებიც იქ იყვნენ. რაღაც-რაღაც მიზეზებს ეძებდნენ, თავიანთი მარცხი რომ გაემართლებინათ. აქაოდა გუნდში განხეთქილებაა, ალექსანდრუ მანტა კაპიტნად არ გვინდოდა, მწვრთნელიც არ მოგვწონს, ამიტომ მთელი ჟინით არ გეთამაშეთო. მე ვუთხარი, ბევრ ლაპარაკს თავი დაანებეთ, წადით ახლა, ცივი შამპანური მომიტანეთ-მეთქი. მარტო მიტუმ კი არა, დანარჩენმა რუმინელებმაც წააგეს სანაძლეო. ასე რომ, ერთ ქეიფს ეყოფა მათი მოტანილი შამპანური.

**— მოგიტანეს?**

— ჯერ არა. ტრავმას რომ მოიშუშებ, მერე რესტორანს ვიკისრებთო, დამპირდნენ. ახლა რომ დავლიო, არ შეიძლება: აღდგენითი პროცედურებზე დავდივარ. ექიმებმა მირჩიეს, ალკოჰოლს მოერიდეო.

**— რუმინელ თანაკლუბელებთან როგორი ურთიერთობა გაქვს?**

— ნორმალური, კარგი ბიჭები არიან, განსაკუთრებით პეტრე მიტუ. ალალი და გულღია პიროვნებაა. გარდა ამისა, ნამდვილი პროფესიონალია. ამ დილით ვარჯიშზე რომ მივაკითხე, ჩემთან მოვიდა, გამარჯვება მომილოცა. ამათ ნუ უსმენო, მითხრა, ღირსეულად მოიგეთო. შეიძლება ითქვას, მიტუ ჩემი მეგობარია, ვარჯიშის შემდეგ ტრენაჟორებზე ერთად წავედით.

**— რუსეთთან და რუმინეთთან მატჩებს თუ შეადარებ?**

— რუმინეთი რუსეთზე გაცილებით მაღალი დონის ნაკრებია. ამას ბევრი მტკიცება არ სჭირდება. მაგრამ გასაკვირი, იცი, რა არის? რუსებს მინიმალური სხვაობით ვაჯობეთ, ეგ კი არა, ბოლო წუთზე გარდასახვა რომ გაეტანათ, მატჩი ფრედ დასრულდებოდა. ჩემი აზრით, რუსებმა ჩვენთან ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ითამაშეს. რაც იცოდნენ და შეეძლოთ, ყველაფერი გააკეთეს. იმას კი არ ვამბობ, რომ რუმინეთმა მთელი თავისი შესაძლებლობები არ გამოავლინა, უბრალოდ, ისინი ზედმეტმა თავდაჯერებამ დაღუპა.

**— კარგი, მოდი ახლა, შენს კლუბზე ვთქვათ ორიოდე სიტყვა.**

— დღეს ძალიან ცუდ მდგომარეობაში ვართ. შეიძლება „ელიტ 1"-დან გავვარდეთ. კლუბის ხელმძღვანელობა იმედს არ კარგავს, ყველა ღონეს ხმარობს, რათა როგორმე არ დავქვეითდეთ. ვნახოთ, რა გამოვა. ოთხი-ხუთი მატჩი დაგვრჩა ჩასატარებელი უშუალო კონკურენტებთან, თუ ჩვენთვის სასურველ შედეგს მივაღწევთ, „ელიტ 1"-ში დავრჩებით.

**— ცუდი თამაშის მიზეზი რა არის, ფინანსურად ხომ არ გიჭირთ?**

— არა, ფინანსურად არ გვიჭირს. თუმცა სხვა გუნდებთან შედარებით არცთუ სოლიდური ბიუჯეტი გვაქვს. მაგრამ რაც გვაქვს, გვყოფნის. შემადგენლობაც ნორმალურია, უბრალოდ, ჩვენი თამაში ვერ ვიპოვეთ, არასტაბილურად ვასპარეზობთ.

**— შენ როგორ მოეწყვე საფრანგეთში?**

— მშვენივრად. ნორმალური ანაზღაურებაა. კლუბმა ბინა მიქირავა, მანქანაც გამომიყო.

**— საფრანგეთში მარტო ცხოვრობ?**

— დიახ. ჯერ არ დავოჯახებულვარ, ამიტომ მარტოს მიწევს ყოფნა.

**— გამოდის, ქართულ კერძებს მონატრებული ...აები...**

— შენ წარმოიდგინე, არა. რამდენიმე ქართული კერძის მომზადება ვიცი და როცა ძალიან მენატრება-ხოლმე, საჭირო პროდუქტებს ვყიდულობ და ვაკეთებ. საკმაოდ კარგად გამომდის. ბუქარესტიდან კლუბებში რომ ვბრუნდებოდით, რამდენიმემ, დაახლოებით შვიდი-რვა ვიქნებოდით, ბეზიეში გამოვიარეთ. იქ ილო ზედგინიძესა და გოდერძი შველიძესთან ერთი ღღით შევჩერდით. ისეთი ხინკალი გავაკეთე, ბიჭებმა თვალის დახამხამებაში მიირთვეს. კარგად მოვულხინეთ.

**ბაჩო სვანიძე**





# იყიდება

**ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე.**

**საცხოვრებელი ფართი 250 მ².**

**დამხმარე ფართი 80 მ²**

**პირველ სართულზე.**

# ქუთაისში

ირაკლი აბაშიძის გამზირი, 18. კინოთეატრ "სულიაკოსთან"




საქართველოს ჩემპიონატი

# დამალობანა პლეი ოფის წინ

13 აპრილი. ვერის ბაღი

**მაკაბი 76:105 ბასკო**

17:13, 23:27, 14:33, 22:32

**მაკაბი:** წოწელია (16), შანიძე (29), სარიშვილი (12), ტუჯანი (6), დაჩუმი (12); მჭედლიშვილი (1)

**ბასკო:** უსტიაშვილი, როჯერსი (9), ორმოცაძე (9), დროჟანოვი (12), ვ. ნაცვლიშვილი (18); ნიკოლაძე (10), კილაძე (2), ბეჟანიშვილი (22), აბრამიძე (6), გ. ნაცვლიშვილი (12), კეშელავა, მ. მარკოიშვილი (5)

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

**კომისარი:** მურმან ქურიძე

**გიორგი ბიკაშვილი**

**ექვსეულის** მესამე წრე ფორმალობად იქცა, რადგან რეგულარულ ჩემპიონატში „ბასკო" პირველ ადგილს ველარავინ შეეცილება და საწაული უნდა მოხდეს, მეოთხეზე მყოფმა „მაკაბიმაც" პოზიციები დათმოს. რადგან „მაკაბის" წინ წაწევის შანსიც თითქმის არა აქვს, პლეი ოფის ნახევარფინალურ სერიაში ამ გუნდს სწორედ „ბასკოს" მეტოქეობა ერგება. ასე რომ, გუშინდელი მატჩი ერთგვარი რეპეტიციაც გახლდათ.

აქედან გამომდინარე, სავარაუდო იყო, რომ გაცილებით საპასუხისმგებლო შეხვედრების მოლოდინში მეტოქეები ყველაფერს არ გაუმჟღავნებდნენ ერთმანეთს. ცხადი იყო, ოთხეულში ადგილდაბევებული და თვითკმაყოფილი „მაკაბი" თავისას მაინც შეეცდებოდა, თუმც ამ გუნდის გამარჯვება ნაკლებად მოსალოდნელი იყო, რადგან წინა დღეს შინაურ ფრონტზე წლეულს პირველად დამარცხებულ „ბასკოს" საკუთარი ქომაგების თვალში რეაბილიტაცია სჭირდებოდა.

„მაკაბიმ" ტრადიციას არც ამჯერად უღალატა და მომხვდურ ზღვისპირელებს თავიდანვე ზონური დაცვა შეაგება. დებიუტში „ბასკოს" ძალიან გაუჭირდა მეტოქის შეთანხმებული დაცვის გარღვევა და რაკი შანიძის წინააღმდეგაც უძლური იყო, მდევრის როში აღმოჩნდა. ჩემპიონი წუთშესვენების შემდეგღა გამოერკვა „ბასკოს" ქართული იერის რუსმა ლეგიონერმა, სერგეი დროჟანოვმა მალე სამქულიანით წონასწორობა აღადგინა, მოედანზე ახლადშესულმა მანუჩარ მარჯოიშვილმა კი პირველად დააწინაურა თავისიანები — 11:9.

მიუხედავად ამისა, პირველი ათწუთეულის მიწურულს ინიციატივა მაინც „მაკაბიმ" იგდო ხელთ, რაც ტუჯან-დაჩუმის კარგი დაცვითი თამაშითა და შეტევაში წოწელიას სიზუსტით მოახერხა.

ტომარაძემ ინერტული ჯეფ როჯერსი აბრამიძით შეცვალა, მაგრამ ამას „ბასკოსთვის" სასიკეთო არაფერი მოუტანია. ზღვისპირელები უნიათოდ განაგრძობდნენ თამაშს, რაც მალე ათქულიან ჩამორჩენად დაუჯდათ — 19:29.

ამ ეპიზოდის შემდეგ რადიკალურად გარდაიქმნა „ბასკო". სულ სხვა რიგით ათამაშდა მოედანზე დაბრუნებული როჯერსი, რომელმაც თავისიანთა აყოლიებაც მოახერხა. სწორედ მისმა და ვაკო ბეჟანიშვილის აქტიურობამ ტაიმებს შორის შესვენებაზე მეტოქეები მშვიდობიანად გაჰყარა — 40:40.

აი, მესამე მეოთხედში კი „მაკაბი" პირწმინდად დაჩაგრა „ბასკომ". ბათუმელთა აღმაფრენა მას მერე დაიწყო, რაც ტომარაძემ ზონური პრესინგი ბრძანა. მეტოქის დაცვითი აგრესია თბილისურ გუნდს ბევრჯერ ბურთის დაკარგვის ფასად დაუჯდა, ნიკოლაძის ორი ზუსტი სამქულიანის შემდეგ კი თვალში საცემადაც ჩამორჩა მოწინააღმდეგეს — 51:69.

დარჩენილი დრო კატათაგვობანას მოგაგონებთ...

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბასკო | 25 | 24 | 1 | 2469:1838 | 49 |
| აზოტი | 26 | 21 | 5 | 2215:1940 | 47 |
| სბუ-ჯეოსელი | 25 | 17 | 8 | 2302:2148 | 42 |
| მაკაბი | 26 | 13 | 13 | 2264:2208 | 39 |
| თსუ | 26 | 10 | 16 | 2240:2378 | 36 |
| შევარდენი | 26 | 7 | 19 | 1947:2146 | 32 |

შევარდენს დაკლებული აქვს ერთი ქულა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიაცები პარდობისთვეს ელიან

**სულ** ახლახან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკალათბურთო დარბაზში საქართველოს ჩემპიონატის მესამე ტურის შეხვედრები გაიმართა ქალ კალათბურთელთა შორის. ჩემპიონატი თავიდან ხუთმა გუნდმა დაიწყო, თუმც სადღეისოდ ოთხიღა შემორჩა, რადგან გათამაშებას გარკვეულ მიზეზთა გამო ბათუმელი გოგონები გამოაკლდნენ. უპატრონოდ მიგდებული ქალთა ჩემპიონატის გამარჯვებული მეოთხე, დასკვნითი ტურის შემდეგ გამოვლინდება, რომელიც სავარაუდოდ მაისში გაიმართება. მესამე ტურის შემდეგ კი ჩემპიონობის შანსი ერთბაშად სამ გუნდს აქვს.

სადღეისოდ პირველ ადგილზე „მართვეა", რომელმაც სააქციო საზოგადოება „ყაზბეგის" მეშვეობით ამას წინათ ბაქოში გაიარა შეკრება. ამ გუნდმა, რომლის ლიდერიც ჩვენში კარგად ცნობილი გვანცა ომიაძე გახლავთ, მესამე ტურში ჯერ „მართვე 2", იგივე „იმედი" დაჯაბნა, შემდეგ გაჭირვებით, მაგრამ მაინც მოუგო საკმაოდ სიმპათიურ ქუთაისის სამედიცინო ინსტიტუტის გუნდს, სამშაბათს კი 2 ქულით წააგო სახელმწიფო უნივერსიტეტთან. შოთა იაქაშვილისა და თამარ ბუიღლიშვილის შეგირდებს თითო წაგებით ჩამორჩებიან ქუთათური გოგონები (მწვრთნელი თემურ ჩარკვიანი) და უნივერსიტეტელები (მწვრთნელი იანა ავსაჯანიშვილი). ამათი ურთიერთშეხვედრა იმერლების გამარჯვებით დასრულდა, რამაც ჩემპიონატს ინტრიგა ერთიორად შემატა. მეოთხე გუნდი — „მართვე 2" უიმედო მდგომარეობაშია და წლეულს დანარჩენებს კონკურენციას ველარ გაუწევს. ასე რომ, ჩემპიონის ვინაობა „მართვეს", თსუ-სა და ქუთაისელთა ჭიდილში უნდა გაირკვეს.

# მსაჯები გაერთიანდნენ და კატეგორიები ჩამოირიგეს

**ქართველი** საკალათბურთო მსაჯების საერთო კრებამ დააფუძნა საქართველოს კალათბურთის მსაჯთა ასოციაცია. ეს ორგანიზაცია საქმიანობას დამოუკიდებლად წარმართავს, თუმცა ხელმძღვანელობს საქართველოს კალათბურთის ფედერაციის და სამოყვარულო კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის (ფიბა) წესდებით.

საქართველოს კალათბურთის მსაჯთა ასოციაციის წესდება-დებულება განსაზღვრავს: ასოციაციის საქმიანობას, მსაჯების უფლება-მოვალეობას, ანიჭებს კატეგორიებს; სპორტის დეპარტამენტის რეკომენდაციების და საკუთარი დებულების საფუძველზე ატარებს მსაჯთა ლიცენზირებას — საერთაშორისო წესების და მოედნის მსაჯთათვის ფიზმომზადების ტესტების ჩაბარების გათვალისწინებით. მსაჯთა ლიცენზირება მოხდება წელიწადში ორჯერ — თებერვალსა და სექტემბერში.

საქართველოში შემოღებულია კალათბურთის მსაჯთა შემდეგი წოდებები: „ბ" კატეგორიის მსაჯი, „ა" კატეგორიის მსაჯი, ეროვნული კატეგორიის მსაჯი.

მსაჯთა პირველი ლიცენზირება უკვე ჩატარდა. ამას წინ უძღოდა სემინარები თბილისსა და ბათუმში. მსაჯებს წინასწარ დაურიგდათ საერთაშორისო წესები, კითხვები და ფიზმომზადების ტესტები. მსაჯთა ასოციაციის კომისიამ შეაჯამა მიღებული შედეგები და კატეგორიები და ლიცენზიები მიანიჭა შემდეგ მსაჯებს.

**მოედნის მსაჯები**

**ეროვნული კატეგორიის მსაჯები**

*ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი, ზურაბ აბაშიძე*

**„ა" კატეგორიის მსაჯები**

*დავით ანდრიაძე, ლაშა თოიძე, მაკა კუპატაძე*

**„ბ" კატეგორიის მსაჯები**

*დავით მაჭავარიანი, ლია ქაჯაია, ზათუნა გაბედავა, ზაზა ლოლიშვილი*

**მსაჯი-მდივნები**

**ეროვნული კატეგორიის მსაჯები**

*ელიზავეტა აზიზოვა, მანანა მოსულიშვილი, ნანა მდივნიშვილი, ქეთევან ქიქოძე*

**„ა" კატეგორიის მსაჯი**

*ტატიანა ტანტიბა, პავლე კავილინი*

**„ბ" კატეგორიის მსაჯი**

*ოლგა პისანკო, ია ხუნდაძე, თამარ ჩხაიძე, თემურ კახიძე, რამაზ მესხიძე, სოფიკო ლოლიშვილი, ბადრი შამილაძე*

**კომისრები**

**ეროვნული კატეგორიის მსაჯი**

*მურმან ქურიძე (საერთაშორისო არბიტრი), როლანდ ხომერიკი (საერთაშორისო არბიტრი), თენგიზ ქიქოძე, ნოდარ დარახველიძე*

ასოციაციის გადაწყვეტილებით, არალიცენზირებული მსაჯები შეჯიბრებებზე არ დაიშვებიან.

**მურმან ქურიძე**

***საქართველოს კალათბურთის მსაჯთა ასოციაციის თავმჯდომარე, საერთაშორისო არბიტრი***

**ოლიმპიურ თემაზე 2001 წლის სპორტულ-ლიტერატურული კონკურსის დებულება**

1. სეოკ-ის სპორტულ-ლიტერატურული კონკურსი (შემდგომში კონკურსი) არის საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისა და მისი კულტურისა და ოლიმპიური განათლების კომისიის მიერ ორგანიზებული ანალოგიური კონკურსის შემადგენელი ნაწილი. იგი ძირითადად ეფუძნება საერთაშორისო კონკურსის პირობებს.

2. საქართველოში კონკურსი ჩვენი ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და ოლიმპიური აკადემიის მიერ ტარდება 2001 წლის 1 მაისიდან 15 ოქტომბრამდე, ორ ასაკობრივ ჯგუფში:
— 12 წლამდე ჩათვლით
— 13 წლიდან 18 წლამდე ჩათვლით

15 ოქტომბრის შემდგომ (საფოსტო ნიშნით ან პირადი წარდგინებით) მიღებული მასალა კონკურსზე არ დაიშვება.

3. საკონკურსო მასალაში (სიუჟეტი, მოთხრობა, ესსე, კომპოზიცია) გადმოცემული უნდა იყოს ოლიმპიური სულისკვეთება და ითვალისწინებდეს ოლიმპიურ ღირსებებს (ხუთი ნომინაცია):
— საკუთარი თავის წარმოჩენა
— სამართლიანი თამაში
— თავდადებით განცდილი მხიარულება
— სხვების პატივისცემა
— გონებასა და სხეულს შორის არსებული ბალანსი.

თითოეულ ასაკობრივ ჯგუფში უნდა წარმოადგინოთ ერთი თემა ქართულ, ინგლისურ ან ფრანგულ ენაზე.

წარმოდგენილი მასალის შეფასებისას გათვალისწინებული იქნება მისი სიმცირე, სიზუსტე და კომპოზიციურობა.

4. თითოეულ თემაში (სულ ხუთი თემა-ნომინაცია) ჟიურის მიერ სოკ-ის სიგელითა და სეოკ-ის ემბლემიანი ფასიანი საჩუქრით დაჯილდოვდება 3-3 საუკეთესო ნაწარმოები; პირველი პრიზის მფლობელი, თითოეულ ასაკობრივ ჯგუფში, წარდგენილი იქნება საერთაშორისო კონკურსზე (საჭიროების შემთხვევაში მათ თარგმანს ინგლისურ ან ფრანგულ ენებზე უზრუნველყოფს სეოკ-ი).

გამარჯვებული ნაწარმოებები გამოქვეყნდება ჟურნალ „ოლიმპიელში" ან გამოიცემა ცალკე.

5. კონკურსში მონაწილე მასალა წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი ფორმით გვარის, სახელის, მისამართის, სასწავლებლის ან საცხოვრებელი ადგილის ჩვენებით, ტელეფონითა და ფოტოსურათით (6X9).

6. საერთაშორისო კონკურსის ვადების შეცვლის შემთხვევაში, მოცემულ დებულებაში შეტანილი ცვლილებები გამოქვეყნდება.

7. კონკურსში მონაწილეობის მსურველებს პირობების გაცნობა შეუძლიათ სეოკ-ში (თბილისი, დავით აღმაშენებლის პროსპექტი 65, ტელ.: 95 36 87. დ. კინწურაშვილი) და საქართველოს ოლიმპიურ აკადემიაში (სპორტის აკადემია, ი. ჭავჭავაძის 49 ა, ტელ.: 29 37 92. ა. ციბაძე).

*საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი*

**NBA. რეგულარული ჩემპიონატი**

# მათ ვერ წაივარჯიშეს




მილუოკი — იუტა. მილუოკელმა რეი ალენმა (მარჯვნივ) დონიელ მარშალის „იუტა" დააწიოკა

12 აპრილი

**შარლოტი 88:78 ნიუ ჯერსი**

**შარლოტი:** ვესლი, დევისი (16), მაშბურნი (12), ბრაუნი (6 ქულა, 12 მოხსნა), კემპბელი (22); რობინსონი (18), მალუა (7), ბარელი (5), რეკასნერი (2), ტორპი

**ნიუ ჯერსი:** ოვერტონი (2), ჰარისი (13), ნიუმენი (16), ვან ჰორნი (14 ქულა, 11 მოხსნა), ემმეიერი (2); სტრიკლენდი (9), ტომასი (9), ვილიამსი (6), სამაკე (3), **სტეფანია** (6 წუთი, 2 ქულა, 3 მოხსნა, 1 პასი), გილი (2)

ვლადიმერ სტეფანიას „ნიუ ჯერსი ნეთსმა" კვლავ წააგო, უკვე ზედიზედ მესამედ, რაც არ უნდა გაგვიკვირდეს. ეს ალბათ „ბადეთა" უკანასკნელი მარცხი არ იქნება, ამ სეზონში კიდევ სამი თამაში დარჩათ ჩასატარებელი, თუმც მათთვის რეგულარული ჩემპიონატი, ფაქტობრივად, კარგა ხნის წინ დასრულდა. „ნეთსი" მოვალეობის მოხდის მიზნითღა თამაშობს და ერთობ ულიმლამოდაც ირჯება.

გამარჯვების მიუხედავად, შეხვედრამ შარლოტელები უკმაყოფილონი დატოვა. ისინი მეტოქისგან მეტ წინააღმდეგობას თუ არ ელოდნენ, ისურვებდნენ მაინც, რადგან საპლეიოფოდ გამზადებულები საკუთარ შესაძლებლობებს ამოწმებენ და დიდი ბრძოლების დაწყებამდე ერთგვარ წვრთნას გადიან. „ნიუ ჯერსიმ" კი მათთან მხოლოდ ვალი მოიხადა და თითქმის არ გამოუმჟღავნებია ბრძოლის სურვილი. „ძნელი სათქმელია, რამდენად კარგი გუნდი ვართ. ეს გამარჯვება ჩვენს შესაძლებლობებს სულაც არ ასახავს, რადგან „ნიუ ჯერსის" არაფერი აქვს ისეთი, რისთვისაც იბრძოლებდა. ის უბრალოდ სეზონს ამთავრებს და მისი ძლევა არაფერზე არ მეტყველებს. ამ თამაშმა მხოლოდ ერთი მოგება შეგვმატა, ესაა და ეს" — თქვა ნამატჩევს შარლოტელთა ერთ-ერთმა ლიდერმა დევიდ ვესლიმ. აღსანიშნავია, რომ თავად ვესლიმ, რომელიც ჯამალ მაშბურნის შემდეგ „შარლოტის" მეორე მექულეა და მატჩში საშუალოდ 17-18 ქულას იხვეჭს, საზიზღრად ითამაშა, თამაშში 13 სროლიდან ყველა ააცილა და ქულაც არ გაუკეთებია. სამაგიეროდ, „ბადეები" დააწიოკა მასპინძელთა ცენტრმა ელდენ კემპბელმა. სტუმართაგან ყველაზე შედეგიანი ერთ დროს შარლოტელი ჯონი ნიუმენი გახლდათ. „ნიუ ჯერსიმ" პირველ ნახევარში თუ გაუწია მასპინძლებს წინააღმდეგობა და ისიც 13 ქულის სხვაობით წააგო, მეორე ტაიმი კი ლაზღანდარობას უფრო ჰგავდა, ვიდრე თამაშს.

რაც შეეხება „ნეთსის" ქართველ ცენტრ ვლადიმერ სტეფანიას, ვოვას ექვსი წუთით თამაშმა მოუწია და მან გააკეთა ის, რისი გაკეთებაც შეიძლებოდა დროის ამ მცირე მონაკვეთში.

**მილუოკი 115:93 იუტა**

**მილუოკი:** ალენი (43), კასელი (18), ვილიამსი (15 ქულა, 10 მოხსნა)

**იუტა:** მენინგი (14), მარშალი (14)

**ორლანდო 101:77 ფილადელფია**

**ორლანდო:** მაკგრეიდი (31), ჰადსონი (21), ბრაუნი (17)

**ფილადელფია:** ჰილი (16)

**სან ანტონიო 105:107 საკრამენტო**

(ძირითადი დრო 96:96)

**სან ანტონიო:** დანკანი (42 ქულა, 11 მოხსნა, 4 დაფარება)

**საკრამენტო:** ვებერი (26 ქულა, 13 მოხსნა, 6 პასი), დივაცი (20 ქულა, 13 მოხსნა), სტოიაკოვიჩი (16)

**ლეიკერსი 119:102 მინესოტა**

**ლეიკერსი:** ონილი (31 ქულა, 12 მოხსნა, 6 პასი), ბრაიანტი (30)

**მინესოტა:** ბრენდონი (21), გარნეტი (15), პილერი (15)

**ვანკუვერი 87:100 პორტლენდი**

**ვანკუვერი:** ბიბი (24), აბდურ-რაჰიმი (14 ქულა, 12 მოხსნა, 6 პასი)

**პორტლენდი:** ვოლესი (27), დევისი (18 ქულა, 15 მოხსნა)

12 მარტს მარტო „შარლოტ ჰორნეთსს" როდი ჩაუფლავდა „ვარჯიში". წავარჯიშება კი არა, ამ დღეს ბევრმა ბობოლამ ჭამა მარცხი.

„მილუოკი ბაქსთან" განადგურდა „იუტა ჯაზი", რამაც კიდევ ერთხელ ათქმევინა საქმეში ჩახედულ პირებს, „იუტას" ლიდერები — ჯონ სტოქტონი და კარლ მელოუნი დაბერდნენო. შეგირდთა ასაკის (სტოქტონი 39 წლისაა, მელოუნი 37-ის) ხსენებამ „იუტას" მწვრთნელი ჯერი სლოუნი ალაშფოთა. მან ამის მთქმელნი გაკიცხა, აქაოდა, ჩემი ბიჭები უფრო სტაბილურები არიან, ვიდრე 20-22 წლის ყმაწვილები და საზოგადოდ, რადგან არ არსებობს კაცი, რომელიც ყველა თამაშს ერთნაირად კარგად ატარებს, ასაკზე გადაბრალება დიდი სისულელეაო. სხვათა კრიტიკას რომ მორჩა, პატივცემული სლოუნი ახლა იმათ მისდგა, ვისაც რამდენიმე წუთის წინ ბოროტი ენებისგან იცავდა და თავისი გაწვრთნილები მაგრად შეახურა. მაგათ დღეს თამაში არ უნდოდათ და ახლა, როცა პლეი ოფის დაწყებამდე კვირაღა რჩება, ამას ველარ მოვუთმენო.

ძნელი სათქმელია, რატომ, მაგრამ „იუტამ" ტოლძალოვან მეტოქეს შეხვედრა 22 ქულის სხვაობით დაუთმო. მისმა ლიდერებმა — სტოქტონმა და მელოუნმა ჯამში ოდენ 21 ქულა გააკეთეს, ორჯერ ნაკლები, რაც „მილუოკის" ლიდერმა რეი ალენმა. იმ დღეს ალენს სროლა წაუვიდა და როცა შენიშნა, ხელს არავინ მიშლისო, სროლას სროლა მიაყოლა, რვა სამქულიანი ჩააგდო და 43 ქულასაც მოუყარა თავი, რაც მის ხუთწლიანი კარიერის სარეკორდო შედეგია. „მილუოკიმ" კი სეზონის 50-ე შეხვედრა მოიგო და ცენტრალურ დივიზიონში პირველობაც დაიბევა. ეს პირველი შემთხვევაა 1986 წლის შემდეგ.

„იუტაზე" უკეთესი დღე არც აღმოსავლეთის საუკეთესო გუნდს, „ფილადელფია სიქსერზს" დაადგა, რომელმაც საშუალოზე საშუალო „ორლანდოსთან" 24 ქულით წააგო. არადა, „ორლანდოს" აკლდა ჩაუქი გამთამაშებელი დარელ არმსტრონგი, ვისაც წესით „სიქსერზის" სნაიპერის ალენ აივერსონის შეჩერება უნდა ეთავა, თუმცა მასპინძლებმა უარმსტრონგოდაც გადაჭრეს მთავარი პრობლემა. აივერსონს მრავალნაცადი ვეტერანი დი ბრაუნი მეურვეობდა და საიმედოდაც. მატჩში საშუალოდ 31 ქულის მომხვეჭმა აივერსონმა 15 სროლიდან მხოლოდ ხუთი ჩააგდო და სულ თავისიანებს 12 ქულაღა შეაშველა, რამაც, ცხადია, „ფილადელფია" გვარიანად აზარალა. სამაგიეროდ, ქულები არ დაიშურა ორლანდოელმა ტრეისი მაკგრეიდიმ, რომელიც კარგა ხანია, სეზონის აღმოჩენად აღიარეს და თუ სადმე სამართალია, ყველაზე გაუმჯობესებული მოთამაშის ტიტულიც მას უნდა არგუნონ.

წააგო კიდევ ერთმა ბობოლამ, „სან ანტონიომაც", მაგრამ, „იუტასა" და „ფილადელფიასგან" განსხვავებით, ღირსეულად. „სან ანტონიოს" ლიდერმა ტიმ დანკანმა „საკრამენტოს" ლიდერს, მისსავე ამპლუის კრის ვებერს აჯობა და სეზონში სარეკორდო 42 ქულაც მოიხვეჭა. მაგრამ ვებერს მხარში ამოუდგნენ იუგოსლავიელები — ვლადე დივაცი და პრედრაგ სტოიაკოვიჩი და როცა დანკანმა ვებერი ექვსი პერსონალურით თამაშიდან გააგდო, ლიდერობა მათ იტვირთეს. სტოიაკოვიჩმა სულაც ოვერტაიმში „საკრამენტოს" 11 ქულიდან 6 თავად ჩაიწერა და ოვერტაიმის დამთავრებამდე 2,4 წამით ადრეც ჩააგდო, რითაც თავის გუნდს მოაგებინა.

სხვა ბობოლათა ფეხის ხმას არ აჰყვნენ და მოიგეს „ლეიკერსმა" და „პორტლენდმა". ამ უკანასკნელს 1995 წლიდან, რაც „ვანკუვერი" არსებობს, ამ გუნდთან სულ სამი თამაში წაუგია და აქედან ორი მიმდინარე სეზონში. კანადური გუნდი იმედოვნებდა, რომ ლონიერ „პორტლენდთან" მიღწეულ გამარჯვებებს ერთსაც მიუმატებდა, მაგრამ მესამე მეოთხედი 17:31 წააგო, მეტოქეს 19 ქულით ჩამორჩა და ხელი ჩაიქნია.

**ირაკლი ფირცხალავა**

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკის დივიზიონი** | | | |
| | მ | წ | % |
| ფილადელფია* | 54 | 25 | 68,4 |
| მაიამი* | 48 | 30 | 61,5 |
| ნიუ იორკი* | 46 | 32 | 59,0 |
| ორლანდო* | 42 | 36 | 53,8 |
| ბოსტონი | 35 | 44 | 44,3 |
| ნიუ ჯერსი | 26 | 53 | 32,9 |
| ვაშინგტონი | 18 | 60 | 23,1 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| მილუოკი* | 50 | 29 | 63,3 |
| ტორონტო* | 44 | 34 | 56,4 |
| შარლოტი* | 43 | 36 | 54,4 |
| ინდიანა* | 38 | 40 | 48,7 |
| დეტროიტი | 31 | 47 | 39,7 |
| კლივლენდი | 27 | 51 | 34,6 |
| ატლანტა | 24 | 54 | 30,8 |
| ჩიკაგო | 13 | 65 | 16,7 |
| **დასავლეთის კონფერენცია** | | | |
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| სან ანტონიო* | 56 | 23 | 70,9 |
| იუტა* | 51 | 27 | 65,4 |
| დალასი* | 49 | 29 | 62,8 |
| მინესოტა* | 46 | 32 | 59,0 |
| ჰიუსტონი | 42 | 37 | 53,2 |
| დენვერი | 38 | 40 | 48,7 |
| ვანკუვერი | 22 | 57 | 27,8 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| საკრამენტო* | 54 | 24 | 69,2 |
| ლეიკერსი* | 54 | 26 | 67,5 |
| პორტლენდი* | 50 | 29 | 63,3 |
| ფინიქსი* | 48 | 30 | 61,5 |
| სიეტლი | 43 | 36 | 54,4 |
| კლიპერსი | 28 | 50 | 35,9 |
| გოლდენ სტეიტი | 17 | 61 | 21,8 |

* — გავიდა პლეი ოფში

# სარბიელი

## სპორტული ლატარია კროკო


**გერმანია. ბუნდესლიგა. 29-ე ტური**

14 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 001 | ვოლფსბურგი-მიუნხენი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 18.30 | 002 | კაიზერსლაუტ.-აინტრახტი | 1,6 | 3,5 | 4,7 |
| 18.30 | 003 | ბაიერნი-შალკე | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 18.30 | 004 | ბოხუმი-ვერდერი | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 18.30 | 005 | ლევერკუზენი-ფრაიბურგი | 1,45 | 3,4 | 6,5 |
| 23.15 | 006 | ჰერტა-დორტმუნდი | 2,4 | 3,0 | 2,7 |

15 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 007 | უნტერჰახინგი-ჰანზა | 1,95 | 3,1 | 3,5 |
| 20.30 | 008 | ჰამბურგი-კიოლნი | 1,95 | 3,1 | 3,5 |

**გერმანია. II ბუნდესლიგა. 29-ე ტური**

14 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 009 | ობერჰაუზენი-ალემანია | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 18.00 | 010 | ჰანოვერი-მაინცი | 1,6 | 3,3 | 5,3 |

15 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 011 | მიონხენგლადბახი-კიკერსი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 18.00 | 012 | ფიურტი-როიტლინგენი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 18.00 | 013 | ზაარბრიუკენი-ალენი | 1,95 | 3,1 | 3,5 |
| 18.00 | 014 | ულმი-ზანქტ პაული | 2,5 | 3,0 | 2,5 |

16 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.15 | 015 | ოსნაბრიუკუ-ნიურნბერგი | 2,5 | 3,2 | 2,4 |

**ინგლისი. პრემიერლიგა. 33-ე ტური**

14 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 018 | მანჩესტერი-ქოვენთრი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 19.00 | 019 | არსენალი-მიდლსბრო | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 19.00 | 020 | ასტონ ვილა-ევერტონი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 19.00 | 021 | ჩელსი-საუთჰემპტონი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 19.00 | 022 | იფსვიჩი-ნიუკასლი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 19.00 | 023 | ლესტერი-სიტი | 1,7 | 3,4 | 4,0 |
| 19.00 | 024 | სანდერლენდი-ტოტენჰემი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 19.00 | 025 | ვესტ ჰემი-დერბი | 1,75 | 3,1 | 4,2 |

**ინგლისი. I დივიზიონი. 42-ე ტური**

14 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 027 | ბარნსლი-ვესტ ბრომვიჩი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 19.00 | 028 | ჯილინგემი-შეფილდი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.00 | 029 | გრიმსბი-უოტფორდი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 030 | ჰადერსფილდი-ფულემი | 3,0 | 3,3 | 2,1 |
| 19.00 | 031 | პორტსმუთი-ქუინზ პარკი | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 19.00 | 032 | პრესტონი-ნოტინგემი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 19.00 | 033 | უენსლი-კრისტალ პალასი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 19.00 | 034 | სტოკპორტი-ბლექბერნი | 3,2 | 3,1 | 2,1 |
| 19.00 | 035 | ტრანმერი-ნორვიჩი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 19.00 | 036 | უიმბლდონი-ბარნსლი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 19.00 | 037 | ვულვერჰემპტონი-ქრიუ | 1,7 | 3,1 | 4,7 |

**ინგლისი. II დივიზიონი. 42-ე ტური**

14 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 039 | ბრენტფორდი-პორტ ვეილი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 19.00 | 040 | როვერსი-კოლჩესტერი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 19.00 | 041 | ლუტონი-ოლდემი | 2,1 | 3,2 | 3,1 |
| 19.00 | 042 | მილუოლი-სუინდონი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 19.00 | 043 | ნოთსი-ბორნმუთი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 19.00 | 044 | პიტერბრო-ბრისტოლი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 19.00 | 045 | რედინგი-ბერი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 19.00 | 046 | სტოკი-უოლსოლი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 19.00 | 047 | სუონსი-როტერჰემი | 3,6 | 3,3 | 1,8 |
| 19.00 | 048 | უიგანი-ოქსფორდი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 19.00 | 049 | უიკომბი-რექსემი | 2,1 | 3,2 | 3,1 |

**ინგლისი. III დივიზიონი. 42-ე ტური**

14 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 050 | ბარნეტი-ლეიტონი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 19.00 | 051 | კარლაილი-ბლეკპული | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 19.00 | 052 | ჩელტენემი-ლინკოლნი | 1,45 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 053 | ჩესტერფილდი-კიდერმინსტერი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 19.00 | 054 | დარლინგტონი-კარდიფი | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 19.00 | 055 | ექსეტერი-საუთენდი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 19.00 | 056 | ჰარტლპული-ჰალი | 1,85 | 3,0 | 4,0 |
| 19.00 | 057 | მაკლსფილდი-როჩდეილი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 19.00 | 058 | მენსფილდი-ტორკი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 19.00 | 059 | პლიმუთი-ბრაიტონი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 060 | შრიუსბერი-სკანთორპი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 19.00 | 061 | იორკი-ჰალიფაქსი | 1,9 | 3,2 | 3,8 |

**საფრანგეთი. I დივიზიონი. 31-ე ტური**

14 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.15 | 062 | ნანტი-ბასტია | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 063 | ნანტი-ბასტია 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 23.00 | 064 | ლანსი-ტრუა | 1,95 | 2,9 | 3,8 |
| 23.00 | 065 | ბორდო-სტრასბური | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 066 | ბორდო-სტრასბური 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 23.00 | 067 | მონაკო-სენტ ეტიენი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 23.00 | 068 | მარსელი-სედანი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 23.00 | 069 | ტულუზი-რენი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 23.00 | 070 | გენგამი-მეცი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 23.00 | 071 | ოსერი-ლილი | 2,5 | 2,9 | 2,6 |

15 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 072 | ლიონი-პსჟ | 1,6 | 3,1 | 6,0 |

**საფრანგეთი. II დივიზიონი. გადადებული მატჩი**

14 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 073 | ბოვე-მარტიგი | 2,1 | 2,7 | 3,6 |

**საფრანგეთი. II დივიზიონი. 35-ე ტური**

14 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 075 | კრეტეი-სოშო | 2,7 | 2,8 | 2,5 |
| 23.00 | 076 | ლავალი-მონპელიე | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 23.00 | 077 | ნიმი-ლე მანი | 1,7 | 2,8 | 5,6 |
| 23.00 | 078 | გენიონი-ლე ავრი | 2,2 | 2,7 | 3,4 |
| 23.00 | 079 | ვასკეალი-შატორუ | 2,4 | 2,7 | 3,0 |
| 23.00 | 080 | ნიცა-კანი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 23.00 | 081 | ნიორი-აიაჩო | 1,55 | 3,1 | 7,0 |

**იტალია. სერია A. 26-ე ტური**

14 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 082 | ატალანტა-პარმა | 2,5 | 2,8 | 2,7 |
| 18.00 | 083 | ბარი-ნაპოლი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 18.00 | 084 | ბრეშა-ვერონა | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 18.00 | 085 | ფიორენტინა-ლეჩე | 1,55 | 3,2 | 6,5 |
| 18.00 | 086 | მილანი-უდინეზე | 1,45 | 3,2 | 7,5 |
| 18.00 | 087 | რეჯინა-ლაციო | 4,2 | 3,0 | 1,8 |
| 18.00 | 088 | რომა-პერუჯა | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 089 | რომა-პერუჯა 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 |
| 18.00 | 090 | ვიჩენცა-ბოლონია | 2,4 | 2,8 | 2,9 |
| 23.30 | 091 | იუვენტუსი-ინტერი | 1,75 | 2,9 | 4,7 |

**იტალია. სერია B. 31-ე ტური**

14 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 092 | კალიარი-ვენეცია | 2,5 | 2,5 | 3,0 |
| 18.00 | 093 | კიევო-სამპდორია | 2,2 | 2,5 | 3,6 |
| 18.00 | 094 | კროტონე-ტორინო | 2,8 | [illegible] | [illegible] |
| 18.00 | 095 | ჯენოა-ანკონა | 1,9 | 2,7 | 4,4 |
| 18.00 | 096 | პესკარა-პისტოიეზე | 2,1 | 2,6 | 3,8 |
| 18.00 | 097 | პიაჩენცა-მონცა | 1,35 | 3,5 | 8,0 |
| 18.00 | 098 | სალერნიტანა-კოზენცა | 2,3 | 2,5 | 3,4 |
| 18.00 | 099 | სიენა-ემპოლი | 2,3 | 2,5 | 3,4 |
| 18.00 | 100 | ტერნანა-რავენა | 1,4 | 3,3 | 8,0 |
| 18.00 | 101 | ტრევიზო-ჩიტადელა | 1,95 | 2,6 | 4,4 |

**იტალია. სერია C1/a. 30-ე ტური**

14 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 102 | არეცო-ალძანო | 1,55 | 3,1 | 7,0 |
| 19.00 | 103 | კარარეზე-სპეცია | 2,6 | 2,5 | 2,9 |
| 19.00 | 104 | ლეკო-ბრეშელო | 1,8 | 2,7 | 5,0 |
| 19.00 | 105 | ლუმეცანე-ჩეზენა | 2,2 | 2,5 | 3,6 |
| 19.00 | 106 | მოდენა-ალბინოლეფე | 1,4 | 3,3 | 8,0 |
| 19.00 | 107 | პიზა-ალესანდრია | 1,45 | 3,1 | 8,0 |
| 19.00 | 108 | რეჯანა-კომო | 2,8 | 2,7 | 2,5 |
| 19.00 | 109 | სპალ-ლივორნო | 2,5 | 2,5 | 3,0 |
| 19.00 | 110 | ვარეზე-ლუკეზე | 2,2 | 2,5 | 3,6 |

**იტალია. სერია C1/b. 30-ე ტური**

14 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 111 | ტორესი-ნოჩერინა | 1,5 | 3,1 | 8,0 |
| 18.30 | 112 | ატლეტიკო-ასკოლი | 3,1 | 2,8 | 2,3 |
| 18.30 | 113 | ჯულიანოვა-მესინა | 3,0 | 2,5 | 2,5 |
| 19.00 | 114 | აველინო-პეზარო | 1,55 | 3,0 | 7,5 |
| 19.00 | 115 | ბენევენტო-კატანია | 2,7 | 2,5 | 2,8 |
| 19.00 | 116 | დი სანგრო-სავოია | 2,3 | 2,6 | 3,3 |
| 19.00 | 117 | ფერმანა-პალერმო | 2,7 | 2,5 | 2,8 |
| 19.00 | 118 | აკილა-ვიტერბეზე | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| 19.00 | 119 | ლოდიჯანი-ფ.ანდრია | 1,6 | 2,9 | 7,0 |

**ესპანეთი. I დივიზიონი. 30-ე ტური**

14 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 120 | დეპორტივო-ოსასუნა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 121 | დეპორტივო-ოსასუნა 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 24.00 | 122 | ვალენსია-ალავესი | 1,45 | 3,4 | 6,5 |
| 24.00 | 123 | ბარსელონა-სარაგოსა | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 124 | ბარსელონა-სარაგოსა 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 |
| 00.15 | 125 | რეალი-ვილიარეალი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 126 | რეალი-ვილიარეალი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

15 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 127 | ვალიადოლიდი-ოვიედო | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 21.00 | 128 | მალაგა-რაიო ვალეკანო | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 21.00 | 129 | ბილბაო-ესპანიოლი | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 21.00 | 130 | რასინგი-სელტა | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 21.00 | 131 | ნუმანსია-სოსიედადი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 23.00 | 132 | მალიორკა-ლას პალმასი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 133 | მალიორკა-ლას პალმასი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

**ესპანეთი. II დივიზიონი. 33-ე ტური**

14 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 134 | კორდობა-ტენერიფე | 3,2 | 2,9 | 2,2 |
| 21.00 | 135 | კომპოსტელა-სევილია | 3,0 | 2,9 | 2,3 |

15 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 14.30 | 136 | ხეტაფე-სპორტინგი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 15.00 | 137 | ლევანტე-ალბასეტე | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 21.00 | 138 | ელჩე-უნივერსიდადი | 1,7 | 2,9 | 5,3 |
| 21.00 | 139 | ფეროლი-მურსია | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 21.00 | 140 | ხაენი-ლეიდა | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 21.00 | 141 | უელვა-ლეგანესი | 1,55 | 3,1 | 7,0 |
| 22.00 | 142 | ატლეტიკო-ესტრემადურა | 1,45 | 3,3 | 7,0 |
| 22.00 | 143 | ბადახოსი-ეიბარი | 2,0 | 2,7 | 4,0 |
| 22.00 | 144 | ბეტისი-სალამანკა | 1,65 | 3,1 | 5,3 |

**პორტუგალია. I ლიგა. 28-ე ტური**

14 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 146 | კამპომაიორენსე-ფერეირა | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 20.00 | 147 | მარიტიმუ-ბელენენსეში | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 20.00 | 148 | ალვერკა-ლეირია | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 20.00 | 149 | ჟილ ვისენტე-ბეირა მარი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 20.00 | 150 | ავეში-ბრაგა | 4,0 | 3,2 | 1,75 |
| 23.00 | 151 | სალგეირუში-პორტუ | 3,8 | 3,2 | 1,8 |
| 01.30 | 152 | სპორტინგი-ამადორა | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 153 | სპორტინგი-ამადორა 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |

16 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 00.30 | 154 | გიმარაეში-ბოავიშტა | 3,8 | 2,9 | 1,95 |

**პორტუგალია. II ლიგა. 28-ე ტური**

14 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 155 | ფელგეირაში-ნაციონალი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 20.00 | 156 | ოვარენსე-სანტ [illegible]ლარა | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 20.00 | 157 | ლეცა-რიუ ავე | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 20.00 | 158 | იმორტალი-შავეში | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 20.00 | 159 | ფრეამუნდე-ნავალი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 20.00 | 160 | აკადემიკა-ესპინიუ | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| 20.00 | 161 | ლამაში-პენაფიელი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 20.00 | 162 | მარკუ-სეტუბალი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 01.00 | 163 | ვარზიმი-მაია | 1,6 | 3,2 | 5,6 |

**ჰოლანდია. I დივიზიონი. 28-ე ტური**

14 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 165 | როზენდალი-სპარტა | 2,3 | 3,3 | 2,6 |
| 23.00 | 166 | ვალვაიკი-ჰერენვენი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 23.00 | 167 | ალკმაარი-გრონინგენი | 1,85 | 3,2 | 3,6 |

15 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 168 | ფეიენოორდი-გრააფსხაპი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 169 | ფეიენოორდი-გრააფსხაპი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 20.15 | 170 | ვიტესი-პსვ | 3,4 | 3,1 | 2,0 |

16 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 171 | ტილბურგი-ბრედა | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 17.30 | 172 | ტვენტე-უტრეხტი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 17.30 | 173 | როდა-აიაქსი | 2,4 | 3,2 | 2,5 |

**ჰოლანდია. II დივიზიონი. 28-ე ტური**

14 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 174 | ვეენდამი-ვენლო | 1,45 | 3,5 | 6,0 |
| 22.00 | 175 | ჰაარლემი-ვოლენდამი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 22.00 | 176 | დორდრეხტი-ექსელსიორი | 3,1 | 3,2 | 2,1 |
| 22.00 | 177 | ჰელმონდი-დენ ბოსხი | 2,6 | 3,3 | 2,3 |
| 22.00 | 178 | ჰერაკლესი-დენ ჰააგი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 22.00 | 179 | ეინდჰოვენი-მაასტრიხტი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 22.00 | 180 | ოსი-ემენი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 22.00 | 181 | ზვოლე-ტელსტარი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 22.00 | 182 | კამბური-იგლსი | 2,2 | 3,1 | 3,0 |

**ბელგია. I დივიზიონი. 29-ე ტური**

14 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 184 | ანტვერპენი-ლუვიე | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 23.00 | 185 | შარლერუა-ბეერსხოტი | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 23.00 | 186 | ვესტერლო-მეხელენი | 1,4 | 4,0 | 5,6 |
| 23.00 | 187 | ჰარელბეკე-გენტი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 23.00 | 188 | გენკი-მუსკრონი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 23.00 | 189 | ლიერსი-ლოკერენი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 23.00 | 190 | ბევერენი-ბრიუგე | 4,4 | 3,2 | 1,7 |
| 23.00 | 191 | სენტ ტრუიდენი-აალსტი | 2,0 | 3,2 | 3,3 |

**ბელგია. II დივიზიონი. 31-ე ტური**

**14 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 192 | მონსი-მოლენბეკი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 22.30 | 193 | გეელი-დენდერლეუ | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 23.00 | 194 | სერკლი-დესელი | 1,45 | 3,5 | 6,0 |
| 23.00 | 195 | ინგელმუნსტერი-ჰეკელგემი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 23.00 | 196 | ლიეჟი-მაასლანდი | 2,1 | 3,2 | 3,1 |
| 23.00 | 197 | ლომელი-დაინცე | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 23.00 | 198 | ჰეუსდენი-ოსტენდე | 1,75 | 3,2 | 4,0 |

**15 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 199 | სტრომბეკი-ტინენი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 23.00 | 200 | რუზელარე-ტურნჰაუტი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

**ჩეხეთი. 24-ე ტური**

**15 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 202 | ბლშანი-ლიბერეცი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 19.30 | 203 | ბოჰემიანსი-ბანიკი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 19.30 | 204 | სინოტი-ტეპლიცე | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 19.30 | 205 | დრნოვიცე-სიგმა | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 19.30 | 206 | ბუდეიოვიცე-ბრნო | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 19.30 | 207 | იაბლონეცი-ჟიჟკოვი | 2,2 | 3,0 | 3,1 |

**16 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 208 | პლზენი-სპარტა | 6,0 | 3,5 | 1,45 |

**პოლონეთი. მე-20 ტური**

**14 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 209 | პოლონია-რუხი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 18.00 | 210 | კატოვიცე-ამიცა | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 19.00 | 211 | სტომილი-შლიონსკი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 19.00 | 212 | ოდრა-პლოცკი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 19.00 | 213 | ვიძევი-ზაგლებე | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 19.00 | 214 | გროცლინი-რაძიონკოვი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 20.00 | 215 | პოგონი-ვისლა | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 20.15 | 216 | გურნიკი-ლეგია | 2,9 | 3,0 | 2,3 |

**თურქეთი. 29-ე ტური**

**14 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 218 | ისთანბული-დენიზლი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 17.00 | 219 | სამსუნი-იეთფა | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 17.00 | 220 | ქოჯაელი-გენჩლერბირლიგი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 21.00 | 221 | გალათასარაი-ანთალია | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 222 | გალათასარაი-ანთალია 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

**15 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 223 | გაზიანთეფი-ადანა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 224 | გაზიანთეფი-ადანა 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 17.00 | 225 | ტრაბზონი-რიზე | 1,45 | 3,5 | 6,0 |
| 17.00 | 226 | ერზურუმი-იოზგათი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 21.00 | 227 | ანკარა-ფენერბაჩე | 3,5 | 3,1 | 1,95 |

**ავსტრია. 29-ე ტური**

**14 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 229 | რაპიდი-გრაცერი | 1,45 | 3,5 | 6,0 |
| 18.30 | 230 | რიდი-ბრეგენცი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 18.30 | 231 | ზალცბურგი-ლინცერი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 19.30 | 232 | შტურმი-აუსტრია | 1,8 | 3,1 | 4,0 |

**შვეიცარია. A ჯგუფი. მე-7 ტური**

**14 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 233 | ბაზელი-სენტ გალენი | 2,1 | 3,1 | 3,2 |

**16 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 234 | ლოზანა-ლუგანო | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 20.30 | 235 | სერვეტი-გრასჰოპერი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 20.30 | 236 | ციურიხი-სიონი | 1,85 | 3,2 | 3,6 |

**შვეიცარია. A/B ჯგუფი. მე-7 ტური**

**14 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 237 | ვილი-ვინტერთური | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 22.30 | 238 | ქსამაქსი-არაუ | 1,75 | 3,2 | 4,0 |

**16 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 239 | ლუცერნი-იანგ ბოისი | 1,8 | 3,1 | 4,0 |

**შვეიცარია. B ჯგუფი. მე-7 ტური**

**14 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 240 | ბადენი-კარუჟი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 20.30 | 241 | ვანგენი-სოლოთურნი | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 22.30 | 242 | დელემონი-კრინსი | 1,6 | 3,4 | 5,0 |

**16 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.15 | 243 | თუნი-ლოკარნო | 1,9 | 3,1 | 3,6 |

**დანია. 24-ე ტური**

**16 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 244 | ოლბორგი-ოდენსე | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 18.00 | 245 | ბრიონდბიუ-ჰერფიოლგე | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 18.00 | 246 | აკადემისკი-ლიუნგბიუ | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 18.00 | 247 | ჰალერსლევი-კოპენჰაგენი | 5,6 | 3,6 | 1,45 |
| 18.00 | 248 | სილკებორგი-ორჰუსი | 1,45 | 3,6 | 5,6 |
| 20.05 | 249 | ვიბორგი-მიდტიულანდი | 2,1 | 3,2 | 3,1 |

**რუსეთი. მე-5 ტური**

**14 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 251 | როტორი-ცსკა | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 16.00 | 252 | როსტსელმაში-სპარტაკი | 4,7 | 3,1 | 1,7 |
| 16.00 | 253 | სატურნი-სოკოლი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 16.00 | 254 | ფაკელი-ზენიტი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 16.00 | 255 | დინამო-ლოკომოტივი | 2,8 | 2,9 | 2,4 |
| 16.00 | 256 | კრილია-ანჟი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 16.00 | 257 | ტორპედო-ალანია | 1,45 | 3,3 | 7,0 |

**შვედეთი. მე-2 ტური**

**16 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 259 | აიკ-იორებრო | 1,55 | 3,5 | 5,3 |
| 18.00 | 260 | სუნდსვალი-ჰეკენი | 2,1 | 3,2 | 3,1 |
| 18.00 | 261 | ელფსბიორგი-მალმიო | 1,75 | 3,3 | 3,8 |

**ნორვეგია. 1-ლი ტური**

**16 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 262 | ბრანი-მოსი | 1,45 | 3,5 | 6,0 |
| 21.00 | 263 | ლილესტრიომი-ბრინი | 1,4 | 3,8 | 6,0 |
| 21.00 | 264 | ლინი-სტრიომგოდსეტი | 1,75 | 3,3 | 3,8 |
| 21.00 | 265 | მოლდე-ბოდიო გლიმტი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 21.00 | 266 | ოდ გრენლანდი-სიოგნდალი | 1,45 | 3,6 | 5,6 |
| 21.00 | 267 | სტაბეკი-ტრომსიო | 1,8 | 3,3 | 3,6 |
| 23.15 | 268 | ვიკინგი-რუსენბორგი | 2,8 | 3,3 | 2,2 |

**შოტლანდია. თასის 1/2 ფინალი (ნეიტრალურზე)**

**14 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 269 | ჰიბერნიანი-ლივინგსტონი | 1,45 | 3,5 | 6,0 |

**15 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 270 | სელტიკი-დანდი იუნაიტედი | 1,25 | 4,4 | 8,0 |

**ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. II მატჩები**

**17 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 501 | დეპორტივო-ლიდსი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 23.45 | 502 | ვალენსია-არსენალი | 1,8 | 3,1 | 4,0 |

**18 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 503 | ბაიერნი-მანჩესტერი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 23.45 | 504 | რეალი-გალათასარაი | 1,35 | 3,8 | 7,0 |

**I ტაიმი/ძირითადი დრო**

**გერმანია. ბუნდესლიგა**

**14 აპრილი**

| | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 601 | ვოლფსბურგი-მიუნხენი | 2,6 | 15,0 | 30,0 | 4,0 | 5,0 | 7,5 | 18,0 | 10,0 | 6,5 |
| 18.30 | 602 | კაიზერსლაუტ.-აინტრახტი | 2,2 | 15,0 | 30,0 | 3,8 | 5,3 | 9,0 | 18,0 | 12,0 | 6,5 |
| 18.30 | 603 | ბაიერნი-შალკე | 2,3 | 14,0 | 30,0 | 3,8 | 5,0 | 9,0 | 18,0 | 12,0 | 9,0 |
| 18:30 | 604 | ბოხუმი-ვერდერი | 3,8 | 12,0 | 20,0 | 5,0 | 5,3 | 5,0 | 20,0 | 12,0 | 3,8 |
| 18.30 | 605 | ლევერკუზენი-ფრაიბურგი | 1,9 | 18,0 | 35,0 | 3,8 | 5,6 | 11,0 | 18,0 | 12,0 | 10,0 |
| 23.15 | 606 | ჰერტა-დორტმუნდი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 5,0 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,0 |

**ინგლისი. პრემიერლიგა**

**14 აპრილი**

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 607 | მანჩესტერი-ქოვენთრი | 1,6 | 18,0 | 35,0 | 3,2 | 6,0 | 15,0 | 18,0 | 12,0 | 15,0 |
| 19.00 | 608 | არსენალი-მიდლსბრო | 2,0 | 15,0 | 30,0 | 3,5 | 6,0 | 12,0 | 18,0 | 10,0 | 12,0 |
| 19.00 | 609 | ასტონ ვილა-ევერტონი | 2,4 | 12,0 | 25,0 | 4,0 | 5,0 | 9,0 | 18,0 | 12,0 | 8,0 |
| 19.00 | 610 | ჩელსი-საუთჰემპტონი | 1,8 | 16,0 | 30,0 | 3,5 | 6,5 | 12,0 | 18,0 | 12,0 | 12,0 |
| 19.00 | 611 | იფსვიჩი-ნიუკასლი | 2,3 | 14,0 | 25,0 | 3,8 | 5,6 | 9,0 | 18,0 | 10,0 | 8,0 |
| 19.00 | 612 | ლესტერი-სიტი | 2,5 | 12,0 | 20,0 | 4,0 | 5,0 | 7,0 | 18,0 | 10,0 | 6,5 |
| 19.00 | 613 | სანდერლენდი-ტოტენჰემი | 2,6 | 12,0 | 25,0 | 4,0 | 4,7 | 8,0 | 18,0 | 10,0 | 7,0 |
| 19.00 | 614 | ვესტ ჰემი-დერბი | 2,6 | 12,0 | 25,0 | 4,0 | 4,4 | 7,5 | 18,0 | 10,0 | 7,0 |

**იტალია. სერია A**

**14 აპრილი**

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 615 | ატალანტა-პარმა | 4,0 | 10,0 | 18,0 | 5,0 | 4,4 | 5,3 | 18,0 | 10,0 | 4,2 |
| 18.00 | 616 | ბარი-ნაპოლი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,4 | 5,6 | 18,0 | 10,0 | 5,0 |
| 18.00 | 617 | ბრეშა-ვერონა | 2,8 | 12,0 | 25,0 | 3,8 | 4,4 | 7,5 | 18,0 | 10,0 | 7,0 |
| 18.00 | 618 | ფიორენტინა-ლეჩე | 2,2 | 13,0 | 30,0 | 3,4 | 5,3 | 11,0 | 15,0 | 10,0 | 10,0 |
| 18.00 | 619 | მილანი-უდინეზე | 2,0 | 15,0 | 35,0 | 3,2 | 5,3 | 12,0 | 15,0 | 10,0 | 10,0 |
| 18.00 | 620 | რეჯინა-ლაციო | 7,0 | 10,0 | 15,0 | 7,5 | 5,0 | 3,8 | 25,0 | 12,0 | 2,7 |
| 18.00 | 621 | რომა-პერუჯა | 1,5 | 20,0 | 50,0 | 3,5 | 6,5 | 15,0 | 18,0 | 12,0 | 15,0 |
| 18.00 | 622 | ვიჩენცა-ბოლონია | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,4 | 5,3 | 18,0 | 10,0 | 4,4 |
| 23.30 | 623 | იუვენტუსი-ინტერი | 2,6 | 12,0 | 25,0 | 3,8 | 4,7 | 7,5 | 18,0 | 10,0 | 7,0 |

**ესპანეთი. I დივიზიონი**

**14 აპრილი**

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 624 | დეპორტივო-ოსასუნა | 1,8 | 16,0 | 40,0 | 3,5 | 6,0 | 14,0 | 18,0 | 12,0 | 12,0 |
| 24.00 | 625 | ვალენსია-ალავესი | 2,0 | 15,0 | 30,0 | 3,5 | 5,3 | 10,0 | 18,0 | 10,0 | 10,0 |
| 24.00 | 626 | ბარსელონა-სარაგოსა | 1,6 | 16,0 | 35,0 | 3,4 | 6,0 | 15,0 | 18,0 | 12,0 | 15,0 |
| 00.15 | 627 | რეალი-ვილიარეალი | 1,9 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 5,3 | 12,0 | 18,0 | 10,0 | 12,0 |

**კალათბურთი**

**14 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.30 | 812 | ატლანტა-დეტროიტი | 1,55 | 12,0 | 1,9 |
| 05.30 | 813 | მილუოკი-ტორონტო | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 05.30 | 814 | სან ანტონიო-დენვერი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 07.00 | 815 | ვანკუვერი-ჰიუსტონი | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 07.30 | 816 | გოლდენ სტეიტი-კლიპერსი | 1,7 | 12,0 | 1,7 |

**15 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 817 | ბოსტონი-ნიუ ჯერსი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 21.30 | 818 | მაიამი-ორლანდო | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 22.00 | 819 | ვაშინგტონი-კლივლენდი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 24.00 | 820 | ჩიკაგო-ინდიანა | 2,8 | 12,0 | 1,3 |
| 24.00 | 821 | მინესოტა-იუტა | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 24.00 | 822 | ფინიქსი-საკრამენტო | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 02.30 | 823 | ლეიკერსი-პორტლენდი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 05.00 | 824 | დეტროიტი-შარლოტი | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 05.00 | 825 | ფილადელფია-ნიუ იორკი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 06.00 | 826 | სიეტლი-დალასი | 1,8 | 12,0 | 1,6 |

**16 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 827 | შარლოტი-ატლანტა | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 04.30 | 828 | კლივლენდი-ნიუ იორკი | 2,5 | 12,0 | 1,3 |
| 04.30 | 829 | ორლანდო-მილუოკი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 07.30 | 830 | გოლდენ სტეიტი-დალასი | 3,1 | 12,0 | 1,25 |
| 07.30 | 831 | კლიპერსი-ფინიქსი | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 07.30 | 832 | საკრამენტო-ვანკუვერი | 1,05 | 12,0 | 7,5 |

**ჰოკეი. 1/8 ფინალი**

**14 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 902 | ვაშინგტონი-პიტსბურგი | 1,9 | 4,0 | 2,3 |
| 22.00 | 903 | ფილადელფია-ბუფალო | 1,6 | 4,0 | 3,0 |
| 22.00 | 904 | დეტროიტი-ლოს ანჯელესი | 1,4 | 4,0 | 4,2 |
| 22.00 | 905 | სენტ ლუისი-სან ხოსე | 1,45 | 4,0 | 3,6 |
| 01.00 | 906 | დალასი-ედმონტონი | 1,45 | 4,0 | 3,6 |
| 04.00 | 907 | ოტავა-ტორონტო | 1,6 | 4,0 | 3,0 |
| 07.00 | 908 | კოლორადო-ვანკუვერი | 1,4 | 4,0 | 4,2 |

**15 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 909 | ნიუ ჯერსი-კაროლინა | 1,4 | 4,0 | 4,2 |
| 05.00 | 910 | ედმონტონი-დალასი | 2,0 | 4,0 | 2,2 |
| 08.30 | 911 | ლოს ანჯელესი-დეტროიტი | 2,1 | 4,0 | 2,1 |

**16 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 912 | ტორონტო-ოტავა | 1,9 | 4,0 | 2,3 |
| 04.00 | 913 | პიტსბურგი-ვაშინგტონი | 1,75 | 4,0 | 2,6 |
| 04.30 | 914 | ბუფალო-ფილადელფია | 1,85 | 4,0 | 2,4 |
| 07.30 | 915 | ვანკუვერი-კოლორადო | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 07.30 | 916 | სან ხოსე-სენტ ლუისი | 2,0 | 4,0 | 2,2 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## კვირას, 15 აპრილს, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე კროკო არ იმუშავებს
## მუშაობა სამშაბათიდან ჩვეული გრაფიკით განახლდება

### კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);
წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)
გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან")
წერეთლის გამზირი №11;
ჭავჭავაძის გამზირი №41

ქუთაისი — პუშკინის ქუჩა№16 (ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში)
ფალიაშვილის ქუჩა № 27

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა№30

თელავში — კოსტავას ქუჩა №23.

რუსთავში — შარტავას ქუჩა №7

ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;
ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61

მარნეულში — რუსთაველის ქუჩა №39

# ორი მარტინას ამბავი

**ამელია აილენდი (აშშ). BAUSCH & LOMB-ის პირველობა მწვანე თიხნარი. საპრიზო 565 ათასი $**

ლეგენდარულმა მარტინა ნავრატილოვამ 21-ე საუკუნეში ასპარეზობის დაწყება სწორედ ამელია აილენდში გადაწყვიტა. 44 წლის სუპერვარსკვლავმა წლეულს მასავით მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი არანჩა სანჩეს-ვიკარიო დაითანხმა მეწყვილეობაზე და მინიმუმ ათ ტურნირზე, მათ შორის სეზონში დარჩენილ სამივე „მეიჯორზე" გეგმავს თამაშს.

აშშ-ის მოქალაქეობამიღებულმა ჩეხმა საყოველთაო ყურადღება ამჯერად კორტზე გასვლამდევე მიიპყრო იმით, რომ უილიამსების კლანის მეთაური რიჩარდი გამოლანძღა: „ჩემი რჩევა იქნებოდა, მას ენაზე კბილის დაჭერა ესწავლა. რიჩარდი თითქოს განზრახ ცდილობს, უსიამოვნო სიტუაციებში გაეხვიოს, როდესაც სკანდალის რეალური საფუძველი არც არსებობს. მან კარგად იმუშავა, შესანიშნავი ქალიშვილები და სპორტსმენები გამოზარდა, რომლებიც დამსახურებული პოპულარობით სარგებლობენ, მაგრამ ახლა ყველას თვალში ეჩხირება".

ნავრატილოვა განსაკუთრებით თურმე იმან გააღიზიანა, რომ აშშ-ის ღია პირველობის ფინალში ლინდსი დევენპორტის დამარცხების შემდეგ რიჩარდი ვინუსის მისალოცად კორტზე გადაბობღდა და აცუნდრუკდა. „მის რომელიმე ქალიშვილთან რომ წამეგო და უფროსი უილიამსი კორტზე აცეკვებულიყო, ალბათ, ჩოგანს ვუთავაზებდი თავში — ღიმილით, მაგრამ ამავე დროს სრულიად სერიოზულად განაცხადა მარტინამ — ის, რაც მან ნიუ იორკში გააკეთა, მიულებელი და აღმაშფოთებელი იყო. სამწუხაროდ, გოგონებს ტრადიციულად უჭირთ მამების გაკონტროლება".

ნავრატილოვას ეჭვი ეპარება იმაში, რომ გავრცელებული ჭორების თანახმად, რიჩარდი მართლაც წინასწარ წყვეტს ვინუსისა და სერენას შეხვედრებში გამარჯვებულის ვინაობას: „უიმბლდონის ნახევარფინალში სწორედ მათ თამაშს ვუკეთებდი კომენტარს. სერენა საკუთარ თავს არ ჰგავდა, აშკარად რაღაცით განაწყენებული თუ აღელვებული ჩანდა, მაგრამ ეს არაფერს ამტკიცებს. სამწუხაროა, რომ მატჩების „ჩაწყობის" აზრიც კი ვინმეს მოუვიდა თავში. მეორე მხრივ, ნამდვილად არ ვეთანხმები რიჩარდს იმაში, რომ ჩოგბურთში რასიზმი არსებობს. მის ოჯახს ამდენს სწორედ იმიტომ უთმენენ, რომ შავკანიანები არიან, თორემ თეთრებს აქამდე ასწავლიდნენ ჭკუას".

პრესკონფერენციის დარბაზიდან კორტზე ნავრატილოვას ოთხშაბათს უნდა გადაენაცვლა მარი პირსის და კორინა მორარიუს წყვილთან შესახვედრად, მაგრამ ჯანიან ფრანგთან გაჯიბრება



AP ამელია აილენდიდან

მარტინა ნავრატილოვა (მარჯვნივ) ისევ იგებს, ამჯერად არანჩა სანჩეს-ვიკარიოსთან ერთად

მას არ დასცალდა. პირსმა, რომელმაც აქამდე ხუთი კვირა კოჭების მყესების ანთების გამო გამოტოვა, მატჩამდე რამდენიმე საათით ადრე ვარჯიშის დროს ზურგი დაიზიანა და ახლა კიდევ ორი კვირა მოუხდება დასვენება.

ნავრატილოვასა და სანჩეს-ვიკარიოს პირველი წრის შეხვედრის გამართვა მხოლოდ ხუთშაბათს ელირსათ სათადარიგო წყვილის კრისტინა ბრანდისა და ჯილ კრეიბასის წინააღმდეგ. ვეტერანებმა ახალი თაობის წარმომადგენლებს შესანიშნავი გაკვეთილი ჩაუტარეს და საათზე ნაკლებში 6:1, 6:2 იმარჯვეს, ბადესთან საკუთარი ოსტატური თამაშით კი ყოველთვის თვითკრიტიკული ნავრატილოვაც კმაყოფილი დარჩა.

ფლორიდულ ტურნირზე ასპარეზობს ნავრატილოვას პატივსაცემად სახელშერქმეული მარტინა ჰინგისიც. პირველად ბოლო ორი წლის მანძილზე, მსოფლიოს პირველი ჩოგნის მატჩს ტრიბუნებიდან დედა და მწვრთნელი, ნავრატილოვას ძველი ქომაგი მელანი მოლიტორი არ ადევნებს თვალს.

აქამდე მოლიტორის გარეშე თამაში მარტინამ მხოლოდ 1999 წლის უიმბლდონზე სცადა. მაშინ შვეიცარიელი მშობელს წაეკამათა და პირველივე წრეში ელენა დოკიჩთან წააგო, თუმც გონს დროზე მოეგო და დედას სწრაფადვე შეურიგდა. თუ ჰინგისს ვენდობით, ამჯერად ოჯახური უთანხმოება არაფერ შუაშია, უბრალოდ, მელანი გადაუდებელი საქმეების გამო რამდენიმე დღის წინ ევროპაში გაემგზავრა.

„თავიდან ცოტათი ვღელავდი. თავადაც მოგეხსენებათ, წინა ასეთი ექსპერიმენტი კატასტროფულად დასრულდა, მაგრამ ამ ორი წლის მანძილზე ბევრი რამ ვისწავლე ჩოგბურთისა და საერთოდ, ცხოვრების შესახებ. რა თქმა უნდა, სიტუაცია განსხვავებული იქნება, თუმცა შევეცდები, გავიხსენო, რასაც ის ყოველთვის მირჩევდა და მასწავლიდა" — აღნიშნა მარტინამ.

ჯერჯერობით ჰინგისი ბედს არ ემდურის. პირველ მატჩში მან სულ იოლად დაამარცხა ესპანელი ვირხინია რუანო პასკუალი, მერვედფინალში კი სლოვაკ ჰენრიეტა ნაგიოვას 6:1, 6:3 აჯობა. ნაგიოვასთან მატჩში შვეიცარიელს გაცილებით მეტად გაუჭირდა, ვიდრე ამაზე ანგარიში მეტყველებს, ხშირი იყო ხანგრძლივი გამასავათებელი გათამაშებები უკანა ხაზიდან, თუმცა მნიშვნელოვან ქულებს თითქმის ყოველთვის მარტინა ითვლიდა.

მოგვიანებით ჰინგისმა იმის შესახებაც ისაუბრა, გასულ კვირაში მისი შერეკილი ფანატის, ხორვატი დუბრავკო რაიჩევიჩის პროცესზე ჩვენება როგორ მისცა: „ვფიქრობ, ურიგოდ არ გამოვსულვარ, მანამდე მე და ჩემმა ადვოკატმა რამდენჯერმე გავიარეთ რეპეტიცია და ბევრი შესაძლო ვარიანტიც გავითვალისწინეთ. რაიჩევიჩის ადვოკატი ცდილობდა, მახეში გავები, თუმცა ყველაფერი კარგად დასრულდა. პროცესის შედეგით კმაყოფილი დავრჩი (ხორვატი მარტინას დევნაში დამნაშავედ ცნეს), რა თქმა უნდა, ციხეში ყოფნას არავის ვუსურვებ, მაგრამ შენი საქციელისთვის პასუხიც უნდა აგო".

მეოთხედფინალში გააღწია ჰინგისის ალბათ, ყველაზე სერიოზულმა მეტოქემ ელენე დემენტიევამაც, თუმცა მოახერხებს თუ არა რუსი ასპარეზობის გაგრძელებას, ჯერ კიდევ საკითხავია. ელენა ლიხოვცევასთან შეხვედრის პირველი სეტის უკანასკნელ გათამაშებაში დემენტიევამ შესანიშნავი სპურტით შემოკლებულს მიუსწრო და ქულა მოიგო, მაგრამ თან ქუსლის მყესიც დაიზიანა.

„შევეცადე, ამაზე საერთოდ არ მეფიქრა და თამაშზე გამემახვილებინა ყურადღება, ტკივილიც თავიდან უსაშველოდ არ მაწუხებდა" — აღნიშნა მოგვიანებით 19 წლის რუსმა, რომ[illegible] ლიხოვცევას გასაოცრად, დემენტიევამ მატჩის დასრულება კი არა, 6:4, 6:3 გამარჯვებაც მოახერხა, თუმცა კორტიდან ყავარჯნების დახმარებითღა გავიდა და სასწრაფოდ საავადმყოფოში გააქანეს.

**მერვედფინალი: ამანდა კუტცერი (4, სამხრეთ აფრიკა) — ელენა დოკიჩი (13, ავსტრალია) 6:4, 2:6, 6:3; ამელი მორესმო (6, საფრანგეთი) — ლაიზა რეიმონდი (12, აშშ) 7:6 (7:3), 4:6, 6:3; არანჩა სანჩეს-ვიკარიო (7, ესპანეთი) — პაოლა სუარესი (9, არგენტინა) 6:2, 6:4; მეგან შონესი (10, აშშ) — მეილენ ტუ (აშშ) 4:6, 7:5, 6:0; ნადია პეტროვა (რუსეთი) — ჟილ კრეიბასი (აშშ) 6:1, 7:6 (8:6); სილვია ფარინა (იტალია) — მარია ემილია სალერნი (არგენტინა) 6:4, 6:2**

**ეშტორილის (პორტუგალია) ღია პირველობა. თიხნარი საპრიზო 800 ათასი $**

**ვაჟები**

ესპანელ ჩოგბურთელებს, როგორც წესი, ძალიან სწყინთ, როდესაც მოთიხნარეებს უწოდებენ, თუმცა ფაქტს ვერსად გაექცევი — მათთვის მშობლიურად ისევ ეს საფარი რჩება, ეშტორილშიც მეოთხედფინალისტების ნახევარს სწორედ ამ ქვეყნის წარმომადგენლები შეადგენენ.

ტურნირზე პირველად განთესილმა ხუან კარლოს ფერერომ მეორე წრის შეხვედრაში ჩეხი სლავა დოსედელის წინააღმდეგ თავისი მკვლელი ფორჰენდი თავიდანვე ეფექტურად აამუშავა და მეტოქისგან ქვა ქვაზე არ დატოვა — 6:3, 6:0. „სამი თვის განმავლობაში სწრაფ საფარზე თამაშის შემდეგ ძალიან მიხარია, რომ ისევ თიხნარის სეზონის დრო დადგა. ახლა თავს გაცილებით უკეთ ვგრძნობ" — განაცხადა 21 წლის ესპანელმა, რომელმაც თებერვალში დუბაიში ჰარდის საფარიან მილიონიან ტურნირზეც იმარჯვა და საწუწუნო, წესით, არ უნდა ჰქონოდა.

**მერვედფინალი: ფელიქს მანტია (ესპანეთი) — ტიმ ჰენმანი (2, ინგლისი) 7:5, 6:1; დომინიკ ჰრბატი (3, სლოვაკეთი) — იან სიმერინკი (ჰოლანდია) 6:1, 6:3; ფრანკო სკილარი (4, არგენტინა) — ალბერტო მარტინი (ესპანეთი) 6:3, 2:6, 6:3; ანდრეი პაველი (5, რუმინეთი) — დევიდ სანჩესი (ესპანეთი) 6:4, 6:1; ალბერტ მონტანესი (ესპანეთი) — კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) 6:3, 6:3**

**ქალები**

**იანა კანდარი (გერმანია) — მაგდალენა მალეევა (2, ბულგარეთი) 6:3, 7:5; ჟიუსტინ ენენი (3, ბელგია) — მარტა მარერო (ესპანეთი) 6:4, 6:3; ტინა პისნიკი (სლოვენია) — ბარბარა შეტი (4, ავსტრია) 7:6 (7:5), 6:1; ელენა ბოვინა (რუსეთი) — მაგი სერნა (5, ესპანეთი) 6:3, 2:6, 6:1; ანხელეს მონტოლიო (ესპანეთი) — ენ კრემერი (ლუქსემბურგი) 6:2, 6:2**

**ავთანდილ სვანიძე**



**NHL. სტენლის თასი. პირველი წრე (ოთხ მოგებამდე)**

# გუნდური შათაუტი

12 აპრილი

| აღმოსავლეთი | |
|---|---|
| ვაშინგტონი | 1 |
| პიტსბურგი | 0 |

**ვაშინგტონი 1:0 პიტსბურგი (0:0 1:0 0:0)**
**1:0 ბონდრა 21 (1)**

აი, პირველი სენსაციაც! არა, ისე არ გაგვიგოთ, თითქოს ვაშინგტონის მოგება გაგვიკვირდა. საქმე ისაა, რომ პიტსბურგის სამართლიანად ქებულმა შეტევამ მეტოქის დაცვას ვერაფერი მოუხერხა. სულ 16-ჯერ დასჭირდა ოლაფ კოლციგს შაიბის მოგერიება, ხოლო ნამდვილად სახიფათო მათგან 3-4 თუ იქნებოდა. ისიც გასაკვირია, რომ ამ 16 დარტყმიდან მარიო ლემიესა და იარომირ იაგრის ანგარიშზე მხოლოდ ორია. ორივე ჩეხმა განახორციელა და მესამე პერიოდის ბოლო 5 წუთში. მანამდე კი სუპერდუეტი სულ არ ჩანდა. მასპინძლებმა ჩინებულადააწყვეს დაცვის თამაში და მეტოქეს მთავარი იარაღის — რიცხვმრავლობის გამოყენების შანსი არ მისცეს, ვინაიდან მხოლოდ ერთხელ, პირველი პერიოდის მიწურულს დაარღვიეს წესები. საუკეთესო მომენტი სტუმრებმა მე-10 წუთზე შექმნეს, როცა იან ჰრდინას დარტყმის შემდეგ მცველმა კალე იუჰანსონმა შაიბა კარის ხაზზე გააჩერა.

არც მასპინძლებს ჰქონდათ მაინცდამაინც ბევრი საგოლე მომენტი. მათ 27-ჯერ დაარტყეს, მაგრამ პიტსბურგის ახალბედა მეკარე იოჰან ჰედბერგი მოწოდების სიმაღლეზე იყო. ერთი გოლი „კეპიტალზმა" მაინც გაიტანა. მეორე პერიოდის დასაწყისში მასპინძლებმა იანე ლაუკანენის გაძევება 7 წამში გამოიყენეს. ჩაგდების შემდეგ შაიბა პეტერ ბონდრას მის საყვარელ პოზიციაზე მიაწოდეს. სლოვაკმაც გემრიელად გაისროლა და მცირე რეკოშეტიც რომ არ ყოფილიყო, გოლი მაინც გავიდოდა. „ეს ნამდვილი გუნდური შათაუტი იყო. მათ ჩინებული გეგმა შეიმუშავეს და ბოლომდე შეასრულეს" — ლემიემ მხოლოდ მხრები აიჩეჩა მატჩის შემდეგ. პიტსბურგს 28 ოქტომბრის შემდეგ უგოლოდ თამაში არ დაესრულებინა.

| | |
|---|---|
| ნიუ ჯერსი | 1 |
| კაროლინა | 0 |

**ნიუ ჯერსი 5:1 კაროლინა (1:0 2:0 2:1)**
**1:0 ბრილინი 19 (1), 2:0 ჰოლიკი 36 (1), 3:0 ჰოლიკი 36 (2), 4:0 სიკორა 46 (1), 5:0 ელიაში 48 (1), 5:1 ვასიჩეკი 52 (1)**

პირველობის ერთობ მძიმე ფინიში ეტყობა, ძვირად დაუჯდათ „ქარიშხლებს". ყოველ შემთხვევაში, „ეშმაკებთან პირველ მატჩში მათ მონდომება სულაც არ ემჩნეოდათ და ვერც ფიზიკური ფორმით დაიკვეხნიდნენ. მეკარე არტურს ირბეც, რომელმაც ჩემპიონატის ბოლო 26 მატჩი უკლებლივ ჩაატარა, ჩვეულად საიმედოდ ვერ გამოიყურებოდა.

პირველ პერიოდში იყო რაღაც ბრძოლის მსგავსი, მაგრამ მე-19 წუთზე მცველმა მარეკ მალიკმა შაიბა პირდაპირ სერგეი ბრილინს მიართვა და მანაც შეიფერა. როგორც კი მეორე მესამედი დაიწყო, ბობი ჰოლიკის მოულოდნელმა დარტყმამ ირბე გააოგნა და ამით ფაქტობრივად ყველაფერი დასრულდა.

| დასავლეთი | |
|---|---|
| სენტ ლუისი | 1 |
| სან ხოსე | 0 |

**სენტ ლუისი 3:1 სან ხოსე (0:0 1:0 2:1)**
**1:0 ტარჯონი 38 (1), 2:0 იანგი 41 (1), 3:0 მაკინისი 47 (1), 3:1 მარლო 52 (1)**

შაიბა მეტწილად მოედნის შუაგულში ტრიალებდა, სადაც მეტად მჭიდრო ბრძოლა მიმდინარეობდა. ასე იყო თუ ისე, მეკარეებს 38-ე წუთამდე საქმე პრაქტიკულად არ ჰქონიათ და აშკარა გახდა, რომ პირველი გოლი ალოგიკური ან შემთხვევითი იქნებოდა.

ასეც მოხდა, თუმცა უნდა ითქვას, რომ მასპინძლები მაინც უფრო მიზანსწრაფულნი იყვნენ და ეს მარტო იღბლის წყალობა არ ყოფილა. ერთ-ერთი შეტევისას სკოტ იანგს დარტყმა არ გამოუვიდა და შაიბა ნელა კარისკენ გასრიალდა, სადაც ერთობ მოულოდნელად პიერ ტარჯონი გაჩნდა. მან შაიბა მოუხერხებლად კი დაამუშავა, მაგრამ საბოლოოდ მაინც დაიმორჩილა და კარში გაგზავნა. ბოლო მესამედის დაწყებისთანავე ყველა სანხოსელთა გააქტიურებას ელოდა, მაგრამ საპირისპირო რამ მოხდა. მეკარე ევგენი ნაბოკოვმა, რომელმაც მთლიანობაში დამაჯერებლად ითამაშა, კარსუკან შაიბა დაკარგა. მას მცველებიც ვერ მიეშველნენ და სკოტ იანგს დაცარიელებულ კარში გატანა არ გასჭირვებია. სტუმრებმა ემოციები ვერ დაიოკეს [illegible] შეხლა-შემოხლა მოაწყვეს. ბილ ლინდსეიმ [illegible] მაკინისის აყოლიებაც სცადა, მაგრამ სენტლუისელთა ვეტერანმა თავი შეიკავა და მეტოქეს პასუხი სხვანაირად გასცა. ამ აყალმაყალის შემდეგ სან ხოსე უმცირესობაში დარჩა და მასპინძლებმაც ჩინებულად გამოიყენეს ეს შანსი. მაკინისს ექვსჯერ მიეცა დარტყმის შესაძლებლობა და ბოლოს ისე უძლიერესად გაისროლა, რომ ნაბოკოვი უძლური აღმოჩნდა. დარჩენილ დროში სან ხოსემ მხოლოდ ერთი შაიბის გაქვითვა შეძლო.

| | |
|---|---|
| კოლორადო | 1 |
| ვანკუვერი | 0 |

**კოლორადო 5:4 ვანკუვერი (2:1 2:2 1:1)**
**0:1 ოლუნდი 9 (1), 1:1 საკიკი 16 (1), 2:1 ბლეიკი 17 (1), 2:2 კლეტი 21 (1), 3:2 დრური 26 (1), 3:3 ბერტუცი 37 (1), 4:3 საკიკი 39 (2), 4:4 ჟოვანოვსკი 51 (1), 5:4 დრური 59 (2)**

რომ არა ხშირი გაძევებები და კოლორადოს რიცხვმრავლობის ბრიგადის ეფექტური თამაში, შედეგი სულ სხვაგვარი იქნებოდა. მასპინძლებმა სამჯერ, ჯო საკიკისა და რობ ბლეიკის ძალისხმევით, რიცხობრივი უპირატესობა გამოიყენეს და დაწინაურდნენ, მაგრამ ახალგაზრდა ვანკუვერელებმა სამჯერვე შეძლეს ანგარიშის გათანაბრება. და მაინც, კოლორადოს ოსტატობამ თავისი გაიტანა. კრის დრური გუნდს ამჯერადაც მხსნელად მოევლინა: ბოლოსწინა წუთზე მეკარე დან კლუტიეს პირისპირ გავიდა და ზუსტი დარტყმით საქმე ოვერტაიმამდე არ მიიყვანა.

**სამველ ღარიბიანი**



REUTERS ვაშინგტონიდან

ვაშინგტონი — პიტსბურგი. ოლაფ კოლციგს ვერც იაირომირ იაგრმა გაუტანა და ვერც დანარჩენმა პიტსბურგელებმა

# გაზაფხულის მოყვარულები



ლელა ნაცვლიშვილის ფოტო

ირაკლი ჯაჯანაშვილისა და ვიქტორ ბაგრამოვის სტარტი

**საქართველოს** საავტომობილო ფედერაცია — საერთაშორისო ფედერაციის (FIA) წევრი, ყოველწლიურად ატარებს ეროვნულ ჩემპიონატებს ავტოსპორტის სხვადასხვა დისციპლინაში (წრიული რბოლა, რალი, რალი-სპრინტი, სამთო რბოლა, კარტინგი), აგრეთვე ტურნირებს ჩქაროსნულ სლალომსა და მოყვარულთა რალიში.

წლევანდელი სეზონიც ტრადიციულად მოყვარულებმა გახსნეს — თბილისში, რიყის ტერიტორიაზე. ისინი ორჯერ გაეჯიბრნენ ერთმანეთს ჩქაროსნულ სლალომში. ასპარეზობაში რამდენიმე პროფესიონალი მრბოლიც ჩაება. სამი სავალდებულო ფიგურა ყველაზე სწრაფად და უშეცდომოდ ვეტერანმა მრბოლმა ჯემალ გულარაშვილმა გაიარა და ორივე შეჯიბრება საგრძნობი უპირატესობით მოიგო. აღსანიშნავია 19 წლის გიორგი არჯევანიძის გამოსვლაც, მან ორივეჯერ საპრიზო ადგილი დაიკავა.

შემდეგ იყო რალი „გაზაფხული 2001“, რომელსაც სტარტი ასევე რიყეზე მიეცა, ფინიში კი ხუთიოდე საათის შემდეგ საბურთალოზე, ფედერაციის შენობის წინ შედგა. რბოლის მონაწილეოც ეკიპაჟს 152 კმ უნდა დაეძლია მარნეულისა და თეთრი წყაროს მიდამოებში. ისედაც საკმაოდ რთული საგზაო პირობები კიდევ უფრო დაამძიმა წინა დღეების გადაუღებელმა წვიმამ.

ორ მანქანაში შტურმანის მოვალეობას ქალიშვილები ასრულებდნენ — მაგდა ცოცხალაშვილი და ეკა ბახტაძე. ზურაბ ბაბუციძემ და ბახტაძემ ასპარეზობა ვერ დაასრულეს, რადგან მათ „ვაზ 2108“-ს ამძრავი ღვედი გაუწყდა, ხოლო ტარიელ გამყრელიძისა და ცოცხალაშვილის „ტოიოტა“ ფინიშზე მეოთხე იყო.

ფავორიტებად ჯემალ გულარაშვილის და ნუგზარ ბაინდურაშვილის, ირაკლი ჯაჯანაშვილის და ვიქტორ ბაგრამოვის, აგრეთვე ლევან ლომაძისა და მერაბ შენგელიას ეკიპაჟები ითვლებოდა. თავიდანვეც, ჩქაროსნული მანევრირებისა და საგზაო რბოლის შემდეგ, სწორედ ისინი დაწინაურდნენ, მაგრამ დროის საკონტროლო პუნქტებზე დაგვიანებამ გულარაშვილი და ლომაძე საპრიზო სამეულის მიღმა დატოვა. პირველობა 336,5 საჯარიმო ქულით ჯაჯანაშვილმა და ბაგრამოვმა (ვაზ 2108) კი მოიპოვეს, მაგრამ მათ მწვავე კონკურენციის დაძლევა მოუხდათ „ნივით“ მოასპარეზე ბესო ფარქოსაძისა და ოლეგ ნაცვლიშვილის მხრიდან. პირველი ადგილის ბედი ჩქაროსნულ სლალომსა და საგზაო რბოლაში უკეთესმა შედეგმა გადაწყვიტა, რადგან 152-კილომეტრიან დისტანციაზე ორივე ეკიპაჟს საჯარიმო ქულების ერთნაირი რაოდენობა (180) დაუგროვდა. ფარქოსაძე და ნაცვლიშვილი გამარჯვებულებს საბოლოოდ 36 ქულით ჩამორჩნენ. მესამე ადგილზე გასულ გიორგი არჯევანიძისა და ლევან იაშვილის („ისუზუ“) ეკიპაჟი 588 ქულით დაჯარიმდა.

27-28 აპრილს მორიგი შეჯიბრება — სამთო რბოლა გაიმართება.

**ალეკო ნაცვალაძე**

ჭიდაობა

# ბორჯომში გახურებულები ბუდაპეშტში მიდიან

**ქართველი** თავისუფალი სტილით მოჭიდავეები, მას შემდეგ, რაც ერთ-ორ ტურნირში „გახურება“ მოასწრეს, კონტინენტის ჩემპიონობისთვის წასავარჯიშებლად შეკრებას ბორჯომში გადიან.

ევროპის ჩემპიონატისთვის, რომელსაც 19-22 აპრილს ბუდაპეშტი უმასპინძლებს საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ზაზა თურმანიძემ შემდეგი ფალავნები შეარჩია: გოჩა კირკიტაძე (54კგ), ზვიად გვილავა (58), ოთარ თუშიშვილი (63), დავით ლეჟავა (69), რევაზ მინდორაშვილი (76), გოჩა ჩიხრაძე (85), ელდარ კურტანიძე (97), ალექსანდრე მოდებაძე (მძიმე წონა).

როგორც საქართველოს ჭიდაობის ფედერაციაში შევიტყვეთ, ნაკრების წევრები ჯანზე არიან. ერთადერთი, ვისაც უნგრეთის დედაქალაქში ტრავმის გამო ვერ იახლებენ, შარშანდელი ევროპის ჩემპიონი ემზარ ბედინეიშვილია (69). იგი დავით ლეჟავამ შეცვალა. ზაზა თურმანიძეს ბუდაპეშტში დახმარებას გაუწევენ მწვრთნელები — ვანო ნიკოლაძე და კობა ლოჩოშვილი. გარდა ამისა, იქვე იქნებიან საქართველოს ნაკრების ექიმი ზურაბ კახაბრიშვილი და მსაჯი ელიშერ მაჩაიძე. დელეგაციას, რომელიც 16 აპრილს მიემგზავრება ბუდაპეშტში, გია გალდავა უხელმძღვანელებს.

**გიგა ბურასაშვილი**

მძლეოსნობა

# პრინციპული საკითხი:
## დავეწიოთ და გავუსწროთ კენიას!

**ორშაბათს** ბოსტონში დასავლეთაფრიკული საქმის გარჩევა იქნება, ურთიერთობებს კენიელები და ეთიოპიელები გაარკვევენ. ნათქვამს სითამამის ელფერი დაჰკრავს, რადგან ყველაზე პოპულარული მარათონის 15600 მონაწილეში სხვა ერის შვილებიც ბლომად იქნებიან, მაგრამ მაინც უნდა ითქვას: თუ ორშაბათის გარბენი სხვამ მოიგო, ეს ბოლო ათწლეულში გაუგონარი სენსაცია იქნება.

1990 წელს იტალიელი ჯელინდო ბორდინი იყო ბოლო თეთრი, ვინც ბოსტონში გაიმარჯვა, მერე კი გაიბა კენიური ჯაჭვი და დღემდე ქალთა გარბენების უმრავლესობას ისინი იგებენ, ვაჟებზე კი ლაპარაკი ზედმეტია — აქ კენიელებს აბსოლუტური შედეგი აქვთ. ამას გარდა, ორშაბათს სტარტზე შედგებიან ჯოზეფ ჩებეტი, მოზეს ტანუი და ელია ლაგატი — ბოლო სამი რბოლის გამარჯვებულები. მივათვალოთ ამათ ცოტა ხანში შესული კენიელი იბრაჰიმ ჰუსეინი, რომელსაც უფრო ადრინდელ მარათონებზე ბოსტონში სამჯერ უმარჯვია და მისი ძმა მბარეკი, ხამი წლის წინ ჰონოლულუს მარათონი რომ დაინარჩუნა. ერთი შეხედვით ამ კომპანიას პირველ ადგილს სხვა ვერ უნდა შეეცილოს, მაგრამ არც მთლად ასე საქმე: ბოსტონში გეზაგნე აბერა ირბენს, სიდნეის ოლიმპიადის ეთიოპი ჩემპიონი.

აბერა შარშანდელი ბოსტონიდან ნაწყენი წავიდა, ვერა და ვერ იგუა მეორე ადგილი, რომელზეც, მისი თქმით, ძალით გადააგდეს. აბერას პროტესტის თანახმად, მოწინავე სამეულის კენიელი წევრები — მოზეს ტანუი და ელია ლაგატი მთელი გზა და უფრო ბოლოსკენ შეუმჩნევლად წიხლებს ურტყამდნენ, რამაც ლაგატის პირველობა განაპირობა. კენიელებს უარსაყოფად თავი არ გამოუდვიათ, ოღონდ დააზუსტეს, აქეთაც გვირტყამდაო. მოკლედ, ორშაბათს აბერა პრინციპული რევანშის აღებას ეცდება, ხოლო მსხვილმა საპრიზო ფონდმა სპორტსმენთა ფეხებს მეტი სიმკვირცხლე უნდა შესძინოს. 525 ათას ამერიკულ დოლარზეა საუბარი, რაც „ოქროს ლიგის“ საპრიზო ფონდზეც მეტია. ბოსტონის მარათონი უპირველესად, ალბათ, ამ მაჩვენებლით გახდა პოპულარული.

თუმცა, არამარტო ამით. ტრადიციას თავისი ადგილი უჭირავს: წლევანდელი მარათონი 105-ეა. ცალკე ითქმის ტრასის კოლორიტზეც. თუ ბერლინში, როტერდამში, ჩიკაგოსა და ფუკუოკაში სტაიერები ლარივით სწორ გზებზე დარბიან და მსოფლიოს რეკორდებს ეპოტინებიან, ბოსტონში ბლომად გორაკების არბენა-ჩამორბენა უწევთ. საერთო აზრით, ამას განსაკუთრებული მუღამი აქვს და მერე როგორი — ნახევარი მილიონი კაცი მაინც მიდის რბოლის საყურებლად. მათი მეტი წილი თავს ფინიშის სიახლოვეს, „ჰართბრეიკ ჰილზთან“ გროვდება, რომელიც სამგორაკიან სისტემას წარმოადგენს და მარათონის გადამწყვეტ უბნად ითვლება. მაყურებლებში, ბოლო წლებია, ეთიოპიელები გამოირჩევიან, რომლებიც დაიჭერენ დროშებს და მათი ფრიალითა და წივილ-კივილით ასობით მეტრზე მისდევენ ხოლმე თვისტომებს. სპორტსმენი და ქომაგი ერთმანეთში ირევა, რაც ორგანიზატორებს მოზრდილ თავსატეხად ეჩვენებათ. წლეულს გზის მეტი წილი ბარიკადებით იქნება დაცული, მაგრამ სავარაუდოა, რომ თანამეგობრობის ავენიუზე, „ჰართბრეიკ ჰილზის“ წინ ფანები მაინც იაქტიურებენ, ამიტომ ორგანიზატორებმა იდეოლოგიურ საშუალებებსაც მიმართეს. მარათონის დირექტორი დეივ მაკგილივრეი ბოსტონის ეთიოპთა სამძლეოსნო კლუბის წევრებს შეხვდა და გარეშე ხალხის ტრასის მიღმა დატოვება სთხოვა. აფრიკელები ამას გაგებით შეხვდნენ და ერთი მათგანის, მესელე კიფლეს თქმით, ეს ამბავი ადგილობრივ ეთიოპურ რადიოშიც გამოცხადდება. „არავის დისკვალიფიკაცია არ გვინდა — გულწრფელად უთხრა კიფლემ ჟურნალისტებს — არადა, ყველამ ვნახეთ, გასულ წელს გამარჯვებული წამებმა გაარკვია. წლეულსაც იგივეა მოსალოდნელი, ამ დროს კი ფანების ჩარევა უაღრესად უადგილო რამ იქნება. ყველაფერს ვილონებთ, რომ ჩვენმა ქომაგებმა არ აურიონ“.

ქალებშიც ფავორიტები აფრიკელები არიან. კენიელი კატერინ ნდერება ორშაბათს ტიტულს დაიცავს. მის დამხობას პირველ რიგში კენიელივე ლორნა კიპლაგატი და ბოსტონის მარათონის სამჯერ მომგები, ეთიოპი ფატუმა რობა ეცდებიან.

**დავით ბულუა**

# F1

მეოთხე ეტაპი სან მარინოს დიდი პრიზი

ენცო და დინო ფერარების [illegible]

*იმოლა, 15 აპრილი*




**ტრასის სიგრძე** . . . . . . . . . . . . . . . . 4.933 კმ
**რბოლის დისტანცია** . . . . . . . . . . 62 წრე — 305.609 კმ

*რბოლა დაიწყება ჩვენი დროით 17 საათზე*

**შარშანდელი შედეგები:** 1 მ. შუმახერი (ფერარი); 2 ჰაკინენი (მაკლარენი); 3 კულჰარდი (მაკლარენი); 4 ბარიკელო (ფერარი); 5 ვილნევი (BAR); 6 სალო (ზაუბერი)

**წრის რეკორდი:** 1997 — ფრენცენი (უილიამსი) 1:25.531

**ყველა გამარჯვებული**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1981 | ნელსონ პიკე | ბრაზილია | ბრებემი |
| 1982 | დიდიე პირონი | საფრანგეთი | ფერარი |
| 1983 | პატრიკ ტამბეი | საფრანგეთი | ფერარი |
| 1984 | ალენ პროსტი | საფრანგეთი | მაკლარენი |
| 1985 | ელიო დე ანჯელისი | იტალია | ლოტუსი |
| 1986 | ალენ პროსტი | საფრანგეთი | მაკლარენი |
| 1987 | ნაიჯელ მენსელი | დიდი ბრიტანეთი | უილიამსი |
| 1988 | აირტონ სენა | ბრაზილია | მაკლარენი |
| 1989 | აირტონ სენა | ბრაზილია | მაკლარენი |
| 1990 | რიკარდო პატრეზე | იტალია | უილიამსი |
| 1991 | აირტონ სენა | ბრაზილია | მაკლარენი |
| 1992 | ნაიჯელ მენსელი | დიდი ბრიტანეთი | უილიამსი |
| 1993 | ალენ პროსტი | საფრანგეთი | უილიამსი |
| 1994 | მიხაელ შუმახერი | გერმანია | ბენეტონი |
| 1995 | დეიმონ ჰილი | დიდი ბრიტანეთი | უილიამსი |
| 1996 | დეიმონ ჰილი | დიდი ბრიტანეთი | უილიამსი |
| 1997 | ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი | გერმანია | უილიამსი |
| 1998 | დევიდ კულჰარდი | დიდი ბრიტანეთი | მაკლარენი |
| 1999 | მიხაელ შუმახერი | გერმანია | ფერარი |
| 2000 | მიხაელ შუმახერი | გერმანია | ფერარი |

# მონტოია იმოლას მეშურება

**მონცას** „აუტოდრომო ნაციონალეს“ შემდეგ ხნოვანებითაც და მნიშვნელობითაც მეორე იტალიური ავტოდრომი, „იმოლა“, უფროსს სისწრაფეშიც ჩამორჩება. ფეთიან „მონცასთან“ შედარებით რბოლის საშუალო სიჩქარე თითქმის 40 კილომეტრით ნაკლებია. მიუხედავად ამისა, იქაც ბევრია დაღუპული — მოტომრბოლთა ჩათვლით ათი კაცი.

„იმოლა“ განსაკუთრებით დაიწყევლა შვიდი წლის წინ, სან მარინოს მე-14 დიდი პრიზის გათამაშებისას, როცა კვალიფიკაციამ და რბოლამ ორი პილოტის — აირტონ სენასა და როლანდ რაცენბერგერის სიცოცხლე შეიწირა. მას შემდეგ ტრეკი ძირფესვიანად გადაკეთდა და ნაკლებად სახიფათო გახდა.

ხვალინდელი რბოლა აღდგომის დღესასწაულს ემთხვევა, რამაც სამღვდელოების უკმაყოფილება გამოიწვია. შეჯიბრის ორგანიზატორებმა გამოსავალი იმაში ნახეს, რომ დილით ადგილობრივ ეკლესიაში მოეწყობა საგანგებო მესა, რომელიც ავტოდრომის გიგანტურ ტელეეკრანებზე იქნება ნაჩვენები. ამჯერად არ შედგება ტრადიციული რბოლის შემდგომი საზეიმო სადილი, ხოლო დაზოგილი თანხა საქველმოქმედო მიზნებს მოხმარდება.

წლევანდელი სეზონის მეოთხე ეტაპისთვის ზოგი გუნდი სამხრეთ აფრიკაში ემზადებოდა, ზოგიც ესპანეთსა და იტალიაში. ბრიტანულ „სილვერსტოუნზე“ კი იაპონურმა კონცერნმა „ბრიჯსტოუნმა“, რომელიც „მიშელინთან“ „საბურავების ომში“ აშკარა უპირატესობით ლიდერობს (ქულებითაც და საპრიზო ადგილებითაც), რეზინის ახალი შემადგენლობის გამოცდა მოაწყო. „ბრიჯების“ ტექნიკური დირექტორი ჰისაო სუგანუმა შედეგებით კმაყოფილი დარჩა.

მიხაელ შუმახერმა და ლუკა ბადოერმა ფიორანოში, „ფერარის“ ავტოდრომზე ხუთი დღე ნაყოფიერად იშრომეს, ახალი საბურავებიც გამოსცადეს და სტარტის იმიტაციაზეც ივარჯიშეს.

ეტყობა, ყველაზე აგრესიულად წინა რბოლის ხელმოცარული გმირი, ხუან პაბლო მონტოიაა განწყობილი. იგი სწორედ „იმოლაზე“ აპირებს კარიერაში პირველი გამარჯვების მოპოვებას, რადგან ამ ტრასას კარგად იცნობს ჯერ კიდევ ფორმულა 3000-ში ასპარეზობის დროიდან.

**გია ახალაძე**



REUTERS

მიხაელ შუმახერი გუშინდელ ვარჯიშზე საუკეთესო იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა



AP ამელია აილენდიდან

## მარტინას მოქნეული

ორმოცდახუთი წლისაა ჩოგბურთის ლეგენდა მარტინა ნავრატილოვა და კვლავაც შეუძლია ჩოგნის მარჯვედ ქნევა და მართლად ცემა. ფლორიდაში, ამელია აილენდის ტურნირზე, არანჩა სანჩეს-ვიკარიოსთან შეწყვილებულმა მარტინამ სულ ბდღვირი გაადინა კრისტინა ბრანდ-ჟილ კრეიბასის მოცოდვილე წყვილს, 6:1, 6:2.

## დუბრავკო კვლავ ჩაჯდა

ორი წელიწადი ციხეში: ასეთია მაიამის სასამართლოს ვერდიქტი აბეზარ დუბრავკო რაიჩევიჩისადმი, რომელმაც დევნით სიცოცხლე გაუმწარა განთქმულ ჩოგბურთელ მარტინა ჰინგისს. რაიჩევიჩის მიერ ამ გოგოს დევნას ერთადერთი მიზეზი, სიყვარული ჰქონდა, მაგრამ თანდათან სიყვარული სიგიჟეში გადაეზარდა, მითუმეტეს, რომ მარტინა ყოველნაირად გაურბოდა ამ ხორვატ-ავსტრალიელის დაგებულ მახეებს. რაიჩევიჩი შარშან დააპატიმრეს „ერიქსონის" ტურნირის დროს მაიამიში და მისჯილი ორი წლიდან, ერთი უკვე მოხდილი აქვს.



AP მაიამიდან



AP ლოს ანჯელესიდან

## გაკვანძული პენბერტი

კალათბურთის პლასტიკა გასაოცარია. ერთი ნახეთ, ტანის რაგვარი მოძრაობით და თავგანწირვით ცდილობს ბურთის დაუფლებას „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" მაიკ პენბერტი. „სტეიპლზ სენთერში" მიმდინარე თამაში კი „ლეიკერსსა" და „მინესოტა ტიმბერვულვზს" შორის, „ლეიკერსს" მოუგია 119:102.



REUTERS ვაშინგტონიდან

## ამოსუნთქვის საშუალება

ჰოკეის ეროვნულ ლიგაში პლეი ოფი გახურდა. „ვაშინგტონ კეპიტალზს" დაჯახებული დიად მარიო ლემიეს გუნდი „პიტსბურგ პინგვინზი" პირველ თამაშში საფეხბურთო ანგარიშით, 0:1 დამარცხდა და სერიასაც ასეთივე ანგარიშით აგებს. წლეულს „პიტსბურგის" პატრონის ლოჟიდან ყინულზე დაბრუნებული ლემიე და პინგვინთა მთავარმევგოლე და კაპიტანი იარომირ იაგრი იმ დროს გადაუღიათ, როცა მოთამაშეებს ამოსუნთქვის საშუალება ეძლევათ.

## ორდენი ბუბკას

უკრაინული სპორტის სახელსა და დიდებას, აწ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წინოსანს, ჭოკით მხტომელ სერგეი ბუბკას, გადასაყენებლად მოხაზირებულმა პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ გადასცა ქვეყნის მთავარი ჯილდო, უკრაინის გმირის ორდენი და სახელმწიფო მედალი. ბუბკა ოლიმპიური და ექვსგზის მსოფლიოს ჩემპიონია, კიევში კი კვლავ ყვირიან: უკრაინა კუჩმას გარეშე!



REUTERS კიევიდან

## ზრდილობიანი ტიმი





AP სან ანტონიოდან

„სან ანტონიო სფურზის" მოთამაშე ტიმ დანკანი კაი კაცობისთვის დაუჯილდოვებიათ. ჯილდო, ჯამურად 50 ათასი დოლარი, გადაუციათ ენბიეის საზოგადოებრივ ურთიერთობათა ვიცე-პრეზიდენტ კეტი ბეჰრენს და ფანი მეის ფონდის წარმომადგენელ მერიენ კლიმასს. დანკანი დაჯილდოვებულა საზოგადოებასთან გამორჩეულად თბილი ურთიერთობის, სხვანაირად კი ზრდილობისთვის და ასევე ქველმოქმედების მხარდაჭერისთვის.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ბიკაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ავთანდილ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, გურამ ხელაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge